

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

უნყებრივი ქვემდებარეობა

განსჯადობა 4

სასამართლო შეტყობინება და დაბარება 23

სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცებულებათა შეფასება 35; 50; 65

ექსპერტიზის დანიშვნა 75

საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი 84; 92; 102; 129

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოობა 137; 153

სასამართლო გადაწყვეტილება

დამატებითი გადაწყვეტილება 166

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა 168

უწყებრივი ქვემდებარეობა

განსჯალობა

განჩინება

საქართველოს სასჯელი

№ას-1805-2018

20 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულებულად აღიარება, პირ-
გასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2009 წლის 13 თებერვალს საქართველოს ეკონომიკური გან-
ვითარების სამინისტრომ და შპს „ს.ე.ჯ-ამ“ დადეს ნასყიდობის ხელ-
შეკრულება, რომლის საფუძველზე მყიდველს საკუთრებაში გადა-
ეცა ქ. მარნეულში, ... განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში
არსებული, 1713 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და
მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: ...). ქონების საპრი-
ვატიზაციო ღირებულება სიმბოლურად განისაზღვრა 1000 აშშ დო-
ლარის ეკვივალენტით ლარში. ამასთან, მყიდველს დაეკისრა ვალ-
დებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის ვადაში უზ-
რუნველყო ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება
(შესაბამისი პირობების შექმნა) და შემდგომი ერთი წლის განმავ-
ლობაში კურსის უფასოდ ჩატარება, ასევე, ამავე ვადაში ჭადრაკი-
სა და ცეკვის წრეების გახსნა და შემდგომი ორი წლის ვადაში ფუნ-
ქციონირება (ხელშეკრულების 2.1. მუხლის „ბ“ პუნქტი). ხელშეკ-
რულების თანახმად, აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად
მყიდველს უნდა განეხორციელებინა 400 000 ლარის ინვესტირება
(ხელშეკრულების 2.1. „გ“ პუნქტი) (შემდგომში – „2009 წლის 13
თებერვლის ხელშეკრულება“ ან „ხელშეკრულება“).

2. მყიდველს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე
ინფორმაცია გამყიდველისათვის უნდა წარედგინა 6 თვეში ერთხელ
და ასევე გამყიდველის მოთხოვნისთანავე (ხელშეკრულების 2.2.
პუნქტი).

3. ხელშეკრულების 2.4. პუნქტის თანახმად, კურსების ორგანი-

ზებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესრულების და-
დასტურება უნდა მომხდარიყო მყიდველის მიერ შესაბამისი დამა-
დასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ ან, საჭიროე-
ბის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის დასკვნის
საფუძველზე, ხოლო ინვესტიციების განხორციელების ვალდებუ-
ლება უნდა დადასტურებულიყო მყიდველის მიერ წარდგენილი აუ-
დიტორული დასკვნის საფუძველზე.

4. ხელშეკრულებით განისაზღვრა სანქციები ვალდებულების
არაჯეროვნად შესრულებისათვის, კერძოდ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვე-
პუნქტში მითითებული საპრივატიზაციო პირობების შეუსრულებ-
ლობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემდა დარ-
ღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემ-
და დამატებით ვადას დარღვევის გამოსასწორებლად, ამასთან,
მყიდველს დააკისრებდა პირგასამტეხლოს 2000 ლარის ოდენობით
ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (4.2.2. პუნქტი). ხელშეკრულე-
ბის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვე-
ვის შემთხვევაში კი, გამყიდველი მყიდველს გადასცემდა დარღვე-
ვის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემდა და-
მატებით ვადას დარღვევის გამოსასწორებლად, ამასთან, მყიდ-
ველს დააკისრებდა პირგასამტეხლოს 1000 ლარის ოდენობით ყო-
ველ ვადაგადაცილებულ დღეზე (4.2.5. პუნქტი).

5. 2012 წლის 24 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრომ და საქართველოში ა.რ. ს.ნ. კომპანიის
წარმომადგენლობამ (შემდგომში – „თავდაპირველი მოსარჩელე“
ან „მყიდველი“) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოს
ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ს.ე.ჯ-ას“ შო-
რის 2009 წლის 13 თებერვალს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ახალი შეთანხმებით
ცვლილება შევიდა ხელშეკრულების 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში,
კერძოდ, მყიდველს დაევალა ხელშეკრულების გაფორმებიდან 4
წელიწადში უზრუნველყო ქართული ენის შემსწავლელი კურსე-
ბის ორგანიზება (შესაბამისი პირობების შექმნა – სარეკონსტრუქ-
ციო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელება) და შემდგომი ერ-
თი წლის განმავლობაში კურსების უფასოდ ჩატარება, ასევე ამავე
ვადაში ჭადრაკისა და ცეკვის წრეების გახსნა და შემდგომი ორი
წლის ვადაში ფუნქციონირება (შემდგომში – „2012 წლის 24 ... ხელ-
შეკრულება“).

6. 2013 წლის 11 ნოემბრის წერილით სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში – „მოპასუხე“, „სააგენტო“ ან
„კასატორი“) თავდაპირველ მოსარჩელეს შეატყობინა, რომ მის მი-
ერ 2013 წლის 7 ოქტომბრის წერილით წარდგენილი დასკვნით დას-

ტურდებოდა ხელშეკრულების 2.1. მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების – სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება და აცნობა, რომ ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება უნდა უზრუნველყო 2012 წლის 7 დეკემბრიდან 2013 წლის 7 დეკემბრამდე; ხელშეკრულების 2.1. პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება – ჭადრაკის სკოლის და ცეკვის წრის გახსნა დასტურდებოდა 2012 წლის დეკემბერში, ხოლო მისი ორი წლით შენარჩუნება მყიდველს ევალებოდა 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით.

7. 2014 წლის 11 სექტემბერს თავდაპირველმა მოსარჩელემ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად, წარუდგინა გამყიდველს ინფორმაცია ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

8. 2015 წლის 12 თებერვლის წერილით გამყიდველმა მყიდველს მოსთხოვა, წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარულ დღეში სააგენტოში საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის წარდგენა ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ფუნქციონირების დასადასტურებლად. წერილი თავდაპირველ მოსარჩელეს ჩაბარდა 2015 წლის 16 თებერვალს.

9. 2015 წლის 19 მარტს თავდაპირველმა მოსარჩელემ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებლად სააგენტოს წარუდგინა შპს „კ.ჯ-ის“ მიერ მომზადებული დასკვნა.

10. თავდაპირველი მოსარჩელისათვის გაგზავნილ, 2015 წლის 25 ... წერილში გამყიდველმა მიუთითა, რომ ვინაიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაცია სააგენტოში ბოლოს წარდგენილი იყო 2014 წლის 10 სექტემბერს, ის ვალდებული იყო მომდევნო ინფორმაცია წარედგინა არაუგვიანეს 2015 წლის 11 მარტისა, ხოლო, ვინაიდან მყიდველმა ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ აუდიტორული დასკვნა წარადგინა 2015 წლის 19 მარტს, ვადის გადაცილება შეადგენდა 8 დღეს, რისთვისაც მას ეკისრებოდა პირგასამტეხლო 8000 ლარის ოდენობით.

11. 2015 წლის 23 ივნისს თავდაპირველმა მოსარჩელემ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკის მინისტრს და მოითხოვა სააგენტოს გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მას პირგასამტეხლოს სახით 8000 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული წერილის პასუხად თავდაპირველ მოსარჩელეს ეცნობა, რომ უნდა მიემართა საერთო სასამართლოებისათვის.

12. 2015 წლის 24 სექტემბრის წერილით სააგენტომ დაადასტურა, რომ 2015 წლის 9 ივნისის წერილით წარდგენილი აუდიტორული

დასკვნით დასტურდებოდა მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების – ქართული ენის შემსწავლელი კურსების 1 წლით, ხოლო ჭადრაკისა და ცეკვის წრის 2 წლის განმავლობაში ფუნქციონირება.

13. თავდაპირველი მოსარჩელე არის შპს „ს.ე.ჯ-ას“ ფულებამონაცვლე.

14. თავდაპირველმა მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სააგენტოს მიმართ და მოითხოვა:

14.1. სააგენტოს 2015 წლის 25 ... №4/30914 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

14.2. თავდაპირველი მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 17 ივლისის №04/5053 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 აგვისტოს განჩინებით სასარჩელო განცხადება მოპასუხეების: სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობით გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

16. 2015 წლის 25 აგვისტოს თავდაპირველმა მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა:

16.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის 2009 წლის 13 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2. პუნქტითა და ამავე ხელშეკრულებაში 2012 წლის 24 ... №120540... შეთანხვებით შეტანილი ცვლილებებით თავდაპირველი მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების დადასტურების დავალება;

16.2. სააგენტოსთვის ვალდებულების შეუსრულებლად ჩათვლის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს გაუქმების დავალება.

17. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 აგვისტოს განჩინებით დადგინდა სასარჩელო განცხადების განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

18. 2015 წლის 26 ოქტომბერს თავდაპირველმა მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა:

18.1. 2009 წლის 13 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და მხარეთა შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში თავდაპირველი მოსარჩელის მიერ შესრულებულად აღიარება და პირგასამტეხლოს გადახდისაგან თავდაპირველი მოსარ-

ჩელის გათავისუფლება;

18.2. სააგენტოსთვის 2009 წლის 13 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და მხარეთა შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურების დავალება.

19. 2015 წლის 27 ოქტომბერს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს მხარეებმა და მოითხოვეს საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გადაგზავნა განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. მათი მოსაზრებით, საქმე განხილული უნდა ყოფილიყო არა სამოქალაქო, არამედ – ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით [იხ. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის ოქმი, CD დისკი: 16:10:03-16:21:20].

20. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

21. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის შუამდგომლობა განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის უზენაესი სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლოთა შორის დავას არ ითვალისწინებს. თუმცა, როდესაც დავა მიმდინარეობს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს ან პალატებს შორის საქმის ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს კანონის ანალოგია სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავა განსჯადობის თაობაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სხვადასხვა სასამართლოებს ან სასამართლო კოლეგიებს ან პალატებს შორის. მოცემულ შემთხვევაში საქმის ერთი სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) მიერ სხვა სასამართლოსათვის (კოლეგიისათვის, პალატისათვის) გადაგზავნა არ იყო სახეზე. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 აგვისტოს განჩინებით განსაზღვრული იყო მხოლოდ სამართალწარმოების წესი, ხოლო საქმის განხილვა გაგრძელდა კვლავ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ. გამომდინარე აქედან, დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე არ არსებობდა.

22. 2015 წლის 24 ნოემბერს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე თავდაპირველი მოსარჩელის წარმომადგენლის

შუამდგომლობა სარჩელის ნაწილობრივ გახმობის შესახებ დაკმაყოფილდა და სარჩელი მოპასუხის მიმართ მისთვის ვალდებულების შესრულების დადასტურების დავალდებულების ნაწილში დარჩა განუხილველად.

23. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი სააგენტოს მიმართ ვალდებულების შესრულებულად აღიარებისა და პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა, რომ თავდაპირველმა მოსარჩელემ შეასრულა 2009 წლის 13 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და 2012 წლის 24 ... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; თავდაპირველი მოსარჩელე გათავისუფლდა პირგასამტეხლოს გადახდისაგან.

24. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სააგენტომ. სააპელაციო საჩივარში სააგენტო აღნიშნავდა, რომ საქმე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინებით სათანადო მოსარჩელედ განისაზღვრა ა.რ. ს.ნ. კ. „ს.“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „მონინააღმდეგე მხარე“).

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განჩინებით სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

27. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ იყო გამხდარი მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ვადაში შესრულების ფაქტი. მოპასუხე სადავოდ ხდიდა მხოლოდ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის სააგენტოსათვის 6 თვეში ერთხელ წარდგენის შეუსრულებლობას და მის სამართლებრივ შედეგებს.

28. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მყიდველმა ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ორგანიზება/ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია გამყიდველს 2014 წლის 11 სექტემბერს მიაწოდა და, შესაბამისად, ხელშეკრულების თანახმად, შემდგომი ინფორმაციის მიწოდების ვადა 2015 წლის 11 მარტი იყო. დადგენილი იყო ისიც, რომ მყიდველმა შესაბამისი ინფორმაცია (ექ-

სპერტიზის დასკვნის სახით) სააგენტოს წარუდგინა 2015 წლის 19 მარტს, რისთვისაც მას სააგენტომ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (8 დღე) 1000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო დააკისრა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის შეფასების საგანი იყო გამყიდველის მიერ მყიდველისათვის პირგასამტეხლოს სახით 8 000 ლარის დაკისრების მართლზომიერება.

29. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 115-ე მუხლითა [სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას] და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით [სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი] და განმარტა, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება, როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. სამართლის დოქტრინის თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია აკისრია: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომელიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქციები.

30. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო არ იყო გარემოება, რომ მყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება (ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ორგანიზება/ფუნქციონირების შესახებ) ვადაზე ადრე – 2014 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით შეასრულა. დადგინილი იყო ისიც, რომ 2015 წლის 12 თებერვალს მოპასუხემ წერილით მიმართა მყიდველს და მოითხოვა წერილის ჩაბარებიდან 45 კალენდარულ დღეში ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ფუნქციონირების დასადასტურებლად საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის წარდგენა.

31. სააპელაციო პალატის განმარტებით, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა დადგინდეს მხარეთა ნება, იგი კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. განსახილველ შემთხვევაში, მყიდველის განმარ-

ტებით, სააგენტო ინფორმირებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დასრულების შესახებ და 2015 წლის 12 თებერვალს მან სწორედ ამიტომ მიმართა მყიდველს მოთხოვნით, რომ შესრულების დასადასტურებლად დროულად (45 დღის ვადაში) წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა. მყიდველის განმარტებით, ვინაიდან, მას უნდა წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა, მიიჩნია, რომ სააგენტო აღარ საჭიროებდა პარალელურად შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენასაც, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნა თავად წარმოადგენდა შესრულების დამადასტურებელ უტყუარ ინფორმაციას, მით უფრო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო უკვე დასრულებული იყო და ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის მოქმედების საფუძველიც აღარ არსებობდა. მყიდველის განმარტებით, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები დაედო საფუძვლად 2015 წლის 11 მარტს ინფორმაციის გაუგზავნებლობას.

32. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებისას და შემდგომში მისი შესრულებისას მხარეები მოქმედებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, ივარაუდება, რომ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებენ ურთიერთნდობისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე. კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს მეორე მხარისადმი გულისხმიერ, ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, ურთიერთანამშრომლობის რეჟიმში საქმიანობას.

33. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მყიდველს არცერთი საპრივატიზაციო ვალდებულება არ ჰქონდა დარღვეული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება შეასრულა ვადაზე ადრე, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მყიდველმა ასევე მისთვის განსაზღვრულ 45-დღიან ვადაში წარადგინა გამყიდველის მიერ 2015 წლის 12 თებერვალს მოთხოვნილი ექსპერტიზის დასკვნა. განსახილველ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ინფორმაციის მიუღებლობის გამო მოპასუხისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დგინდებოდა. უფრო მეტიც, აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიმართ არ იკვეთებოდა მოპასუხის ინტერესი, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2014 წლის დეკემბერში დასრულებული იყო და მოპასუხის 2015 წლის 12 თებერვლის წერილი ცხადყოფდა, რომ სააგენტოს ინტერესს წარმოადგენდა არა ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღება, რომელიც, ხელშეკრულების პირობის თანახმად, მხოლოდ ტექსტური შეტყობინების სახეს ატარებდა და

არ საჭიროებდა რაიმე მტკიცებულებების დართვას, არამედ მოპასუხეს ესაჭიროებოდა მტკიცებულებებით გამყარებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მიიღო კიდეც სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში (45 დღეში). ყველა ამ ქმედებით დასტურდებოდა მყიდველის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი.

34. ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ პირობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების (ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ორგანიზება/ფუნქციონირების) შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენდა შესრულების კონტროლი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მყიდველმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები 2014 წლის დეკემბერში დაასრულა, რის თაობაზეც სააგენტომ მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა, მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენამ ობიექტიურად დაკარგა ფუნქცია და მნიშვნელობა. მოპასუხემ ვერ მიუთითა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნულ ვითარებაში ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენა ან/და რა ზიანი მიადგა მას აღნიშნულის წარუდგენლობით.

35. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2012 წლის 24 ... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებულად აღიარების თაობაზე საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება კი გამორიცხავდა მყიდველისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობას.

36. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

37. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

37.1. საქმე განხილულია სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებულად აღიარება და პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება წარმოადგენდა. აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25⁻-ე მუხ-

ლის მე-2 ნაწილს, რის გამოც იგი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს;

37.2. 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულება (მასში 2012 წლის 24 მაისს შესული ცვლილებების გათვალისწინებით) წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე: ბს-265-263(გ-16), 2016 წლის 14 ივნისი; ბს-128-126(გ-17), 2017 წლის 20 აპრილი; ბს-827-789(გ-07); ბს-442-420(გ-07); ას-890-852-2014);

37.3. სააგენტომ მყიდველს 2015 წლის 24 სექტემბრის №4/56535 ნერილით დაუდასტურა 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების (მასში 2012 წლის 24 მაისს შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, ამ პერიოდამდე – 2015 წლის 24 სექტემბრამდე სააგენტოსათვის უცნობი იყო, შესრულდა თუ არა 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება დადგენილ ვადაში, ვინაიდან, აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს მყიდველის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ იძლეოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულების შესრულების დადასტურება 2015 წლის 24 სექტემბერს განხორციელდა, ამ თარიღამდე, ე.ი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველს ეკისრებოდა ხელშეკრულების 2.2 მუხლის მიხედვით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე სააგენტოსათვის ინფორმაციის 6 თვეში ერთხელ წარდგენის ვალდებულება, რაც მოპასუხემ დაარღვია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს განმარტება, რომ ვალდებულების შესრულების დადასტურება საფუძველი იყო იმისა, რომ კომპანიას არ დაკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველგვარ დასაბუთებას არის მოკლებული;

37.4. უდავოა, რომ მყიდველს ეკისრებოდა ხელშეკრულების 2.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ხოლო აღნიშნული ვალდებულების არსებითი თუ არაარსებითი ხასიათი არ წარმოადგენს მისი შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის გათავისუფლების საფუძველს;

37.5. მართალია, 2014 წლის 11 სექტემბრისთვის (კომპანიის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის მომენტისათვის) სააგენტოს და-

დასტურებული ჰქონდა 2012 წლის 7 დეკემბრისათვის მყიდველის მიერ ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ასევე, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის გახსნა, თუმცა არ დადასტურებულა 2012 წლის 7 დეკემბრიდან 2013 წლის 7 დეკემბრამდე ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება/ფუნქციონირება. ასევე, არ დადასტურებულა 2012 წლის 7 დეკემბრიდან 2014 წლის 7 დეკემბრამდე ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 11 სექტემბრისათვის გასული იყო ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზების ვადა (07.12.2012 – 07.12.2013), შესაბამისი ინფორმაციის (მათ შორის ექსპერტიზის დასკვნის) წარუდგენლობის გამო, სააგენტოსთვის უცნობი იყო შესრულდა თუ არა ვალდებულება დადგენილ ვადებში. აღნიშნული დასტურდება სააგენტოს 2015 წლის 12 თებერვლის წერილით, რომლითაც მან მყიდველს მოსთხოვა ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის შესაბამის ვადებში ფუნქციონირების დასადასტურებლად ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა. აღნიშნული ვალდებულებების სრულად შესრულების დადასტურებამდე ხელშეკრულება მოქმედი იყო და მყიდველს ეკისრებოდა 2.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის 6 თვეში ერთხელ წარდგენის ვალდებულება. უდავოა, რომ ვალდებულებების შესრულების დადასტურება სააგენტოს მიერ განხორციელდა 2015 წლის 24 სექტემბრის №4/56535 წერილით, ე.ი ამ თარიღამდე, ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები – ქართული ენის შემსწავლელი კურსების, ჭადრაკის სკოლისა და ცეკვის წრის ფუნქციონირების ნაწილში, დადასტურებული არ ყოფილა;

37.6. სააგენტოს მხრიდან დარღვეული არ ყოფილა კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპი. გამყიდველმა მხარეს განუსაზღვრა 45-დღიანი ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარსადგენად და არა 2.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარსადგენად. ერთმანეთისაგან სრულიად ლოგიკურად და მარტივად უნდა გაიმიჯნოს ექსპერტიზის დასკვნა და 2.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია: ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს 2009 წლის 13 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებულ, ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით სააგენტოსათვის წარსადგენ დოკუმენტს, ხოლო 2.2 მუხლით გათვალისწინებული, 6 თვეში ერთხელ წარსადგენი ინფორმაცია ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ არის ზოგადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც გამყიდველს აწვდის ცნობას ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, შესრულდა თუ არა ვალდებულება, შესრულდა იგი სრულად თუ ნა-

ნილობრივ, რა ეტაპზეა შესრულების მიმდინარეობა და სხვა. ინფორმაცია, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს ექსპერტიზის დასკვნასაც, თუმცა ინფორმაციისა და ექსპერტიზის დასკვნის გაიგივება ყოველად დაუშვებელია. შესაბამისად, ეჭვს არ იწვევს, რომ სააგენტომ 2015 წლის 12 თებერვლის წერილით მხარეს კონკრეტულად მოსთხოვა ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა, რაც მხარეს არ ათავისუფლებდა 2.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან – ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. მაშასადამე, მხარე ვალდებული იყო დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2015 წლის 11 მარტისა, წარედგინა ინფორმაცია ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და არ იყო აუცილებელი ამ მიზნით წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა. კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპის შეფასებისას, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მხარეს არ შეეძლო მიეჩნია, რომ მას 45-დღიანი ვადის სახით განესაზღვრა ინფორმაციის წარდგენის განსხვავებული ვადა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო დადგენილი, ვინაიდან 2.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას სააგენტოს შესაბამისი წარმომადგენელი აღნიშნული წერილის საფუძველზე ვერ შეცვლიდა. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა მხარეთა ორმხრივი შეთანხმებისა და მისი ნოტარიულად დამოწმების შემთხვევაში არის შესაძლებელი. ამრიგად, არც სამართლებრივად და არც ფაქტობრივად მხარეს არ შეიძლება ევარაუდა სხვა რამ, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და იგი ვერ იქნებოდა შეცდომაში შეყვანილი. სრულიად ზედმეტია სააგენტოს კეთილსინდისიერებასა და ნდობის პრინციპზე მსჯელობა, ვინაიდან, სააგენტოს მიერ გამოხატული ნება სრულიად ცალსახა, არაორაზროვანი და ნათელი იყო;

37.7. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ვადა ვალდებულების შესრულებისათვის, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება (შესრულების მოთხოვნის წარმოშობის უფლება, შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება და სხვ.), თუმცა, ხელშეკრულების 2.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის 6 თვეში ერთხელ წარდგენის ვალდებულება მხარეს აკისრია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ე.ი სააგენტოს მიერ ვალდებულებების შესრულების დადასტურებამდე, მაშინაც კი, თუ გასულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადა. გამყიდველისათვის, შესაბამისი დასკვნის წარდგენამდე (ვალდებულების დადასტურებამდე) უცნობია, შესრულდა თუ არა ვალდებულება

დადგენილ ვადაში.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააგენტოს საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინებით სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

40. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

41. საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1. მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

42. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

43. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

44. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა (იხ. სუსგ №ბს-710-710(გ-18), 3 სექტემბერი, 2018 წელი).

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო (იხ. სუსგ №ბს-672-668(გ-17), 19 ოქტომბერი, 2017 წელი).

46. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს 2009 წლის 13 თებერვალს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ს.ე.ჯ-ას“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. ასევე 2012 წლის 24 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თავდაპირველ მოსარჩელეს შორის გაფორმებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ს.ე.ჯ-ას“ შორის 2009 წლის 13 თებერვალს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ხელშეკრულებიდან. დადგენილია, რომ 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. მარნეულში, ... ქუჩაზე განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1713 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები.

47. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონკრეტული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმისადმი კუთვნილების მაჩვენებელია სადავო ურთიერთობებში ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრა-

ციული ორგანოს გამოსვლა, სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობა და ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან, დავის განსჯადობის გადანყვეტა საჭიროებს ამ ხელშეკრულების ბუნების გარკვევას, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

48. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი უფლებამოსილებების განხორციელება შეუძლია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

49. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (ამჟამად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს), წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი – მასში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა – განსახილველ შემთხვევაში სახეზეა.

50. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის ადმინის-

ტრაციული განსჯადობის დასადგენად, ასევე უნდა განისაზღვროს თავად ხელშეკრულების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება, ხელშეკრულება უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 ნოემბრის №746 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ საფუძველზე. ხოლო 2012 წლის 24 ... ხელშეკრულება გაფორმდა „სახელმწიფო ქონების შპს „ს.ე.ჯ-ასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 ნოემბრის №746 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 ... №02/05/04 განკარგულების, 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების და შპს „ს.ე.ჯ-ასა“ და ა.რ. ს.ნ. კომპანიას შორის 2010 წლის 29 ივლისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობისა და მასზე არსებული ვალდებულებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, ხელშეკრულების საგანი ადმინისტრაციულ კანონმდებლობას ეფუძნება.

52. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს აგრეთვე ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივი მიზანი.

53. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 2009 წლის 13 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძველებსა და ძირითად პირობებს. მითითებული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის მარ-

თვის უფლებით გადაცემული, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილისა), და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას, და სარგებლობის უფლებით გადაცემას – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

54. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინაა სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. შესაბამისად, ვინაიდან სახელმწიფო ქონების მართვა, განკარგვა, მათ შორის, პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ფუნქციებს განეკუთვნებოდა (ამჟამად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს სააგენტო), სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განახორციელა მისთვის კანონით დადგენილი საჯარო უფლებამოსილება და, აქედან გამომდინარე, დადო ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

55. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია – სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (იხ. სუსგ №ბს-827-789-(გ-07), 15 ნოემბერი, 2007 წელი).

56. ამდენად, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

57. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დასკვნები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატე-

გორიის დავად მიჩნევის თაობაზე შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების განსჯადობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. სუსგ №ბს-711-711(გ-18), 21 მარტი, 2019 წელი; №ბს-128-126(გ-17), 20 აპრილი, 2017 წელი; №ბს-672-668(გ-17), 19 ოქტომბერი, 2017 წელი; №ას-292-279-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-890-852-2014, 30 დეკემბერი, 2014 წელი; №ას-1178-1198-2011, 12 მარტი, 2012 წელი).

58. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემული დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, ხოლო მისი სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

59. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არა-განსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი, ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

60. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი-

იჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

61. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო შეტყობინება და დაბარება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1833-2019

1 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. შპს „ზ“-მ (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჩ.რ..ბ.ჯ-ის“ (შემდგომში „მოპასუხე“, „კომპანია“, „ორგანიზაცია“, „საჩივრის ავტორი“, „აპელანტი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა 2 265 346.14 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3. საქალაქო სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება

3.1. შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის გამო 2019 წლის 7 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული იქნა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 265 346.14 ლარის გადახდა.

4. მოპასუხის საჩივარი

4.1. დაუსრულებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

5. საქალაქო სასამართლოს განჩინება

5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

6. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

6.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივნისის განჩინებაზე სააპელაციო საჩივა-

რი წარადგინა მოპასუხებ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 11 ივნისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

7.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.2.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით;

7.2.2. სარჩელი თანდართული დოკუმენტებით მოსარჩელემ მოპასუხეს გაუგზავნა მისამართზე ხაშური, სოფ. ...;

7.2.3. ზემოაღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი კორესპოდენცია 2019 წლის 9 თებერვალს ჩაიბარა ლ. გ-მა, როგორც კომპანიის ბუღალტერმა.

7.2.4. სარჩელზე წერილობითი პასუხი (შესაგებელი) მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა დოკუმენტების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში;

7.2.5. მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა ერთი დღის დაგვიანებით – 2019 წლის 20 თებერვალს ნაცვლად 2019 წლის 19 თებერვლისა.

7.3. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 72-ე-73-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოცემული ნორმები არ კრძალავს არასამუშაო დღეს ორგანიზაციისათვის გზავნილის ჩაბარებას. შესაბამისად, ის გარემოება, რომ კომპანიაში კორესპოდენცია შევიდა შაბათ დღეს, არ გამორიცხავდა გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების შესაძლებლობას, თუ ის კანონით დადგენილი წესით იქნებოდა ჩაბარებული.

7.4. სასამართლომ ყურადღება მიაქცია საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის მიხედვით, გზავნილის მიმღები პირი, ლ. გ-ი 2019 წლის 9 თებერვალს ნამდვილად იმყოფებოდა ორგანიზაციის ფინანსური დეპარტამენტის ოთახში, როგორც სპეციალისტი ფილიალის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე, თავისი შვილის მ. გ-ის თხოვნით ახდენდა ელექტრონულ პროგრამაში ზოგიერთი მომონაცემების სისტემატიზებას. დაახლოებით

13:00 საათზე მასთან შევიდა ფოსტის კურიერი, რომელმაც სთხოვა გზავნილის ჩაბარება. ლ. გ-მა უთხრა უარი, მაგრამ რადგან სხვა არავინ იყო ადგილზე, კურიერმა სთხოვა ჩაებარებინა იგი. ლ. გ-მა დაიტოვა გზავნილი და დადო ფინანსური განყოფილების მოლარე ქ. კ-ის სამუშაო მაგიდაზე.

7.5. საქმეში არსებული 2019 წლის 23 მარტის გასაუბრების ოქმის შინაარსის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ კომპანიაში ბუღალტრის პოზიციაზე დასაქმებულია ლ. გ-ის შვილი მ. გ-ი, რომლის კომპიუტერშიც ახდენდა ლ. გ-ი საბუღალტრო დოკუმენტების ელექტრონულ სისტემატიზაციას.

7.6. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ თუ ლ. გ-ი არ წარმოადგენდა ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პირს, მას არასამუშაო დღეს არ ექნებოდა შესაძლებლობა შესულიყო ორგანიზაციის შენობაში, მით უფრო მისი შვილის არყოფნის დროს განეხორციელებინა კომპიუტერში საბუღალტრო დოკუმენტების ელექტრონული სისტემატიზაცია.

7.7. ამრიგად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, არის თუ არა ლ. გ-ი კომპანიის ბუღალტერი, ვინაიდან მოპასუხე ადასტურებს გზავნილის მიღებას (და აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის ფინანსური განყოფილების მოლარემ იგი თავის სამუშაო ოთახის მაგიდაზე ნახა 11 თებერვალს), არ არსებობს შესაგებლის წარსადგენად განსაზღვრული ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველი. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ქართულენოვანი კორესპოდენციის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა კომპანიაში და დროულად ვერ მოხდა გზავნილის შინაარსისა და დროის გარკვევა. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოცემული ნორმით განსაზღვრული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი გარემოება, რომელიც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების დროულად შესრულებას. არარეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც ს-ოში ეწევა საქმიანობას, უნდა ითვალისწინებდეს იმ მოსალოდნელ სირთულეებს, რაც უცხო ქვეყნის სახელმწიფო ენის არცოდნამ შეიძლება გამოიწვიოს, შესაბამისად, თავისი საქმიანობაც ისე უნდა წარმართოს, რომ ამ მიმართებით არ შეექმნას დაბრკოლებები. ამასთან, ს-ოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებულებს სასამართლოს სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს შეტყობინება არასახელმწიფო ენაზე გაუგზავნოს.

7.8. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ფი-

ნანსური განყოფილების მოლარე ქ. კ-ი (რომელმაც თავის სამუშაო ადგილზე ნახა გაზენილი და შემდგომ გადასცა სხვას) არ იყო ქართულენოვანი კორესპოდენტის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი. ამდენად, იგი უნდა დაინტერესებულიყო როგორ მოხვდა გაზენილი მის სამუშაო მაგიდაზე და გაერკვია, გაზენილის მიღების დრო და მიმღები პირი.

7.9. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა არა გაზენილის მოპასუხისთვის გადაცემის ფაქტი, არამედ მისი გადაცემის თარიღი, რომელსაც მოპასუხე 2019 წლის 11 თებერვალს უკავშირებს. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეს ჰქონდა სრული შესაძლებლობა გაერკვია გაზენილის ჩაბარების თარიღი და მისი მიმღები პირის ვინაობა (მათ შორის, სასამართლოდან გამოეთხოვა აღნიშნული სახის ინფორმაცია), რაც მას არ განუხორციელებია, რის გამოც საფუძველი გამოეცალა მომჩივნის პრეტენზიას გაშვებული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევის თაობაზე.

7.10. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან მოცემული დავის ფარგლებში ფასდება შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს (სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნევა), უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ უნდა დაყრდნობოდა ვალის აღიარების ხელწერილს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 629-ე მუხლებით და მართებულად დაასკვნა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები (მოპასუხე არის ჩინეთში დაფუნებული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რკინიგზის ხაზების მშენებლობა. მას ს-ოში დაფუნებული აქვს მუდმივმოქმედი ფილიალი, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი და არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი; თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება მხარეებს შორის სასიგნალო და საკომუნიკაციო სისტემების სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, და მოსარჩელემ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება – მიანოდა მოპასუხეს სამშენებლო მასალა და შესაბამისი მომსახურება; მოპასუხეს დაუგ-

როგდა დავალიანება 2 265 346.14 ლარის ოდენობით, რომელიც სადავო არ არის და აღიარებულია, მაგრამ არ არის გადახდილი) იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

7.11. სასამართლომ ასევე არ გაზიარა აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სარჩელი აღძრულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში არსებულ ამონაწერზე მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და აღნიშნა, რომ მასში მოსარჩელე კომპანიის დირექტორად მითითებულია ჩ. ს-ი და სწორედ მან გასცა მინდობილობა სარჩელზე ხელმომწერ პირებზე.

8. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

8.2. საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება იმის თაობაზე, რომ მოპასუხისთვის გაზავნილი სარჩელი თანდართული დოკუმენტებით ჩაბარდა გზავნილის მიღებაზე არაუფლებამოსილ პირს. ლ. გ-ი (გზავნილის მიმღები პირი) არათუ მოპასუხე ორგანიზაციის ბუღალტერია, არამედ იგი საერთოდ არ მუშაობს ამ ორგანიზაციაში. იგი არის საჯარო მოხელე, გორის მერის თანამშრომელი. 2019 წლის 9 თებერვალს ლ. გ-ი კომპანიის ოფისში იმყოფებოდა თავისი მეგობრის, ორგანიზაციის ბუღალტრის თხოვნით, ახდენდა ელექტრონულ პროგრამაში გარკვეული მონაცემების სისტემატიზირებას. სწორედ მაშინ მივიდა კომპანიაში კურიერი, თუმცა ვინაიდან იყო შაბათი დღე და მან ადგილზე სხვა ვერავინ ნახა, სთხოვა ლ. გ-ს გზავნილის ჩაბარება. ლ. გ-ი დასთანხმდა, თუმცა მან არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და ვინაიდან არც კომპანიის ადმინისტრაციისათვის შეტყობინების ვალდებულება ევალებოდა, გზავნილი ორგანიზაციის ფინანსური განყოფილების მოლარე ქ. კ-ის სამუშაო მაგიდაზე დატოვა. ორშაბათს, 2019 წლის 11 თებერვალს, ქ. კ-იმ სამუშაოზე მისვლისას ნახა გზავნილი და გადასცა ქართულენოვანი კორესპოდენციის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, მ. ა-ს. მან კი, თავის მხრივ, იგი გადაუგზავნა ორგანიზაციის იურისტებს და აცნობა, რომ დოკუმენტები ორგანიზაციაში 11 თებერვალს შევიდა. ამრიგად, ვინაიდან კომპანიის იურისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოპასუხემ კორესპოდენცია 11 თებერვალს მიიღო, 10 დღის ვადაში გაამზადეს წერილობითი პასუხი და 2019 წლის 20 თებერვალს (მე-9 დღეს) ფოსტის მეშ-

ვეობით გააგზავნეს სასამართლოში. სასამართლომ კი უსაფუძვლოდ მიიჩნია იგი ვადის დარღვევით წარდგენილად. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორმა სასამართლოს წარუდგინა ცნობა ლ. გ-ის სამუშაო ადგილის თაობაზე (იგი გორის მერიის თანაშრომელია), სასამართლომ გზავნილი მაინც უფლებამოსილი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნია.

8.3. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით ადრესატისთვის გზავნილის ჩაბარება, რის გამოც არსებობს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის პირველ ინსტანციაში განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

8.4. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ გაიზიარა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას, ასევე ის გარემოება, რომ სარჩელი შეტანილი იყო უფლებამოსილი პირის მიერ.

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

9.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივნისის განჩინებით შპს „ჩ.რ.ბ.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ შპს „ჩ.რ.ბ.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

9.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

9.3.1. 2018 წლის 24 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით;

9.3.2. 2018 წლის 28 დეკემბერს მოსამართლის თანაშემწის მიერ განხორციელებული სატელეფონო შეტყობინებით მოსარჩელეს და-

ევალა მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების გადაცემისა და გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენის უზრუნველყოფა;

9.3.3. 2019 წლის 25 იანვარს მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს, მიუთითა, რომ მათთვის ცნობილია წარდგენილი სარჩელის თაობაზე, რის გამოც დაახუსტა კომპანიის ფაქტობრივი მისამართი (ქ. ხაშური, სოფ. ...) და ითხოვა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტების მითითებულ მისამართზე გაგზავნა;

9.3.4. 2019 წლის 15 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ სარჩელი თანდართული მასალით მოპასუხე კომპანიას ჩაბარდა მის ფაქტობრივ მისამართზე. ამასთან, განმცხადებელმა განცხადებას დაურთო საფოსტო გზავნილი, რომლის მიხედვით, კორესპოდენცია 2019 წლის 9 თებერვალს ჩაიბარა ლ. გ-მა, როგორც ბულაღტერმა;

9.3.5. სარჩელზე წერილობითი პასუხი (შესაგებელი) მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა დოკუმენტების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში;

9.3.6. მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა ერთი დღის დაგვიანებით – 2019 წლის 20 თებერვალს ნაცვლად 2019 წლის 19 თებერვლისა;

9.3.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც უცვლელი დარჩა როგორც იმავე, ასევე ზემდგომი სასამართლოს მიერ;

9.3.8. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებების კანონიერებაა სადავო.

9.4. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამართივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

9.5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსსკ-ის 232¹-ე მუხ-

ლის (მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით) საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობაა დადგენილი:

ა) მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაბარდეს სარჩელი და თანდართული მასალები. მასვე უნდა განემარტოს სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დანიშნული საპროცესო ვადის (შესაგებლის წარდგენის ვადის) არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა;

გ) სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მთავარი წინაპირობა ისაა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის თაობაზე (სუსგ საქმე №ას-ას-538-511-2014, 24 დეკემბერი, 2015 წელი).

9.6. ამასთანავე, ამგვარი გადაწყვეტილება არ შეიძლება გარკვეული სანქცია იყოს მხარისათვის, რათა დაუსაბუთებლად, საქმის ვითარების გაურკვევლად არ დაეკისროს მოპასუხეს ის, რის წინააღმდეგაც კონსტიტუციით გარანტირებული შედავებისა თუ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობაც გააჩნია (იხ. სუსგ საქმე №ას-1453-1371-2012, 25 დეკემბერი, 2012 წელი).

9.7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე

მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები (გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები) ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის

9.8. განსახილველ დავაში კასატორი მის წინააღმდეგ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებებს სადავოდ ხდის ძირითადად იმ საფუძვლით, რომ სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები და შეცდომით დაადგინეს სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების თარიღი მაშინ, როდესაც სასამართლო გზავნილის მიმღები – ლ. გ-ი არ წარმოადგენდა გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს.

9.9. კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიის შემომნების მიზნით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომელიც გზავნილის ორგანიზაციისათვის გაგზავნისა და ჩაბარების წესს არეგულირებს. კერძოდ, ნორმის დისპოზიციის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზეკლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

9.10. დასახელებული ნორმის ანალიზით ჩანს, რომ კანონმდებელი ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს. ნორმის ამ ნაწილით კანონმდებელი შეგნებულად არ აზუსტებს კონკრეტული პირის უფლებამოსილებას შეტყობინების ჩაბარებაზე და ალტერნატიულად ჩამოთვლის იმ პირთა ვინაობის ზოგად დასახელებას, რომელთაც უფლება აქვთ შეტყობინება ჩაიბარონ ორგანიზაციის სა-

ხელით. ამ პირთა წრეს განეკუთვნებიან: კანცელარია ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ანდა პირი, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. უფლებამოსილ პირად გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფორმით იმყოფება შრომით ურთიერთობაში ორგანიზაციასთან. თავის მხრივ, შრომითი ურთიერთობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის იმგვარი ურთიერთობაა, რაც დასაქმებული პირის ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად, ავალდებულებს მას კეთილსინდისიერად განახორციელოს ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების ჩაბარება. ნორმის ზემოაღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ განმარტება არ გამომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან (იხ. სუსგ საქმე №ას-1289-1309-2011, 14 ნოემბერი, 2011 წელი).

9.11. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ასახულ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ლ. გ-ი იყო თუ არა მოპასუხე ორგანიზაციის თანამშრომელი, ვინაიდან მოპასუხე აღიარებდა მის მიერ გზავნილის თუნდაც დაგვიანებით მიღების ფაქტს, არ არსებობდა გაშვებული საპროცესო ვადის (შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის) საპატიოდ მიჩნევის საფუძველი.

9.12. უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაში განმარტებულია, რომ მიუხედავად გზავნილის მიმღები პირის თანამდებობისა, ის ფაქტი, რომ მხარე შრომით ურთიერთობაში იმყოფება ორგანიზაციასთან, სწორედ მისი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობაა და სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე ამ პირის მიერ ხელის მოწერა სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება (შდრ. იხ. სუსგ №ას-1082-1032-2014, 30 ივლისი, 2015 წელი).

9.13. ამრიგად, დადგენილი სასამართლო პრაქტიკა სადავოობის შემთხვევაში, ორგანიზაციისათვის გაგზავნილ უწყებაზე ხელმომწერი პირის გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ პირად მიჩნევას სწორედ მის ორგანიზაციასთან რაიმე სახით შრომით ურთიერთობაში ყოფნას უკავშირებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ, მართალია, მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის გაგზავნილი დოკუმენტები მოპასუხის ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე (ქ. ხაშური, სოფ ...) ჩაიბარა ლ. გ-მა, როგორც ბუღალტერმა (საფოსტო გზავნილში გზავნილის მიმღების სწორედ აღნიშნული სტატუსია მითითებული-

ლი), თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გზავნილის ჩაბარების დროისათვის ლ. გ-ი მოპასუხე კომპანიის ბუღალტერი არ ყოფილა და არც სხვა რაიმე სახის შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა მასთან. იგი ფოსტის წარმომადგენლის კომპანიაში ვიზიტისას ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომლის თხოვნით იმყოფებოდა ოფისში და ახდენდა ელექტრონულ პროგრამაში გარკვეული მონაცემების სისტემატიზებას, ხოლო ვინაიდან იყო შაბათი დღე და კურიერმა ვერავენ ნახა შენობაში, გზავნილი მისივე თხოვნით ლ. გ-მა ჩაიბარა.

9.14. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოპასუხის მიერ წარდგენილ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 ივნისის №04/3/10699 ცნობას, რომლითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 28 ნოემბრიდან ლ. გ-ი გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომელია და იგი ცნობის გაცემის დღესაც აღნიშნულ სამსახურში აგრძელებს მუშაობას მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და დავალებათა კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 28 მარტის ცნობით კი დგინდება, რომ ლ. გ-ს, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 28 მარტის ჩათვლით მიღებული აქვს შემოსავალი ხელფასის სახით.

9.15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია მოპასუხე კომპანიისთვის გაგზავნილი დოკუმენტების ჩაბარება იმ პირის მიერ, რომელსაც რაიმე სახის შრომითი ურთიერთობა არ აკავშირებდა მოპასუხესთან, საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით გზავნილის ჩაბარების თაობაზე კასატორის პრეტენზიას, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად, შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უზღუდავდა სასამართლო.

9.16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამარ-

თლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

9.17. რაც შეეხება კასატორის დანარჩენ პრეტენზიებს სარჩელის არსებითად გადაწყვეტისა და მოსარჩელის არასათანადოობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხები უნდა შეფასდეს მას შემდეგ, როდესაც სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების კანონიერებაზე იმსჯელებს.

9.18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ჩ.რ.ბ.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო მტკიცებულება

მტკიცებულებათა შუასაბა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-777-734-2015

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 28 მარტს სს „ს-ასა“ (შემდეგში – მოსარჩელე, კორპორაცია ან კასატორი) და დ. ხ-ეს (შემდეგში – მოპასუხე ან შემსყიდველი) შორის გაფორმდა №ლ/0329/11 ხელშეკრულება სიმინდის თესლის ნასყიდობის თაობაზე [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 477-ე მუხლი].

2. მოპასუხემ მოსარჩელისაგან შეიძინა 9 600 ლარის ღირებულების სიმინდის თესლი (იხ. ხელშეკრულება), რისთვისაც ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული წესით უნდა გადაეხადა თანხა.

3. შემსყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიიღო 2011 წლის 20 აპრილს, რაზეც შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა (იხ. აქტი), თუმცა, მას თანხა არ გადაუხდია.

4. კორპორაციამ, 2013 წლის 25 ნოემბერს, შემსყიდველს წერილობით მიუთითა, გადაეხადა თანხა არაუგვიანეს 2013 წლის 30 ნოემბრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყებდა სააღსრულებო წარმოებას.

5. 2013 წლის 11 დეკემბერს, დავალიანების გადახდევინების მიზნით, მოსარჩელემ დაიწყო გამარტივებული წარმოება (იხ. აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება).

6. საქმის მასალებშია 2014 წლის 31 იანვრის შეტყობინება მორიგების შეთავაზების შესახებ, რომლის თანახმად, შემსყიდველმა კორპორაციას შესთავაზა გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც დაფარავდა 9 600 ლარს (იხ. შეტყობინება), თუმცა, შეთავა-

ზება უპასუხოდ დარჩა.

7. 2014 წლის 17 თებერვალს კორპორაციამ სარჩელი აღძრა შემსყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ნასყიდობის საფასურის 9 600 ლარის დაკისრება (სსკ-ს 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, იხ. სარჩელი).

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/2393-14) კორპორაციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სსკ-ის 50-ე, 316-ე-317-ე, 319-ე, 327-ე, 341-ე, 352-ე, 361-ე, 405-ე, 487-ე-488-ე, 491-ე, 495-ე მუხლებზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების პირობას წარმოადგენდა სათესლე მასალის ვარგისიანობა და იმ მიზნის მიღწევა, რასაც, ერთი მხრივ, მოპასუხე მითითებული სათესლე მასალის თაობაზე არსებულ სარეკლამო შეთავაზებებსა და, მეორე მხრივ, უხვმოსავლიანობას (ხუთმაგი ოდენობა) უკავშირებდა. შემსყიდველისათვის, სათესლე მასალის დათესვის შედეგად, მოსავლის და, რაც ნიშანდობლივია, უხვი მოსავლის მიღება იყო არსებითი პირობა, რომლის გარეშეც ხსენებულ სათესლე მასალას არ შეიძენდა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოპასუხემ მოსავალი ვერ მიიღო. აღნიშნულის მიზეზად დადგინდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ნაკლი – სიმინდის თესლის უხარისხობა, რითაც როგორც ძირითადად მსესხებელმა, ასევე თავდებმა პირებმა დაარღვიეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იყო ვარგისი, უხვი მოსავლის მომცემი სათესლე მასალის მიწოდება შემსყიდველისათვის, რაც არ შესრულებულა. შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდაზე უარის თქმა, წარმოადგენდა მის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმას. ვინაიდან ნივთის ნაკლი აღმოჩნდა მისი გადამუშავების შემდეგ, აღნიშნული მოპასუხეს უფლებას აძლევდა, უარი ეთქვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებაზე.

10. კორპორაციამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

11. კორპორაციის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ შემსყიდველმა ვერ მიიღო მოსავალი. კორპორაციის მითითებით, სიმინდის დათესვის შემდეგ გასული იყო სამი წელი და ამ პერიოდში, შემსყიდველს მისთვის არ

მიუმართავს. მოსავლის მიუღებლობა არც მონმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა. რამდენიმე მონმეს დეტალები არ ახსოვდა, ვერ იხსენებდნენ წელს, თუ როდის დაითესა სიმინდი და ა.შ. დადასტურებული არ იყო ის გარემოება, რომ შემსყიდველმა ყველა აგროსამუშაო თანმიმდევრულად და ზედმიწევნით შეასრულა.

12. კორპორაციის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ მინოდებული სათესლე მასალა არ იყო სათანადო ხარისხის. მოსარჩელემ არაერთი მტკიცებულება წარუდგინა სასამართლოს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნები, რის საპირისპიროდაც შემსყიდველმა წარმოადგინა მხოლოდ საინფორმაციო ბროშურები და რეკლამის ვიდეო ჩანაწერი, რაც, თავის მხრივ, არ აკნინებდა ნივთს. ასევე, წარდგენილი იყო შპს „მ-ის“ ლაბორატორიული ანალიზი, თუმცა, ლაბორატორიის დირექტორმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მათ კორპორაციის კუთვნილი ნივთი შეამოწმეს. კორპორაცია აღნიშნავდა, რომ სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ შემსყიდველი სიმინდის თესლს ფლობდა მხოლოდ 2011 წლის განმავლობაში, დასკვნა კი გაკეთდა 2013 წელს, ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე. ამასთან, პასუხი არ გაეცა შეკითხვას, რით დასტურდებოდა შემოწმებულ სიმინდსა და კორპორაციის მიერ რეალიზებულ სიმინდს შორის კავშირი, შენახვის წესების დაცვა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ აკრედიტაციის უქონლობაზე, რაც ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, იყო ანალიზის დამაკნინებელი გარემოება. მხოლოდ იმის გამო, რომ სიმინდის თესლის ანალიზი საქართველოში ჩატარდა, სასამართლომ არასწორად მიანიჭა უპირატესი მნიშვნელობა მას საერთაშორისო ლაბორატორიების დასკვნებთან მიმართებაში.

13. კორპორაციის მოსაზრებით, ნივთის გამოცდასთან დაკავშირებით, გარკვეული ქმედებების გამხორციელებაზე, ყურადღების გამახვილება დაუსაბუთებელი იყო. ხელშეკრულების 6.1. მუხლი ითვალისწინებდა კორპორაციის უფლებამოსილებას, განეხორციელებინა გარკვეული ტექნიკური კონტროლი, თუმცა, აღნიშნული საკითხი არასდროს დამდგარა და არ წარმოადგენდა დავის განხილვისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას.

14. კორპორაციის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მონმე ე. ფ-ის ჩვენება, რომლის პასუხები კითხვებზე არასერიოზული და არაადეკვატური იყო.

15. კორპორაციის განმარტებით, „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოქმედე-

ბის განუხორციელებლობა, რაც უფლებაა და არა მოვალეობა, სასამართლომ არასწორად განიხილა ვარგისიანობის კონტექსტში. კორპორაციამ განმარტა აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო და მიზანი, რასაც შემსყიდველმა ვერანაირი მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა.

16. კორპორაციამ მიუთითა, რომ მან შეასრულა ხელშეკრულებით და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სახის ვალდებულება. კერძოდ, შემსყიდველს გადასცა შეთანხმებული ხარისხის მაჩვენებლის მქონე სიმინდი. სსკ-ის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი გადასცა, რაც დასტურდებოდა მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველს პრეტენზია არ ჰქონია. ამასთან, ნასყიდობის საგანი არ განეკუთვნებოდა ისეთი კატეგორიის ნივთს, რომლის ნაკლის დასადგენად საჭირო იყო მხოლოდ მისი გადამუშავება ან გარდაქმნა. ამას ცხადჰყოფდა შპს „მ-ის“ დასკვნაც, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე, 15 დღის ვადაში შესაძლებელია ზოგადად სხვადასხვა სიმინდის აღმოცენების განსაზღვრა.

17. კორპორაციის მოსაზრებით, შემსყიდველის, როგორც მენარმე სუბიექტისადმი უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც შემსყიდველი ვალდებული იყო, გონივრულ ვადაში შეემოწმებინა ნასყიდობის საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წაერთმეოდა პრეტენზიის უფლება.

18. კორპორაციის განმარტებით, გამარტივებული წარმოების ეტაპზე რესპოდენტმა/მონინააღმდეგე მხარემ აღიარა დავალიანება და გამყიდველს შესთავაზა გადახდის გრაფიკი. ამის თაობაზე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება კორპორაციამ, ასევე წარადგინა შესაბამისი დოკუმენტი, შეთავაზება მორიგების შესახებ, რომელიც ინიცირებული იყო მონინააღმდეგე მხარის მიერ და სადაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული, რომ შემსყიდველი აღიარებდა დავალიანებას.

19. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 918-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რესპოდენტის მხრიდან მორიგების შეთავაზებად ითვლება შემთხვევა, როდესაც რესპოდენტი მართებულად მიიჩნევს დავალიანების ოდენობას ან მის ნაწილს, მაგრამ ითხოვს დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვის ვადის გაზრდას ან განაწილვადებას. ეს საკითხი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას არაერთხელ წამოჭრა კორპორაციამ.

20. კორპორაცია მიიჩნევს, რომ სასამართლომ ყურადღება არ

გამახვილა იმ გარემოებაზე, თუ რატომ აპირებდა დავალიანების გადახდას შემსყიდველი, თუკი მოსავალი არ მიუღია. სასამართლომ ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა სსკ-ის 341-ე მუხლის საფუძველზე და არა „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 918-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელიც სპეციალური და უფრო ახალი კანონია. სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს, გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი.

21. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინებით კორპორაციის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

23. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაიკითხნენ პირები (ზ. კ-ი, მ. ქ-ე, ნ. კ-ე), რომლებიც შემსყიდველის მეზობლები არიან და უშუალოდ იყვნენ ჩართულები სათანადო (სახნავე-სათესი, სასუქით მომარაგების, მორწყვის) სამუშაოების წარმოებაში. მოწმეებს უშუალოდ აქვთ ნანახი და იციან მოსავლის მიუღებლობის თაობაზე არსებული ფაქტობრივი გარემოება, რაც, მათი განმარტებით, არ წარმოადგენს მითითებულ სათესლე მასალასთან დაკავშირებით მხოლოდ მოპასუხის პრობლემას და საგამონაკლისო შემთხვევას (იხ. მოწმეთა ჩვენებები, 2014 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი). ამის საპირისპიროდ, კორპორაციამ განმარტა, რომ მისთვის უცნობია, მიიღო თუ არა მხარემ მოსავალი, ხოლო თუკი მოსავალი ვერ მიიღო, შესაძლებელია, ეს შემსყიდველის მიერ გარკვეული სამუშაოების არასათანადო ჩატარებას გამოეწვია.

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, ისეთ პირობებში, როცა მოპასუხე საქმეზე წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულებებით ადასტურებდა მისი განმარტებების საფუძვლიანობას, მოსარჩელის მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითება, რომ გარკვეული სახის სამუშაოების დარღვევას შეიძლებოდა გამოეწვია სიმინდის მოსავლის მიუღებლობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად არ იქნა გაზიარებული. აღსანიშნავია ისიც, რომ კორპორაციას არ მიუთითებია, კონკრეტულად რა მოქმედება უნდა განეხორციელებინა შემსყიდველს, რა სახის სამუშაო უნდა ჩატარებინა, რომლის გარეშეც შეიძლებოდა დამდგარიყო მსგავსი შედეგი.

25. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კორპორაციამ შემსყიდველს მიაწოდა არასათანადო ხარისხის სათესლე მასალა. დავის გადასაწყვეტად, უნდა დადგენილიყო, აკმაყოფილებდა თუ არა სიმინდის თესლის ხარისხი იმ მოსალოდნელ შედეგს, რაც ტელევიზიით და სხვადასხვა ბროშურებით ვრცელდებოდა, რამაც განაპირობა შემსყიდველის ინტერესი ამ სათესლე მასალისადმი.

26. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ შპს „მ-ის“ ლაბორატორიის და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ე-ის კვლევაზე, სადაც აღნიშნულია გამოსაკვლევად წარდგენილი სიმინდის თესლის უხარისხობასა და სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე. დასკვნაში აღნიშნულია: თესლის სიმინდეზე ჩატარებული აღრიცხვებით დადგინდა, რომ ის არ შეიცავს გარეშე მინარევებს. მაგნიტურ დაავადებათა გავრცელება არ აღინიშნება. მარცვალი, სიდიდისა და მოცულობის მიხედვით, მეტად განსხვავებულია ერთმანეთისაგან (დაუკალიბრებელია), 1 000 მარცვლის აბსოლუტური წონა შეადგენს 260 გრ. თესლის გაღვივების ენერჯისა და უნარებზე ჩატარებული აღრიცხვიანობით დადგინდა, რომ გაღვივების ენერჯია შეადგენს 22-25%-ს, ხოლო გაღვივების უნარი 23-25%-ს და არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ლაბორატორიის პირობებში წარმოდგენილი თესლის გარკვეული ნაწილი ჩათესილ იქნა სავეგეტაციო ქოთნებში მომზადებულ ნიადაგში. ამ შემთხვევაში ნიადაგში ჩათესილი მარცვლის 8% აღმოცენდა. ჩატარებული ცდებისა და დაკვირვების შედეგი საფუძველს იძლევა დადასტურდეს, რომ დამკვეთის მიერ წარდგენილი სიმინდის მარცვალი არ შეესაბამებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამდენად, მისი სათესლედ გამოყენება დაუშვებელი იყო.

27. პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გამხდარა შპს „მ-ის“ ექსპერტის კვალიფიკაცია და გამოცდილება მითითებულ სფეროში. სააპელაციო საჩივარში კორპორაცია უთითებდა, რომ ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნდა „მ-ის“ ლაბორატორიის და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მიერ ჩატარებულ კვლევაზე, აკრედიტაციის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და აღნიშნავდა, რომ წარმოდგენილი კვლევით არ დასტურდებოდა შემომნებულ სიმინდის თესლსა და კორპორაციის მიერ რეალიზებულ სიმინდს შორის კავშირი, შენახვის წესების დაცვა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალი.

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კვლევით დგინდებოდა, შპს „მ-ს“ თესვითი ხარისხის შესაბამისად მასალა გადასცა „სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით დაზარალებულთა კავშირის“ თავმჯდომარემ, ე. ფ-ემ. საკ-

ვლევად წარდგენილი იყო სათესლე სიმინდის „პ.“ (...) ჰიბრიდის ნიმუში. ანალიზის შედეგის კავშირი უშუალოდ კორპორაციის მიერ რეალიზებულ სიმინდის მარცვალთან და თესლის ვარგისიანობასთან, რომელმაც ამომწურავად დაასახელა, თუ რა სახის სათესლე მასალა წარადგინა კვლევისათვის, რა სახით ინახებოდა აღნიშნული მასალა მასთან და მიუთითა, რომ მის მიერ მითითებული თესლიც შეიძინა კორპორაციისაგან.

29. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული კვლევა ჩატარდა საქართველოში შემოსული თესლის ნიმუშზე და, ალბათობის მეტი ხარისხით, იძლეოდა პასუხს უკვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თესლის ვარგისიანობაზე, საქმეში არსებული სერტიფიკატებისაგან განსხვავებით, რომელთა თანახმად, სათესლე მასალა შემონმდა რუმინეთის რესპუბლიკაში, თუმცა, მისი კავშირი საქართველოში შემოსულ თესლთან ცალსახად არ იკვეთებოდა.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, მართებულად იხელმძღვანელა ნასყიდობის ხელშეკრულებებით, საინფორმაციო ბროშურებით, სარეკლამო რგოლის შინაარსით, შესაბამისი ხარისხის სერტიფიკატებით, სიმინდის თესლის ანალიზის შედეგებით, საქმეზე მონმის სტატუსით მონვეული პირებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით და, მტკიცებულებათა ერთობლიობით შეფასების შედეგად, მართებულად მიიჩნია დადგენილად ნასყიდობის საგნის – სათესლე მასალის არავარგისიანობა.

31. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა სსკ-ის 327-ე, 352-ე, 405-ე 487-ე-488-ე, 491-ე მუხლები და მიუთითა, რომ ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი არ განსაზღვრავს, ამ პირობებს მხარეები თვითონ განსაზღვრავენ და ასეთად ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები მიიჩნევა, რომლებზედაც მხარეები უნდა შეთანხმდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ დაიდება. ხელშეკრულების არსებით პირობებს შეიძლება მიეკუთვნოს ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეები, მხარეთა მიერ განსახორციელებელი შესრულება და ა.შ. განსახილველ შემთხვევაში, ასეთ არსებით პირობას წარმოადგენდა სათესლე მასალის ვარგისიანობა და იმ მიზნის მიღწევა, რასაც შემსყიდველი მითითებული სათესლე მასალის შესახებ არსებულ სარეკლამო შეთავაზებებსა და უხმოსავლიანობას (ხუთმაგი ოდენობის) უკავშირებდა. შემსყიდველმა მოსავალი ვერ მიიღო, ამის მიზეზად დგინდება ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ნაკლი – სი-

მინდის თესლის უხარისხობა.

32. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ვარგისი, უხვი მოსავლის მომცემი სათესლე მასალის მიწოდება შემსყიდველისათვის, რაც არ შესრულებულა. ვინაიდან ნივთის გადამუშავების შემდეგ აღმოჩნდა ნაკლი, აღნიშნული შემსყიდველს აძლევდა უფლებას, უარი ეთქვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებაზე.

33. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, სსკ-ის 495-ე მუხლზე დაყრდნობით, ნივთის ნაკლზე პრეტენზიის უფლების დაკარგვის თაობაზე. მოხმობილი ნორმის თანახმად, თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

34. სასამართლომ განმარტა, რომ კანონი მყიდველს არ ავალებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს მისი ხარისხი, ამ მხრივ გამონაკლისია დაწესებული იმ მყიდველისთვის, რომელიც სამენარმეო საქმიანობას ეწევა. კანონმდებლობა მენარმეს ავალებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს იგი. მენარმე ვალდებულია ან თვითონ შეამოწმოს ნივთი, ან უზრუნველყოს მისი შემოწმება, ვითარების შესაბამისად, მაქსიმალურად მოკლე დროში. თუ მყიდველი ნაკლს აღმოაჩენს შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას (რეკლამაციას) მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც მართებულადაა აღნიშნული, ნაკლთან მიმართებით შემოწმების ვალდებულება მხოლოდ იმ ვითარებაში უნდა მოხდეს, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მენარმე სუბიექტია ან/და ნასყიდობის საგანი მისი სამენარმეო საქმიანობის სფეროს უკავშირდება და შესაბამისად, მისი კომპეტენცია, გამოცდილება ამ სფეროში სხვა რიგითი ფიზიკური პირისაგან განსხვავებულია.

35. სასამართლომ მიუთითა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სამართლებრივ ურთიერთობაში მოპასუხე მონაწილეობდა, როგორც ფიზიკური პირი და არსად დაფიქსირებულა მისი მენარმის სტატუსი. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო ასევე ნასყიდობის საგნის სპეციფიკა, რაც,

სპეციალური კვლევის გარეშე, შეუძლებელს ხდიდა სათესლე მასალის ვარგისიანობის დაუყოვნებლივ შემოწმებას.

36. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი კორპორაციის მსჯელობა, რომ გამარტივებული წარმოების ეტაპზე, რესპონდენტმა/მონინააღმდეგემ აღიარა დავალიანება, რაც კორპორაციის მიერ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

37. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 341-ე მუხლის სწორი განმარტების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია ვალის აღიარებად და ვალდებულების წარმოშობის საფუძველად შემსყიდველის მიერ კორპორაციისათვის მორიგების შეთავაზება გამარტივებული წარმოების ეტაპზე. შემსყიდველის შეთავაზება მორიგებაზე, თავისი შინაარსით, არ აკმაყოფილებდა ვალის აღიარებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. აღნიშნული შეთავაზება გამომდინარეობდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომელიც მიზნად ისახავდა აპლიკანტსა (კორპორაცია) და რესპონდენტს (შემსყიდველი) შორის მორიგების პირობებზე შეთანხმებას და ვერ მიიჩნეოდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დამოუკიდებელ საფუძველად.

38. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ სახეზე იყო ნორმათა კოლიზია და, სსკ-ის მე-2 მუხლის საფუძველზე, არსებობდა უფრო ახალი და სპეციალური კანონის გამოყენების წინაპირობა. სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველებს ადგენს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 317-ე მუხლის თანახმად: ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. რაც შეეხება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის XVII-ე თავით დადგენილ სპეციალურ წესებს, იგი განსაზღვრავს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოების პროცედურებს. კანონის 918-ე მუხლი ადგენს სწორედ ამ წარმოების ფარგლებში მორიგების შესაძლებლობას (რაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებას წარმოადგენს), რასაც ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს, რესპონდენტის პრო-

ტესტის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კორპორაციის მიერ მითითებული ნორმა, დავის სასამართლოში განხილვისას, ვერ მიიჩნეოდა ვალდებულების წარმოშობის დამოუკიდებელ და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა კორპორაციის სარჩელი შემსყიდველისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

39. კორპორაციამ, საკასაციო წესით, გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

40. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

40.1. მოწინააღმდეგე მხარემ ვერ დაასაბუთა, სიმინდი რა მიზნით შეიძინა. ორმხრივად გაფორმებული არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ხელშეკრულების არსებით პირობას ხუთმაგი მოსავლის მიღება წარმოადგენდა. ხელშეკრულების მიზანს სიმინდის თესლის შექმნა წარმოადგენდა, ხოლო სხვა გარემოებები, რაზეც სააპელაციო სასამართლო უთითებს, სადავოა და ცალკე განმარტებას საჭიროებს, რაც არ მომხდარა. მოწინააღმდეგე მხარეს, მტკიცების ტვირთის ფარგლებში, უნდა დაემტკიცებინა, რომ სიმინდი დასათესად შეიძინა და არა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

40.2. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ვინაიდან სიმინდის სათესლე მასალა არ განეკუთვნება იმ კატეგორიის თესლს, რომლის ნაკლის აღმოსაჩენად საჭირო იყო მისი გარდაქმნა, ან გადამუშავება, რასაც ადასტურებს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი ლაბორატორიული დასკვნა. კასატორის მითითებით, სიმინდის მასალა არ არის იმ ჩარჩოებში მოქცეული, რაზეც სასამართლო აპელირებს, შესაბამისად, შემსყიდველის მიერ საფასურის გადახდაზე უარის თქმა, ვერ ჩაითვლება ხელშეკრულებაზე უარის თქმად.

40.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოწინააღმდეგე რეგისტრირებულია ინდ. მენარმედ, მასზე ვრცელდება ყველა საგადასახადო ნორმა, როგორც მენარმეზე და მას, სსკ-ის 495-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის ვარგისიანობა, შექმნიდან გონივრულ ვადაში, უნდა შეემონებინა, რისი განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, მოთხოვნის უფლება ერთმეოდა. მოწინააღმდეგეს უნდა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ იგი სხვა მიზნით იყო დარეგისტრირებული ინდ. მენარმედ. კასატორის მოსაზრებით, მნიშვნელოვა-

ნია, უზენაესმა სასამართლომ განმარტოს საკითხი იმის შესახებ, ინდ. მენარმე წარმოადგენს თუ არა ყველანაირი გაგებით მენარმე სუბიექტს. აღნიშნული საკითხის განმარტება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ არასაკმარისია, საკითხი იშვიათ სამართლებრივ პრობლემას ეხება და უზენაესი სასამართლოსეული განმარტება ამ საკითხს სამართლებრივად დაარეგულირებს.

40.4. სასამართლომ არ გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ საქართველოს კანონის 918-ე მუხლი, რომლის თანახმად, შემსყიდველის განცხადება მორიგების შესახებ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დავალიანების აღიარებას ნიშნავს. კასატორმა გაიმეორა სააპელაციო სასამართლოში გაცხადებული პოზიცია, რომელიც ამ განჩინების მე-20 პუნქტშია მითითებული.

40.5. სააპელაციო სასამართლო შემსყიდველის მიერ მოსავლის მიუღებლობასთან დაკავშირებით, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს დაეყრდნო, რომლებიც ვერ ასაბუთებენ და ადასტურებენ გარკვეულ გარემოებებს, ამასთან ისინი წარმოადგენდნენ მონინაალმდევე მხარესთან დაახლოებულ პირებს.

40.6. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ლაბორატორიული დასკვნის საფუძვლიანობაზე, ამასთან, საერთაშორისო ლაბორატორიების მიერ ჩატარებულ დასკვნებთან შედარებით, საქართველოში მომზადებულ დასკვნას მიანიჭა უპირატესობა, თუმცა, ამ ლაბორატორიას აკრედიტაციაც კი არ აქვს მინიჭებული. ლაბორატორიის დასკვნა და მოწმე ე. ფ-ის განმარტებები (ეს უკანასკნელი პირდაპირ არის დაინტერესებული სასამართლო დავის შედეგით), არ იძლევა პასუხებს კითხვებზე, 2 წლის შემდეგ გაურკვეველ გარემოებებში არსებულ არაიდენტიფიცირებულ სიმინდის თესლზე.

40.7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით კორპორაციის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 22 ოქტომბერს დასაშვებად ცნო, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

41. შემსყიდველმა 2015 წლის 15 დეკემბერს დაზუსტებული საკასაციო შესაგებელი და დამატებით წერილობითი მოსაზრებები (სამართლებრივი დასკვნები) წარმოადგინა საკასაციო საჩივართან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება, პირიქით, შეესაბამება, ანალოგიურ საქმეზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №ას-230-217-2015). განსახილველ საქმეში, მონინაალმდევემ უფრო მე-

ტი და ბევრად მნიშვნელოვანი მტკიცებულება წარმოადგინა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ვიდრე საკასაციო სასამართლოს დასახელებულ საქმეშია.

41.1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის 46.1 მუხლზე მითითებით, შემსყიდველი აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, რაც ნაკლიანი ნივთის შეთავაზების წინაპირობას წარმოადგენს და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია; მითითებული კანონი 2010 წლის დეკემბრის ბოლოსაა მიღებული და, მისი მოქმედების პერიოდში, 2011 წელს შემოიტანა კორპორაციამ საქართველოში სათესლე მასლა და მოახდინა მისი რეალიზება;

41.2. შემსყიდველი უთითებს აპოსტილით დამოწმებულ და ლეგალიზებულ დოკუმენტებს შორის განსხვავებებზე იმ კონტექსტში, რომ საქმის პირველივე ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მოპასუხემ სადავოდ გახადა ხარისხის სერტიფიკატის ნამდვილობა, მიუთითა ფიტოსანიტარული სერტიფიკატის არარსებობასა და მის მიზანზე;

41.3. სსკ-ის 487-ე, 488-ე მუხლებზე დაყრდნობით, მოპასუხე უთითებს ნივთის ნაკლზე; შემსყიდველი უთითებს, სათესლე მასალის თაობაზე, რეიტინგულ ტელეკომპანიებში, ბროშურებსა და ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ რეკლამებზე, რომელთა მიხედვით, კორპორაციის მიერ შეთავაზებული სასიმინდე თესლი უპრეცედენტოდ მაღალი მოსავლისა და უნიკალური თვისებების მქონე პროდუქტი იყო, ასევე, აპელირებს რეკლამის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე;

41.4. შემსყიდველი აღნიშნავს, რომ საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, რომელთაც დაადასტურეს სიმინდის მოსავლის მიუღებლობის ფაქტი, თუმცა, ესეც რომ არ დასტურდებოდეს, მოპასუხე აპელირებს, რომ კორპორაციამ ვერ განმარტა, თუ რას ნიშნავს გვაღვაგამძლეობა და ხუთმაგი მოსავალი და უთითებს სსკ-ის 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლებზე, ასევე 495-ე მუხლზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე.

41.5. შემსყიდველმა ვერ მიიღო მოსავალი, რაც დამტკიცდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, კერძოდ, სიმინდის მარცვლის ნაკლის არსებობა, აღნიშნული კი მყიდველს აძლევს უფლებას, უარი თქვას თანხის გადახდაზე (ღირებულების ანაზღაურებაზე);

41.6. კორპორაციამ საქართველოში შემოიტანა სიმინდის ჯიში, რომელიც არ არის საქართველოში კანონით დადგენილი წესით გამოცდილი, არ არის არსებულ კლიმატთან და ნიადაგთან შეგუებული, არც საქპატენტშია რეგისტრირებული სელექციონერის უფლებით და არ არის გაცემული პ-ის ჯიშის სიმინდზე რეგისტრაციის

მონმოზა. კორპორაციამ ნაკლის მქონე ნივთის რეალიზება მოახდინა არა მხოლოდ მოპასუხესთან, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, კორპორაციის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

42. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

43. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება კასატორის პრეტენზიებს, რომლებიც წინამდებარე განჩინების 40.3 და 40.4 ქვეპუნქტებშია მითითებული, ამასთან, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც განჩინების 33-34 და 35-38 პუნქტებშია ჩამოყალიბებული.

44. სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ კრედიტორმა, ნასყიდობის საგნის გადაცემის შემდეგ, მოითხოვა შესრულება (იხ. განჩინების 1-4 პუნქტები), ხოლო შემდეგ, სარჩელის აღძვრით, გავიდა ხელშეკრულებიდან. საგულისხმოა, რომ მოპასუხეს, ნივთის ნაკლის გამო, არ მოუთხოვია ხელშეკრულების მოშლა სსკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე (სსკ-ის 491-ე მუხლი), არც მოთხოვნათა გაქვითვა ან ნივთის გამოცვლა. შემსყიდველმა სარჩელზე შესაგებლის წარდგენით, სადაც აღნიშნავდა, რომ საერთოდ არ მიუღია მოსავალი, უარყო ნასყიდობის საფასურის გადახდა, რითაც მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე.

45. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში განთავსებულ შპს „მ-ის“ დასკვნაზე, რომლის თანახმად, „ლაბორატორიულ პირობებში წარმოდგენილი თესლის გარკვეული ნაწილი ჩათესილ იქნა სავეგეტაციო ქოთნებში მომზადე-

ბულ ნიადაგში. ამ შემთხვევაში ნიადაგში ჩათესილი მარცვლის 8% აღმოცენდა“. მითითებული მსჯელობით, არ დგინდება, საეეგეტაციო ქოთნებში მომზადებული ნიადაგი არის თუ არა კონკრეტული სასიმიინდე თესლის აღმოცენებისათვის შესატყვისი ის ბუნებრივი გარემო და პირობები, რომელიც დაადასტურებდა, რომ სათესლე მასალა გამოყენებულია იდენტურ ნიადაგსა და პირობებში, რომელიც ჩვეულებრივ, კონკრეტული სპეციფიკაციის სათესლე მასალის აღმოცენებას უკავშირდება; ასევე, დაუდგენელია, ლაბორატორიული ანალიზის შედეგებით, ქოთნებში აღმოცენებული სიმიინდის მარცვლის 8%, ადასტურებს თუ არა, რომ სათესლე ჯიშის მასალის ბუნებრივ გარემოში დათესვა, მარცვლის აღმოცენებას უფრო მეტი ან ნაკლები პროცენტით გამოიწვევდა. აღნიშნული ფაქტების კვლევისა და დადგენის კომპეტენცია სცილდება საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, თუმცა, სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია კონკრეტული ფაქტების დადგენა, რათა განსახილველ დავაში, შეფასდეს, საერთოდ მიიღო თუ არა შემსყიდველმა შეძენილი სასიმიინდე მასალით მოსავალი, რადგან კასატორი ამ ფაქტობრივ გარემოებაზეც დავობს (იხ. განჩინების მე-11, მე-16 პუნქტები). მისი მოსაზრებით, შპს „მ-ის“ დასკვნაც ცხად-ჰყოფდა, რომ ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე, 15 დღეში, შესაძლებელია ზოგადად სხვადასხვა სიმიინდის აღმოცენების განსაზღვრა. კასატორი დავობს იმაზეც, რომ ლაბორატორიული ანალიზისათვის სათესლე მასალა გადაცემულია 2013 წელს, მაშინ, როდესაც 2011 წელს უნდა დათესილიყო მოსავალი. აქედან გამომდინარე, ასევე დასადგენია, 2013 წელს საკვლევად გამოყენებული სათესლე მასალა, თავისი თვისებებით, იდენტური იყო თუ არა 2011 წელს გაყიდული სასიმიინდე მარცვლის ბუნებრივი თვისებებისა, დროის გარკვეული პერიოდის გასვლამ, იმოქმედა თუ არა საკვლევ მასალაზე. მითითებული ფაქტების კვლევა და დადგენა უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებებს შექმნის, რომელთა გარეშე, შეუძლებელია სადავო სამართალურთიეთობის შეფასება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

46. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლითაც იგი დავობს, რომ საკვლევად გადაცემული თესლი არაიდენტიფიცირებულია, რადგან, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გათვალისწინებით, კორპორაციას შეეძლო, წარედგინა, შესაბამისი თესლის ნიმუში, ან სხვა სახის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რომ სადავოდ ქცეული თესლის დათესვით, სხვა პირებმა მიიღეს შემოსავალი.

47. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საკასაციო

შესაგებელსა და დამატებით წარმოდგენილ მოსაზრებებში, შემსყიდველის წარმომადგენლის მითითებას საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე | სუსგ №ას-230-217-2015, 06.05.2015წ./ და აღნიშნავს, რომ განხილული საქმის გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდება სადავო სამართალურთიერთობისაგან; კასატორის მონინაალმდეგე მხარის მიერ მითითებულ საქმეში, შემსყიდველმა პრეტენზიით მიმართა კორპორაციას, შეატყობინა, რომ მისგან შეძენილი თესლით განიცადა ზარალი და მოითხოვა დავალიანების ჩამონერა. კონკრეტულ დავაში, მოდავე მხარეებმა, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე დაყრდნობით, წარადგინეს საკუთარი მოსაზრებები და შესაბამისი მტკიცებულებები, რაც შეაფასა სასამართლომ გადანყვეტილების მიღებისას.

48. განსახილველი დავის ფარგლებში, მნიშვნელოვანია იმ გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქმეზე ობიექტური და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, კასატორის პრეტენზიებისა და არგუმენტების ნაწილობრივ გაზიარებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის.

49. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-455-455-2018

22 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხ.მ.გ-სა (შემდეგში: მოპასუხე, შემსყიდველი, შემკვეთი, გამგეობა, აპელანტი ან კასატორი) და შპს „ა-ს“ შორის, 2016 წლის 14 აპრილს, დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ა-ს“ კურორტ ბეშუმის შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოზე უნდა განეხორციელებინა ტექნიკური ზედამხედველობა. ხელშეკრულების მიხედვით შპს „ა-ი“ ღებულობდა ვალდებულებას უზრუნველყო კონტროლი საპროექტო გადანყვეტილებების დაცვასა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე შესრულებული სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან კონტროლი; საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე კონტროლი (იხ. ხელშეკრულება).

2. შპს „ლ.წ.“-სა (შემდეგში: მოსარჩელე, მიმწოდებელი, კომპანია ან მენარდე) და გამგეობას შორის, 2016 წლის 21 აპრილს, გაფორმდა ხელშეკრულება №81 (შემდეგში: ხელშეკრულება), ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ ბეშუმში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 892 791,58 (რვაას ოთხმოცდა თორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდა თერთმეტი ლარი და 58 თეთრი) ლარი. ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2016 წლის 10 მაისს და უნდა დამთავრებულიყო 80(ოთხმოცი) კალენდარულ დღეში, 2016 წლის 28 ივლისის ჩათვლით (იხ. ხელშეკრულება).

3. ხელშეკრულების 4.6 მუხლის შესაბამისად I ეტაპის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 15(თხუთმეტი) კალენდარულ დღეში,

სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, II ეტაპის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 30(ოცდაათი) კალენდარულ დღეში, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, III ეტაპის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 25(ოცდახუთი) კალენდარულ დღეში, სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ის ოდენობით და IV ეტაპის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 10(ათი) კალენდარულ დღეში, სახელშეკრულებო ღირებულების დარჩენილი 20%-ის ოდენობით (იხ. ხელშეკრულება).

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილი იყო სს „ბ. რ“-ს (შემდეგში: ბანკი ან გარანტი) მიერ 2016 წლის 21 აპრილს გაცემული (607518/09კბ) 26 783,97 ლარის საბანკო გარანტიით.

5. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის სამუშაოები შეასრულა და ანაზღაურება – 84 815,20 ლარი მიიღო.

6. შემკვეთმა, 2016 წლის 28 ივნისს, კომპანიის დირექტორის სახელზე მიმართვა №09 22910 გაგზავნა, რომლის მიხედვით, კურორტ ბეშუმში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მეორე ეტაპი 23 ივნისს უნდა დასრულებულიყო, მენარდეს სახელშეკრულებო ღირებულების 30% უნდა შესრულებინა და ტექნიკური ზედამხედველის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტი წარედგინა, რაც მიმდინარე ეტაპამდე არ წარუდგინა. მიმწოდებელს განემარტა, თუ კონკრეტული ეტაპის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში არ იქნებოდა შესრულებული ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების 90%, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდებოდა.

7. კომპანიის დირექტორმა მუნიციპალიტეტის გამგებელს, 2016 წლის 1 ივლისს, მიმართვა გაუგზავნა და შესრულებულ სამუშაოთა ფორმა №2, გადახდის სერთიფიკატი №2 და ტექ. ზედამხედველის მიერ დამონმებული ფარული სამუშაოების აქტები წარუდგინა, დანართით 59 ფურცელზე. მიმწოდებელი შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების 267854,14 ლარის გადახდას ითხოვდა.

8. შპს „ა-ის“ დირექტორის მიერ 2016 წლის 1 ივლისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისათვის გაგზავნილი №59 ნერილში აღნიშნულია – წარმოგიდგინებ მენარდის მიერ ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის შესრულებულ სამუშაოებს. პირველი ივლისის შემონმების შედეგად დადგინდა მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება 7-დღიანი დაგვიანებით, პირგასამტეხლო შეადგენს 945 ლარს. გთხოვთ უზრუნველყოთ შესრულებული სამუშაოს დაფინანსება.

9. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 იანვრის №9

ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიის სხდომა 2016 წლის 25 ივლისს გაიმართა. სხდომაზე განიხილეს გამგეობასა და კომპანიას შორის 2016 წლის 21 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №81 ხელშეკრულების ირგვლივ არსებული საკითხები და გადაწყვიტეს, მიმწოდებელს ცალმხრივად შეუწყდეს მხარეთა შორის მიმდინარე წლის 21 აპრილის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №81 ხელშეკრულება კურორტ ბეშუმში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით და მას დაეკისროს ხელშეკრულების – 9.11 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო 3%-ის ოდენობით, რაც 26 783.75 (ოცდაექვსიათას შვიდასოთხმოცდასამი ლარი და 75 თეთრი) ლარს შეადგენს. გარდა ამისა, მიმწოდებელს დაეკისროს ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული მეორე ეტაპის სამუშაოების ვადის გასვლიდან (2016 წლის 23 ივნისი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული ეტაპის ღირებულების 0.05% პირგასამტეხლო, რაც შეადგენს 133.92X10=1339,20 (ათას სამასოცდაცხრამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

10. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივლისის №594 ბრძანებით მოსარჩელეს 2016 წლის 5 ივლისიდან ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 და 9.11 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო 28122,95 ლარი დაეკისრა.

11. შემსყიდველის 2016 წლის 28 ივლისის №09/25758 მიმართვის საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ (შემდგენი: ექსპერტიზის ბიურო) დაინიშნა მეორე ეტაპის სამუშაოების შესრულების მოცულობებისა და ხარისხის შემონმების საინჟინრო ექსპერტიზა. აღნიშნული ექსპერტიზის 2016 წლის 2 აგვისტოს №5004205116 დასკვნის თანახმად, მენარდის მიერ მუნიციპალიტეტში კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მოცულობა და ღირებულება დღგ-ის გათვალისწინებით შეადგენს სულ 267854.14 ლარს. (მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტით ფორმა №2-ით) 2016 წლის 30 ივლისს მოხდა გამოსაკვლევი ობიექტების ადგილზე შესწავლა. ხილულ სამუშაოებზე ჩატარდა აზომვები. იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნებიან ფარულ სამუშაოთა კატეგორიას, (ხარჯთაღრიცხვა №1-ში საავტომობილო გზა №1 პუნქტების 1;2;3;9 და ხარჯთაღრიცხვა №3-ში საავტომობილო გზა №4 პუნქტები 1;2;3;4;5), რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო და მათთან დაკავშირებით არ იყო წარდგენი-

ლი ფარულ სამუშაოთა აქტები. ექსპერტიზის მიერ გაზიარებულ იქნა ხარჯთაღრიცხვით და ფორმა №2-ით გათვალისწინებული მოცულობები, რომელთა ჩათვლა/არჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივაა.

12. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 აგვისტოს №656 ბრძანებით შეიქმნა „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“, რომელმაც განახორციელა კურორტ ბ-ში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ფაქტიურად შესრულებულ სამუშაო მოცულობათა განსაზღვრა და 2016 წლის 18 აგვისტოს შეადგინა დასკვნა, სადაც აღნიშნულია, „ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად ვადგენთ, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულება 246 646,16 ლარია. დასკვნას ერთვის კომისიის მიერ კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციაზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დანართი“.

13. შემსყიდველმა მიმწოდებელი კომპანიის დირექტორს, 2016 წლის 23 აგვისტოს, №09/26639 წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ გამგეობა გამგებლის 2016 წლის 17 აგვისტოს №656 ბრძანებით შექმნილი „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფის“ 2016 წლის 18 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების ოდენობად მიიჩნევს 246 646,16 ლარს, ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯამურად დაკავებული პირგასამტეხლოს თანხა შეადგენს 28 122,95 ლარს, ასევე, დაუკავდა ექსპერტიზის ბიუროზე გადარიცხული თანხა – 9107,03 ლარი და საგარანტიო თანხის გამოკლებით საბოლოოდ დაკავებული თანხა შეადგენს 10 446,01 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ ანაზღაურებულია პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 84 815,20 ლარი, ჯამურად ასანაზღაურებელი თანხა 151 384,95 ლარია. აღნიშნული თანხა მენარდეს შემკვეთმა ბანკის მეშვეობით ჩაურიცხა (2016 წლის 1 სექტემბრის საგადასახადო მოთხოვნა №00011).

14. გამგეობის, 2016 წლის 8 სექტემბრის, სატენდერო კომისიის №203-1 სხდომის ოქმის თანახმად, კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ნ-ი“, რომელთანაც მოპასუხემ 2016 წლის 22 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №216 ხელშეკრულება გააფორმა. შესყიდვის ობიექტი კურორტ ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები იყო, ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 369 999,88 ლარით განისაზღვრა.

15. სარჩელის საფუძვლები

15.1. მიმწოდებელმა (მენარდემ) 2016 წლის 2 სექტემბერს სარ-

ჩელით მიმართა სასამართლოს შემსყიდველის (შემკვეთის) წინა-აღმდეგ და მოითხოვა:

15.1.1. უკანონოდ იქნეს ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, 2016 წლის 21 აპრილს, გაფორმებული №81-ე ხელშეკრულების მოპასუხის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტა და ამ მოტივით გამგეობის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (გარანტიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია – 607518/09კბ) 26 783,97 ლარის გამოთხოვა, მოპასუხეს უკანონოდ მითვისებული თანხის – 26 783,97 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება დაეკისროს;

15.1.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, შესრულებული სამუშაოს მეორე ეტაპის დარჩენილი გადაუხდეელი დავალიანება, 116 469,19 ლარი დაეკისროს;

15.1.3. მენარდისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო 28 122, 95 ლარი 5000 ლარამდე შემცირდეს;

15.1.4. შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს 23 122,95 ლარის გადახდა დაეკისროს, რომელიც უკვე აღებული აქვს გამგეობას ბანკის მიერ გაცემული №607518/09 საბანკო გარანტიით;

15.1.5. გამგეობას დაეკისროს სასამართლო ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარისა და ადვოკატის მომსახურების საფასურის – 3000 ლარის გადახდა.

15.2. მოსარჩელის განმარტებით პირველი ეტაპის სამუშაოები სრულყოფილად და დროულად იქნა შესრულებული, მეორე ეტაპის სამუშაოები კი რამდენიმე დღის დაგვიანებით შესრულდა, რაც გამონეეული იყო უმძიმესი მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობებით. შესრულებულ სამუშაოებს მოვარდნილი ღვარცოფი სრულად ანადგურებდა და თავიდან სრულდებოდა ბეტონისა თუ მიწის სამუშაოები. მოვარდნილი ნიაღვრები ანადგურებდა ახლად ჩამოსხმულ ბეტონის არხებსა და სხვა ნაგებობებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად – 2016 წლის 10 მაისიდან 11 ივლისის ჩათვლით წვიმიანი დღეების რაოდენობა შეადგენდა 40 (ორმოცი) დღეს, მათ შორის, ცალკეულ დღეებში მოსული ნალექების რაოდენობა და ტიპი განისაზღვრა როგორც შტორმული, ამინდების განსაკუთრებით გაუარესების გამო. ამ მიზეზებით მენარდემ მიმართა შემსყიდველს, წარუდგინა ზემოხსენებული სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატის დასკვნა, ითხოვა, შემკვეთს გაეთვალისწინებინა არსებული კლიმატური პირობები და გაეგრძელებინა სამუშაოების დასრულების ვადა თუნდაც 15 (თხუთმეტი) დღით, რაც სავსებით საკმარისი იქ-

ნებოდა სამუშაოების საბოლოოდ დასამთავრებლად. შემკვეთმა ანგარიში არ გაუწია არსებულ ვითარებას, არ გაითვალისწინა არც ზედამხედველი ორგანიზაციების აზრი სამუშაოების წვიმიან ამინდებში წარმოებასთან დაკავშირებით, ცალმხრივად შეწყვიტა მენარდესთან ხელშეკრულება და კომპანიას პირგასამტეხლო დააარიცხა.

16. მოპასუხის შესაგებელი

16.1. მოპასუხემ (შემკვეთმა) წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მიმწოდებელი თავიდანვე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს, სამუშაოთა წარმოება დაგვიანებით დაიწყო; 2016 წლის 10 მაისიდან მიმწოდებელმა განახორციელა მხოლოდ ტერიტორიის მონიშვნის სამუშაოები და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოება დაიწყო გამგეობის 2016 წლის 20 მაისის №09/19853 წერილობითი გაფრთხილების შემდეგ. საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები გარკვეულ დღეებში საერთოდ არ წარმოებდა ან მიმდინარეობდა წელი ტემპით, რაზედაც რამდენჯერმე იქნა მიმწოდებელი წერილობით გაფრთხილებული.

16.2. შემკვეთმა მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაზე მიუთითა და მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

17. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

17.1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

17.1.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოსათვის გადაუხდელი თანხის 116 469,19 (ას თექვსმეტი ათას ოთხას სამოცდაცხრა ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

17.1.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის 3494 (სამი ათას ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარის გადახდა დაეკისრა;

17.1.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების საფასურის 2329 (ორი ათას სამას ოცდაცხრა) ლარის გადახდა დაეკისრა;

17.1.4. სხვა ნაწილში სარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

18. გამგეობის (შემკვეთის) სააპელაციო საჩივარი

18.1. გამგეობამ (შემკვეთმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მი-

ლებით, მენარდის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

19. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

19.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შემკვეთის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

19.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

19.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გამგეობის 2016 წლის 28 ივლისის №09/25758 მიმართვის საფუძველზე ექსპერტიზის ბიუროში დაინიშნა მეორე ეტაპის სამუშაოების შესრულების მოცულობებისა და ხარისხის შემოწმების საინჟინრო ექსპერტიზა. აღნიშნული ექსპერტიზის 2016 წლის 2 აგვისტოს №5004205116 დასკვნის თანახმად, მენარდის მიერ კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მოცულობა და ღირებულება დღგ-ის გათვალისწინებით შეადგენდა სულ 267 854.14 ლარს (მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტით ფორმა №2-ით); 2016 წლის 30 ივლისს მოხდა გამოსაკვლევი ობიექტების ადგილზე შესწავლა. ხილულ სამუშაოებზე ჩატარდა აზომვები. იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნებიან ფარულ სამუშაოთა კატეგორიას, (ხარჯთაღრიცხვა №1-ში საავტომობილო გზა №1 პუნქტების 1;2;3;9; და ხარჯთაღრიცხვა №3-ში სასავტომობილო გზა №4 პუნქტები 1;2;3;4;5;), რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო და მათთან დაკავშირებით არ იყო წარმოდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები. ექსპერტიზის მიერ გაზიარებულ იქნა ხარჯთაღრიცხვით და ფორმა №2-ით გათვალისწინებული მოცულობები, რომელთა ჩათვლა/არჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივა იყო;

19.4. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 აგვისტოს №656 ბრძანებით შეიქმნა „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“, რომელმაც კურორტ ბ-ში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ფაქტიურად შესრულებულ სამუშაო მოცულობები განსაზღვრა და 2016 წლის 18 აგვისტოს შეადგინა დასკვნა, სადაც აღნიშნულია, „ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებუ-

ლება შეადგენს 246 646,16 ლარს. დასკვნას ერთვის კომისიის მიერ კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციაზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დანართი“;

19.5. ზემოთ მითითებულ მტკიცებულებათა შეფასება და მათი ვარგისიანობა ამა თუ იმ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად უნდა მოხდეს განსახილველ შემთხვევაში სადავო გარემოებათა გადანყვევებისათვის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება (საბოლოო ანგარიშსწორება) მიმნოდებელთან განხორციელდება შესაბამისად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) ექსპერტიზის ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, გადახდის სერტიფიკატის და საგადასახდო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა ინვოისის) წარდგენიდან არა უგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში;

19.6. საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 2 აგვისტოს №5004205116 დასკვნის თანახმად, მიმნოდებლის მიერ კურორტ ბ-ის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მოცულობა, და ღირებულება დღ-ის გათვალისწინებით, შეადგენდა სულ 267 854.14 ლარს (მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტით ფორმა №2-ით). ექსპერტი აღნიშნავდა, რომ 2016 წლის 30 ივლისს მან გამოსაკვლევი ობიექტები ადგილზე შეისწავლა. ხილულ სამუშაოებზე ჩატარდა აზომვები. იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნებიან ფარულ სამუშაოთა კატეგორიას, (ხარჯთაღრიცხვა №1-ში საავტომობილო გზა №1 პუნქტების 1;2;3;9 და ხარჯთაღრიცხვა №3-ში საავტომობილო გზა №4 პუნქტები 1;2;3;4;5), რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო და მათთან დაკავშირებით არ იყო წარდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები, ექსპერტიზის მიერ გაზიარებულ იქნა ხარჯთაღრიცხვით და ფორმა №2-ით გათვალისწინებული მოცულობები, რომელთა ჩათვლა/არჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივა იყო;

19.7. ზემოთ მითითებულ მტკიცებულებათა შეფასება და მათი ვარგისიანობა ამა თუ იმ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად უნდა მოხდეს განსახილველ შემთხვევაში სადავო გარემოებათა გადანყვევებისათვის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება (საბოლოო ანგარიშსწორება) მიმნოდებელთან განხორციელდება შესაბამისად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) ექსპერტიზის ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პი-

რის მიერ გაცემული დასკვნის, გადახდის სერტიფიკატის და საგადასახდო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა ინვოისის) წარდგენიდან არა უგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში;

19.8. საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 2 აგვისტოს №5004205116 დასკვნის თანახმად, მიმწოდებლის მიერ კურორტ ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების მოცულობა, და ღირებულება დღგ-ის გათვალისწინებით, შეადგენდა სულ 267 854.14 ლარს (მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტით ფორმა №2-ით). ექსპერტი აღნიშნავდა, რომ 2016 წლის 30 ივლისს მან გამოსაკვლევი ობიექტები ადგილზე შეისწავლა. ხილულ სამუშაოებზე ჩატარდა აზომვები. იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნებიან ფარულ სამუშაოთა კატეგორიას, (ხარჯთაღრიცხვა №1-ში საავტომობილო გზა №1 პუნქტების 1;2;3;9 და ხარჯთაღრიცხვა №3-ში სასაავტომობილო გზა №4 პუნქტები 1;2;3;4;5), რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო და მათთან დაკავშირებით არ იყო წარდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები, ექსპერტიზის მიერ გაზიარებულ იქნა ხარჯთაღრიცხვით და ფორმა №2-ით გათვალისწინებული მოცულობები, რომელთა ჩათვლა/არჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივა იყო;

19.9. ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში მოყვანილი გარემოების საწინააღმდეგო პოზიციის დასადასტურებლად მისი საპირწონე მტკიცებულება გამგეობამ ვერ წარადგინა. მოპასუხის/აპელანტის მიერ მისი პოზიციის გასამყარებლად წარდგენილი მტკიცებულება: „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“-ს დასკვნა და მონმეთა ჩვენებები არ შეიძლება გახდეს მოსარჩელისათვის ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, მით უფრო მაშინ, როდესაც ის ძირითადი მტკიცებულება – „ფარულ სამუშაოთა აქტები“, რომელიც საჭირო იყო, მხარეთა შორის გათვალისწინებული შეთანხმების თანახმად, შესრულებულ სამუშაოთა დასაანგარიშებლად და რომელიც ხელთ ჰქონდა მოპასუხეს/აპელანტს, არ იქნა წარდგენილი ექსპერტისათვის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სპეციფიკური სახის მტკიცებულებას „ფარულ სამუშაოთა აქტებს“ ვერ შეცვლის „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“-ს დასკვნა, რადგან ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ობიექტურ მტკიცებულებად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოთა მოცულობის დაანგარი-

შება. ამიტომ სწორედ ასეთი ობიექტური მტკიცებულების – „ფარულ სამუშაოთა აქტების“ არქონის (რომლის წარდგენა ხელენიფებოდა მოპასუხეს/აპელანტს) გამო ექსპერტმა სრულიად სამართლიანად გაიზიარა ხარჯთაღრიცხვით და ფორმა №2-ით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობები, რომლის დაანგარიშებაც სწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ;

19.10. ზემოაღნიშნულ პირობებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტს (შემსყიდველს), რომელსაც წარედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის ტექნიკური ზედამხედველის მიერ დამტკიცებული ფარულ სამუშაოთა აქტები, რომლებიც არ წარედგინა ექსპერტიზის ბიუროს, არ ჰქონდა საფუძველი არ გაეზიარებინა ექსპერტიზის დასკვნა და უარი ეთქვა მოსარჩელისათვის შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებაზე. შემკვეთმა უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. მოპასუხის უარი თანხის ანაზღაურებაზე ასევე ეწინააღმდეგება მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების პირობებს;

19.11. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა თანასწორობის აღდგენის მიზნით, გამგეობა ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, დარჩენილი გადაუხდეელი თანხა – 116 469,19 ლარი.

20. შემკვეთის (მოპასუხის) საკასაციო საჩივრის საფუძველი

20.1. კასატორმა (შემსყიდველმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

20.2. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმონებია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

20.3. სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული და გამგეობის მიერ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარდგენილი, საქმეზე თანდართული მტკიცებულებების ერთობლიობაში (ექსპერტიზის ბიუროს 2017 წლის 17 ივლისის №5003977317 დასკვნა) ანალიზი არ მომხდარა, სასამართლო არ დაინტერესებულა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით იმ დროს, როცა აღნიშნული დას-

კენის შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სასამართლოს მიერ ქეშმარიტი, სამართლიანი გადამწყვეტილების მიღებისათვის.

20.4. საქმის მასალებიდან და სააპელაციო საჩივრიდანაც ნათლად ჩანს, რომ გამგეობას არ მიუწოდებია ექსპერტიზის ბიუროსათვის ფარულ სამუშაოთა აქტები, გამომდინარე იქედან რომ შპს „ა-ი“ მოსარჩელესთან ერთად წინმსწრებად ადგენდა „ფაქტიურად“ შესრულებული სამუშაოების ამსახველ დოკუმენტაციას იმ დროს, როცა ობიექტზე სამუშაოები რეალურად არ იყო შესრულებული (ეს ეხება სამუშაოების II ეტაპს) აღნიშნული ფაქტი დადასტურებული და აღიარებული აქვს შპს „ა-ს“ (იხ: საქმეში არსებული შპს „ა“-ს 2016 წლის 21 ივლისის №67 ნერილი), რაზედაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (იხ: გამგეობის 2016 წლის 16 ნოემბრის 09/30821 მიმართვა ხელვაჩაურის რაიონულ პროკურატურას).

20.5. კასატორი აღნიშნავს, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტმა დამკვეთის პრეროგატივად დატოვა და არ აიღო პასუხისმგებლობა იმ მოცულობებზე, „რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის პერიოდში შეუძლებელი იყო და მათთან დაკავშირებით არ იყო წარმოდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები“, შეიქმნა გამგეობის სპეციალური ცოდნით და გამოცდილებით დაკომპლექტებული „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“, რომელმაც დაადგინა, რომ მენარდის მიერ ობიექტზე ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოებმა (I, II ეტაპი) შეადგინა 246 646, 16 ლარი.

20.6. ძირითადი სადავო საკითხი პირველ და მეორე ინსტანციაშიც ზემოაღნიშნული კომისიის კომპეტენცია იყო, აღნიშნულს იმეორებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო (იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთების 4.10 ნაწილი) და გამოკვეთილად განმარტავს „პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სპეციფიური სახის მტკიცებულებას „ფარულ სამუშაოთა აქტებს“ ვერ შეცვლის „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“-ს დასკვნა, რადგან ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ობიექტურ მტკიცებულებად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოთა მოცულობების დაანგარიშება“.

20.7. კასატორის განმარტებით, თუ „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“ არ იყო კომპეტენტური მენარმის (მოსარჩელის) მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების განსაზღვრის/დაანგარიშების კუთხით, სწორედ ამ არგუმენტის გაბათილების

მიზნით გამგეობის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნა კომპანიის მიერ შეუსრულებელ და აპელანტის „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“-ს მიერ მენარმისათვის არ ჩათვლილ მოცულობებზე, შემკვეთის მიერ გამოცხადებულ და გამარჯვებულ კომპანია – შპს „დ“-თან დადებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 23 ივნისის №116 ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2017 წლის 17 ივლისის მომზადებული №5003977317 დასკვნა, რომლის შესაბამისად შპს „დ“-ს შესრულებული აქვს ზუსტად იმ სამუშაოთა მოცულობების ნაწილი, რაც არ შეასრულა მოსარჩელემ და არ იქნა ჩათვლილი „ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების დამდგენი სამუშაო (ტექნიკური) ჯგუფი“-ს მიერ, ფაქტიურად გამოდის, რომ ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემულია დასკვნა (17/07/2017 №5003977317), რომელიც გამორიცხავს და აბათილებს საქმეში არსებულ, ამავე საექსპერტო ბიუროს დასკვნას (02.08.2016 5004205116).

20.8. სასამართლო სსსკ-ის 173-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი იყო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დაენიშნა დამატებითი ექსპერტიზა იმ მოცულობების შედარების ნაწილში, სადაც საკითხი სპეციფიურ ცოდნას მოითხოვდა ან მოენვია ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი, რომელიც საქმის ირგვლივ მოცულობების შედარების ნაწილში კვალიფიციურ პასუხს გასცემდა.

20.9. სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა და არ მოახდინა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზი, ამის დადასტურებაა ის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერვე გამგეობის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეზე მტკიცებულების სახით თანდართული სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის შესახებ გადაწყვეტილებაში ერთი წინადადებაც კი არ არის დათმობილი, რის გამოც სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მესამე პუნქტის, სსსკ-ის მე-4, მე-5 მუხლებითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მხარის საპროცესო უფლებების დარღვევა, რაც გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

21. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

21.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 აპრილის განჩინებით შემსყიდველის (გამგეობის) საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესაბამისად.

21.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის (შემსყიდველის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

22. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

24. სააპელაციო სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში არ გამოიკვლია და არ შეაფასა სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე აპელანტის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო (იხ. 13.11.17 წლის სხდომის ოქმი, 13:22:00).

25. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის, ამ განჩინების 20.3 ქვეპუნქტში ასახულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე იქნა წარდგენილი სასამართლოში, დასაშვებად იქნა ცნობილი.

26. ამრიგად, საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (116 469.19 ლარის დაკისრების ნაწილში) უნდა შეფასდეს გამგეობის (შემკვეთის) მიერ წარდგენილი მტკიცებულება – 2017 წლის 17 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა №2-ით) წარდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობას ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების დანართი №1) გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებით. დასკვნა, ასევე, შეეხება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ დავა სწორედ იმ საკითხებს შეეხება, რომლებიც ექსპერტიზის ზემოხსენებულ დასკვნაშია ასახული, ხოლო დასკვნა, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება დასამუშავდა იქნა მიჩნეული სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, უნდა მოხდეს მისი შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რადგან შეუძლებელია ამ მტკიცებულების გვერდის ავლით დავის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტით გადაწყვეტა. სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანხმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

27. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოების (მეორე ეტაპის სამუშაოთა მოცულობა და ხარისხი) გამოკვლევის გარეშე, შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია.

28. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარ-

ღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

29. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. მ.გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1044-2018

22 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

1.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ს.მ.პ.მ.ს-ოს (შემდეგში: მოსარჩელე, კასატორი, თანადამფინანსებელი ან სააგენტო) სარჩელი შპს „ჯ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, შპს, ბენეფიციარი ან სანარმო) მიმართ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 20 157 ლარის გადახდა დაეკისრა.

1.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

1.1.1. მოსარჩელე 2013 წლიდან „შელავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით (შემდეგში: სპეციალური განკარგულება) დამტკიცებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს“ ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხესთან 2015 წლის 16 მარტს გაფორმდა შეთანხმება მიზნობრივი თანადაფინანსების თაობაზე. მოპასუხესა და სს „პ. ბ-ს“ (შემდეგში: ბანკი) შორის 2015 წლის 16 მარტს გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად მოპასუხის წარმომადგენელ გ. ბ-სთან შედგა შეთანხმება შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, სააგენტოს თანადაფინანსებით თანხა შეადგენდა 27 996.49 დოლარს.

1.1.2. 2016 წლის 27 დეკემბერს №5/2238 წერილით შპს-ს დირექტორს გ. ბ-ძეს ეცნობა, რომ 2016 წლის 30 ნოემბერს განხორციელდა სააგენტოს პროექტების სავსე მონიტორინგის ჯგუფის

ვიზიტი, რა დროსაც ადგილზე არ იქნა წარდგენილი სესხის მიზნობრივი ხარჯვის ამსახველი დოკუმენტაცია და თანადამფინანსებლისათვის საბუთების მიწოდების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 2016 წლის 10 დეკემბერი.

1.1.3. 2015 წლის 13 ოქტომბერს განხორციელდა საწარმოს მონიტორინგი სესხის მიზნობრივად ხარჯვის თაობაზე. 2016 წლის 30 ნოემბერს განხორციელდა სესხის მიზნობრივად ხარჯვის მეორადი მონიტორინგი. სესხის მიზნობრივად ხარჯვის მეორადი მონიტორინგისას (პირველადი მონიტორინგის შემდგომ სესხიდან ასათვისებელი თანხა შეადგენდა 40 000 დოლარს) მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება დარჩენილი 40 000 აშშ დოლარის სრულად, შეთანხმებისა და პროექტების შესაბამისად ხარჯვის ფაქტი: კერძოდ, 34.838 ლარი განეწვია ისეთ ხარჯებზე, რაც არ შეესაბამება სესხის მიზნობრიობას, ხოლო 15 600 აშშ დოლარის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტაცია მოპასუხეს საერთოდ არ წარმოუდგენია.

1.1.4. 2017 წლის 28 თებერვლის სააგენტოს პროექტების მონიტორინგის შედეგების განხილვის კომისიის სხდომის №2 ოქმში მითითებულია, რომ „პირველი მონიტორინგის შემდეგ (13.10.2015წ.) ასათვისებელი ნაშთის სახით დარჩენილი იყო 40 000 აშშ დოლარი, რომლის ოდენობამ კონვერტაციის შედეგად (ბენეფიციარის ინფორმაციით) შეადგინა 90 000 ლარი (აშშ დოლარი-2.25 ლარი. კონვერტაციის დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი. აგროკრედიტის ათვისების პერიოდისათვის ეროვნული ბანკის გაცვლითი საშუალო კურსი 1 აშშ დოლარი – 2.22 ლარი). ბენეფიციარის განმარტებით აღნიშნული თანხით განხორციელდა: ზეთის სახდელი და ჩამოსასხმელი აპარატების მიღებული ზეთის შესანახი რეზერვუარების შესყიდვები; ზეთის ფილტრაციის აპარატის დამზადება; შესყიდული დანადგარების მონტაჟი, ზეთის სახდელი საწყობის და საოფისე ოთახების სამშენებლო სარემონტო სამუშაოები. ბენეფიციარმა მონიტორინგის ადგილზე ვერ წარმოადგინა სესხიდან დარჩენილი თანხის ხარჯვის დამადასტურებელი საბუთები. ამისათვის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 10 დეკემბრამდე. 2016 წლის 9 დეკემბერს მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, აგროკრედიტის თანხა მოხმარდა: 20 335 ლარი – საწარმოს ძირითადი დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენას (წარმოდგენილია ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო დავალება); 14 997 ლარი – სამშენებლო – სარემონტო მასალებისა და სხვა დამხმარე ტექნიკის შეძენას (წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები, საგადასახადო დავალება, სალარო აპარატის ჩეკები, შედარების აქტები და სალაროს აპარატის ჩეკები); 5 513 ლარი ხის

მასალების და ტექნოლოგიური ხაზების გამყოფი ტიხრების შექმნას (წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები, საგადასახადო დავალება, შესყიდვის აქტი და სალარო აპარატის ჩეკები); 3 504 ლარი – სამშენებლო სარემონტო და სამონტაჟო პროცესების საწარმოებლად ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურები); 10 836 ლარი – სამშენებლო სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული მუშახელის ანაზღაურებას (წარმოდგენილია ხელშეკრულებები, საგადასახადო დავალება, მიღება ჩაბარების აქტები და სალაროს გასვლის ორდერები). აღნიშნულ სხდომაზე კომისიის გადაწყვეტილებით მოპასუხეს შეუწყდა სააგენტოს თანადაფინანსება და მოეთხოვა მოსარჩელის მიერ სესხზე გადახდილი თანადაფინანსების თანხის – 81 88.82 დოლარის – დაბრუნება.

1.1.5. 2017 წლის 19 აპრილის „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მენეჯერის გ. ჯ-ძის №1/381 წერილით მოპასუხეს ეცნობა თანადაფინანსების შეწყვეტისა და სესხზე გადახდილი თანადაფინანსების თანხის – 81 88.82 დოლარის სააგენტოსთვის დაბრუნების თაობაზე.

1.1.6. 2017 წლის 11 სექტემბერის №3-1/4224 „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მენეჯერის მოვალეობის შემსრულებლის ლ. ჯ-ძის სასამსახურო ბარათში მითითებულია, რომ 2013 წლიდან 2017 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით, სააგენტოს მონიტორინგის შედეგების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ 221 (244 სესხზე) ბენეფიციარს შეუწყდა სესხზე სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება (მათ შორის 114 ბენეფიციარს შელავათიანი აგროკრედიტის არამიზნობრივად ხარჯვის გამო, 83 ბენეფიციარს სესხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოუდგენლობის გამო, ხოლო 24 ბენეფიციარს სესხის გამცემი ბანკის მიერ პროექტის პირობების დარღვევით სესხის გაცემის გამო), შელავათიანი აგროკრედიტის არამიზნობრივად ხარჯვის გამო, 83 ბენეფიციარს – სესხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოუდგენლობის გამო, ხოლო 24 ბენეფიციარს – სესხის გამცემი ბანკის პროექტის პირობების დარღვევით სესხის გაცემის გამო.

1.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, 85-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგეში: სსკ) მე-3, 316-ე, 317-ე, 319-ე, 327-ე, 361-ე, 394-ე, 405-ე მუხლებითა და სპეციალური განკარგულებით იხელმძღვანელა.

1.2.1. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმოზე გაცემული შელავათიანი აგროკრედიტის მიზნობრიობას

წარმოადგენდა ტექნოლოგიური ხაზის შექმნა მცენარეული ცხიმების, კერძოდ, ზეთის საწარმოებლად არსებული შენობის მოწყობა, რემონტი. აგროკრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი სააგენტომ განახორციელა და დაადგინა მიზნობრიობის დარღვევა.

1.2.2. სააგენტოსა და შპს-ს შორის 2015 წლის 16 მარტს გაფორმებული შეთანხმებების მესამე პუნქტის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარ შეტყობინების გარეშე განახორციელოს ბანკის მიერ გაცემული სესხის მიზნობრიობის მონიტორინგი. თუ მონიტორინგის შედეგად თანადაფინანსებული დაადგენს ბენეფიციარის მიერ მიზნობრიობის დარღვევას შეწყვეტს ბენეფიციარის თანადაფინანსებას. სააგენტო უფლებამოსილია მოსთხოვოს ბენეფიციარს მიღებული თანხების უკან დაბრუნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

2.1. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.2.1. 2015 წლის 16 მარტს შპს-ს, ბანკსა და სააგენტოს შორის დაიდო შეთანხმება „ინდ. მენარმეებისა და იურიდიული პირების მიზნობრივი თანადაფინანსების თაობაზე (ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის)“.

3.2.2. ამ შეთანხმების საფუძველზე, მოპასუხემ ტექნოლოგიური ხაზის შესაძენად და ზეთის საწარმოებლად არსებული შენობის მოწყობა-რემონტისათვის ბანკისაგან სესხად აიღო 70 000 აშშ დოლარი.

3.2.3. სესხი გაიცა 84 თვის ვადით, წლიური 13% სარგებლით. აქედან, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა 27 996,49 აშშ დოლარს.

3.2.4. აპელანტმა შეთანხმების პირობები შეასრულა, ტექნოლოგიური ხაზი შეიძინა, ხოლო შენობა მოაწყო და გაარემონტა.

3.2.5. 2015 წლის 13 ოქტომბერს და 2016 წლის 30 ნოემბერს სააგენტომ, პროექტის ფარგლებში, საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოსა და განეული ხარჯების მონიტორინგი ჩაატარა.

3.2.6. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 13 ოქ-

ტომბრისათვის ასათვისებელი ნაშთის სახით დარჩენილი იყო 40 000 აშშ დოლარი.

3.2.7. ამის შესაბამისად, ნათელია, რომ ამ დროისათვის სესხად აღებული თანხიდან მოპასუხეს 70 000-40 000=30 000 აშშ დოლარი გახარჯული ჰქონდა და ამ ხარჯვასათან დაკავშირებით სააგენტოს მისთვის პრეტენზია არ წაუყენებია.

3.2.8. 2016 წლის 30 ნოემბრის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სესხად აღებული თანხით აპელანტმა შეიძინა ზეთის სახდელი და ჩამოსასხმელი აპარატები და მიღებული ზეთის შესანახი რეზერვუარები; დაამზადა ზეთის ფილტრაციის აპარატი; დაამონტაჟა შესყიდული დანადგარები და ჩაატარა ზეთის სახდელი, საწყობის და საოფისე ოთახების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

3.2.9. დარჩენილი 40 000 აშშ დოლარიდან სააგენტომ შეთანხმების პირობების დაცვით დახარჯულად, მხოლოდ 24 437 აშშ დოლარი ჩათვალა.

3.2.10. ამის შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, სესხად აღებული 70 000 აშშ დოლარიდან მოპასუხემ არამიზნობრივად 15 563 აშშ დოლარი დახარჯა.

3.2.11. თავის მხრივ, სააგენტომ 27 996,49 აშშ დოლარის ნაცვლად, თანადასაფინანსებლად, მხოლოდ 81 88,82 აშშ დოლარი გადაიხადა.

3.2.12. სანარმომ 2017 წლის 28 მარტს სესხი სრულად დაფარა.

3.3. მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოიშვა სპეციალური განკარგულებისა და დადებული „შეთანხმების“, ე.ი. ხელშეკრულების საფუძველზე.

3.4. 2015 წლის 16 მარტის მდგომარეობით მოქმედი რედაქციით შემოხსენებული განკარგულების №1 დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შელავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების სანარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებდნენ ორი სახის შელავათიან კრედიტს: ა) შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის; ბ) შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის.

3.5. ამავე დანართის მე-2 მუხლის „317“ ქვეპუნქტის მიხედვით, ძირითად საშუალებად ითვლება მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების განწევს, იჯარით (მათ შორის ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია.

3.6. სანარმოს თანადაფინანსების მიზანი ძირითადი საშუალებე-

ბების შექმნა იყო.

3.7. ამრიგად, თანადაფინანსების ფარგლებში სესხად მიღებულ თანხას შპს ელექტროენერჯის მიმდინარე დავალიანების დასაფარად და საბრუნავი საშუალებების შესაძენად ვერ გამოიყენებდა.

3.8. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს სააგენტოსათვის თანხის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნია.

3.9. 2015 წლის 16 მარტის „შეთანხმების“ მე-3 პუნქტის თანახმად, თუ მონიტორინგის შედეგად სააგენტო დაადგენს ბენეფიციარის მიერ მიზნობრიობის დარღვევას... სააგენტო უფლებამოსილია მოსთხოვოს ბენეფიციარს მიღებული თანხების უკან დაბრუნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.10. ზემოხსენებული ბრძანების №1 დანართის მე-8 მუხლის 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, როდესაც ძირითადი საშუალებებისთვის დაფინანსებისთვის აღებული სესხით ხდება საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, ბენეფიციარს შეუწყდება სააგენტოს თანადაფინანსება სესხის თანხის იმ ნაწილზე, რომელიც გამოიყენა საბრუნავი საშუალებებისთვის და მოეთხოვება თანადაფინანსების სახით გადახდილი თანხის სააგენტოსთვის დაბრუნება.

3.11. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, „შეთანხმების“ ზემოხსენებული ტექსტის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება შეუძლებელია.

3.12. სიტყვასიტყვით, ეს შეთანხმება ბენეფიციარს უშუალოდ მის მიერ მიღებული თანხის დაბრუნებას ავალდებულებს; თუმცა, სინამდვილეში, სააგენტო თანხას არა აპელანტს, არამედ საკრედიტო დაწესებულებას უხდიდა.

3.13. ამის შესაბამისად, ზემოხსენებული ტექსტის სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში, აპელანტს მესამე პირისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება საერთოდ არ წარმოემოზოდა, ეს კი მხარეთა ნებას აშკარად ეწინააღმდეგება.

3.14. ამის გამო, სასამართლოს შეფასებით, შეთანხმების მე-3 პუნქტი ზემოხსენებული ნორმატიული აქტის დანაწესის საფუძველზე უნდა განიმარტოს.

3.15. ეს ნორმა კი თანადაფინანსების შეწყვეტას ითვალისწინებდა არა მთელ სესხზე სრულად, არამედ, მხოლოდ, მის არამიზნობრივად გამოყენებულ ნაწილზე.

3.16. ამის შესაბამისად, „შეთანხმების“ მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ „მიღებულ თანხაში“ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პროცენტი, რომელიც არამიზნობრივად გამოყენებული

სესხისათვის იქნა გადახდილი, ანუ რომლიდანაც ბენეფიციარმა ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო სარგებელი მიიღო.

3.17. აქედან გამომდინარეობს, რომ მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს სააგენტოსათვის უნდა დაებრუნებინა სესხის არამიზნობრივად გამოყენებული ნაწილის თანადასაფინანსებლად გადახდილი თანხა.

3.18. როგორც აღინიშნა, სესხად აღებული თანხით სანარმოს ტექნოლოგიური ხაზი უნდა შეეძინა და ამისთვის საჭირო შენობა მოეწყო და გაერემონტებინა.

3.19. ამ მიზნის შესასრულებლად სააგენტოს 27 996,49 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა.

3.20. დადგენილია, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების მიზანი შეასრულა.

3.21. ამასთან, სესხად აღებული 70 000 აშშ დოლარიდან, ყოველ შემთხვევაში, 70000-15563=54437 აშშ დოლარი მაინც მიზნობრივად გამოიყენა და ამისთვის სააგენტომ 27996,49 აშშ დოლარის ნაცვლად, მხოლოდ, 8188,2 აშშ დოლარი გადაიხადა.

3.22. სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მიერ თანადაფინანსებისათვის გადახდილი თანხა შეთანხმების მიზანთან სრულ შესაბამისობაში იყო – მოპასუხემ მიზნობრივად გამოიყენა სესხად აღებული თანხის 77% მაინც, სააგენტოს კი თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 30%-იც არ დაუხარჯავს.

3.23. ეს ნიშნავს, რომ სინამდვილეში, მოპასუხეს მოსარჩელის თანადაფინანსება არამიზნობრივად არ გამოუყენებია.

3.24. ამიტომ, მას ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია და „მიღებული თანხების უკან დაბრუნება“ არ ეკისრება.

4. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

4.1. მოსარჩელემ (სააგენტომ) საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

4.2. კასატორის განმარტებით გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ გამომდინარეობს.

4.3. კასატორმა აღნიშნა, რომ მოპასუხემ ძირითადი საშუალების მიზნობრიობით აღებული შეღავათიანი აგროკრედიტით სხვა დარღვევებთან ერთად, საბრუნავი საშუალებები შეისყიდა. აღნიშნული გარემოება ხელმოწერით დაადასტურა სანარმომ კასატორის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს. იმავე გარემოებას ადასტურებდა მოპასუხე 2017 წლის 18 იანვრის №1-18/17 ნერილში, რაც მას სადავოდ არ გაუხდია.

4.4. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამარ-

თლოს დასკვნას, რომ სანარმოს სააგენტოსათვის თანხის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნდა. კასატორის განმარტებით სანარმოს მიერ სესხის მიზნობრიობის დარღვევა და სესხის ნაწილის გაურკვეველი მიზნობრიობით ხარჯვა საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რასაც მოპასუხე სადავოდ არ ხდის.

4.5. კასატორის განმარტებით იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხოლოდ სესხის თანხის ნაწილით საბრუნავ საშუალებას შეისყიდდა, სპეციალური განკარგულების მე-8 მუხლის 24-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაეკმაყოფილებინა (მხოლოდ იმ ოდენობით, რასაც სანარმო შეისყიდდა). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა სამართლებრივი ნორმის შინაარსს, ფაქტები არ შეისწავლა და ნორმა ვერ გააანალიზა.

4.6. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ პროექტის შინაარსი არასწორად გაიგო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის (სააგენტოს) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

5. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

6. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი

ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებულ ითი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

7. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული და დადგენილი. სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში გარკვეულ გარემოებებს დადგენილად მიიჩნევს, თუმცა არ ასახელებს მტკიცებულებებს, რომელთაც ისინი ეფუძნება. ამასთან, გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო დაშვებას აკეთებს (იხ. ამ განჩინების 3.21-3.23 ქვეპუნქტები), რაც გადაწყვეტილების სიცხადის, სიზუსტისა და დასაბუთებულობის სტანდარტებს ეწინააღმდეგება. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაადგინოს ფაქტი დაარღვია თუ არა მოპასუხემ მოსარჩელესთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება, ასევე, უნდა დადგინდეს დამრღვევი მოპასუხის პასუხისმგებლობის მოცულობა, ასეთის წინაპირობის არსებობის შემთხვევაში.

8. საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა შეფასდეს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ისე დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იქედან გამომდინარე, რომ დავა მოპასუხის მიერ სესხის მიზნობრივობით გამოყენება/არგამოყენების საკითხს შეეხება, შეუძლებელია ამ ფაქტის დადგენის გვერდის ავლით დავის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტით გადაწყვეტა. სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანხმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (შედარებისათვის იხილეთ სუსგ №ას-345-345-2018, 11.09.2018 წ.).

9. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოების (ბენეფიციარის მიერ სესხის/ მისი ნაწილის მიზნობრივად გამოყენება/არგამოყენება) გამოკვლევის გარეშე, შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია.

10. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

11. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ააიპ ს.მ.პ.მ.ს-ოს საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსპერტიზის დანიშვნა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1218-1138-2017

28 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა, მისასვლელი გზის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სა-
ხელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს, თ. ტ-სა და ს. ტ-ას
(შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) შორის 1998 წლის
25 ივნისის დადებული ხელშეკრულებით თ. ტ-სა და მოსარჩელეს
გადაეცათ ქ. თბილისში, ..., ბაზრის ტერიტორიის მიმდებარე შენო-
ბაში განთავსებული 90.08 კვ.მ ფართობი.

2. თ. ტ-მა 2002 წლის 21 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლებით ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული უძრავი
ნივთიდან კუთვნილი ნაწილი მოსარჩელეს მიჰყიდა.

3. საჯარო რეესტრიდან 2010 წლის 26 იანვრის ამონაწერით (ს/კ
...) დგინდება, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ
უძრავ ქონებაზე არსებულ 204 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო და-
ნიშნულების მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლებაა
რეგისტრირებული.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 1995 წლის 17 ნო-
ემბრის №25.25.12330 დადგენილებით ქ. თბილისის, სამგორის რაი-
ონის გამგეობას დაუმაგრდა ... და ... ქუჩებს შორის არსებული მი-
წის ნაკვეთი, ავტოგასამართი სადგურისა და შერეული ბაზრობის
მოსაწყობად, როგორც დროებითი ღონისძიება.

5. სამგორის რაიონის გამგეობის 1996 წლის 24 იანვრის №24.01.07
გადაწყვეტილებით ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცა შპს
„ვ“-ს შერეული ბაზრობის მოსაწყობად, მაგრამ გადაწყვეტილების
2.5 პუნქტით მათ დავალათ, ქალაქის ან რაიონის პირველივე მოთ-
ხოვნისთანავე, გაეთავისუფლებინათ ტერიტორია კომპენსაციის
გარეშე, ხოლო თბილისის, სამგორის რაიონის გამგეობის 2000 წლის
26 იანვრის №0110 გადაწყვეტილებით გაუქმდა ზემოაღნიშნული

გადაწყვეტილების 2.5 პუნქტი და შპს „ვ“-ს მიეცა უფლება, კერძო საკუთრებაში მიეღო მიწის ნაკვეთი.

6. საჯარო რეესტრიდან 2000 წლის 23 მაისისა და 2008 წლის 8 დეკემბრის ამონაწერით შპს „ვ“-ის საკუთრება იყო ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ... ქუჩაზე მდებარე 9175 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ ...). საჯარო რეესტრიდან 2008 წლის 8 დეკემბრის ამონაწერში ასევე მითითებულია, რომ მეზობელ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი მიწის ნაკვეთი ფართობით 127 კვ.მ დაიტვირთოს სერვიტუტით.

7. საჯარო რეესტრიდან 2009 წლის 30 მარტის ამონაწერის თანახმად (ს/კ ... დ. ა-ძისა და ე. კ-ას (შემდეგში: პირველი მოპასუხე) საკუთრებაშია ქ, თბილისში, ..., შპს „ვ“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 433.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც პირველი მოპასუხის საკუთრებაშია 20 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. მოსარჩელემ 2010 წლის 15 იანვარს სარჩელი აღძრა შპს „ვ“-ის, დ. ა-ძისა და პირველ მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა შპს „ვ“-ს აეკრძალოს მოსარჩელის საკუთრებაზე ხელშეშლა და დაევალოს მოსარჩელის კუთვნილი შენობა-ნაგებობის წინ განლაგებული ჯიხურების აღება; აეკრძალოს დ. ა-ძესა და პირველ მოპასუხეს მოსარჩელის საკუთრებაზე ხელშეშლა მოსარჩელის შენობაზე მიშენებული ნაგებობის გადატანის გზით; დაევალოს მოპასუხეებს შპს „ვ“-ს, დ. ა-ძესა და პირველ მოპასუხეს მოსარჩელის საკუთრებასთან მისასვლელი გზის აღდგენა; დაევალოს შპს „ვ“-ს მოსარჩელის კუთვნილი შენობა-ნაგებობის აღდგენა.

8.2. მოსარჩელის განმარტებით რეგისტრაციის დროისათვის ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ მიწის ნაკვეთს ჰქონდა მისასვლელი გზა, რითაც ხდებოდა მისი დაკავშირება ცენტრალურ გზასთან. თუმცა შპს „ვ“-მა მისთვის დროებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირა საკუთრებაში, რის შედეგადაც მან მოსარჩელეს გადაუქცია თავის კუთვნილ შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზა, ხოლო შენობის წინ ჯიხურები განალაგა.

8.3. მოსარჩელის კუთვნილ შენობა-ნაგებობას მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა უკანონოდ მიაშენეს თავიანთი ნაგებობა, რითაც გააუქმეს მოსარჩელის კუთვნილი შენობა-ნაგებობის სავენტილაციო არხი. მოგვიანებით კი მეზობელი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში დაირეგისტრირეს დ. ა-ძემ და პირველმა მოპასუხემ, რომელთაც გადაკეტეს მოსარჩელის საკუთრებასთან მისასვლელი გზა.

8.4. მოსარჩელის განმარტებით, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე

არსებული შენობა-ნაგებობა დარჩა მისასვლელი გზისა და ვენტილაციის გარეშე.

9. მოპასუხეთა შესაგებელი

9.1. მოპასუხებებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელემ უკვე მოახდინა ჯიხურების დემონტაჟი, შესაბამისად, ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება აღარ არსებობს. ხოლო მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან აუცილებელი მისასვლელი გზა შპს „ვ“-ის განმარტებით მის კუთვნილ ნაკვეთზე არასდროს გადიოდა. მოსარჩელე ვერ ასაბუთებს პირველ მოპასუხისა და დ. ა-ძის მიერ საკუთრების ხელშეშლის ფაქტს, ხოლო რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, მოპასუხებებმა ის შეიძინეს მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან აუცილებელი მისასვლელი გზის გარეშე.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.2. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილი შენობა-ნაგებობის წინ შპს „ვ“-ის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი სავაჭრო ჯიხური, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მოვაჭრეთა დახლები, ამასთან, დახლები განთავსებულია მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, რომელზეც მისასვლელი გზის აღდგენას მოითხოვს მოსარჩელე.

10.3. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ პირველი მოპასუხისა და დ. ა-ძის კუთვნილი შენობის კედლად გამოყენებულია მოსარჩელის კუთვნილი შენობის კედელი. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები იმის თაობაზე, რომ მოპასუხეთა კუთვნილი ნაგებობა აფერხებს სავენტილაციო არხის მუშაობას, არხი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელის კედელი სველდება დ. ა-ძისა და პირველი მოპასუხის კუთვნილი ნაგებობიდან ჩამონადენი წყლით საქმის მასალებით არ დასტურდება, ასევე, არ დასტურდება შპს „ვ“-ის მიერ მოსარჩელის კუთვნილი შენობის სახურავის დაზიანების ფაქტი.

10.4. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 170-ე, 180-ე, 183-ე, 247-ე, 248-ე, 311-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

11. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

11.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გააასჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი შპს „ვ“-ის მიმართ დაკმაყოფილდა. ამ უკანასკნელს დაევალა აპელანტის სასარგებლოდ საკუთრებასთან მისასვლელი გზის აღდგენა; მასვე დაევალა აპელანტის კუთვნილი შენობა-ნაგებობის სახურავის აღდგენა.

12.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე 2012 წლის 16 ივლისს სააღსრულებო ფურცელი გაიცა.

12.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს საოქმო განჩინებით დ. ა-ძის საპროცესო უფლებამოცვლედ ცნობილ იქნენ კ. კ-ძე (შემდეგში: მეორე მოპასუხე) და მ. ს-ძე.

12.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა შპს „ვ“-ის მიმართ სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში გაუქმდა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი შპს „ვ“-ის მიმართ და აპელანტის სარჩელი შპს „ვ“-ის მიმართ განუხილველად დარჩა.

12.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მ. ს-ძის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს „L.N.“ (შემდეგში: მესამე მოპასუხე).

12.6. შპს „ვ“-ის წარმომადგენელმა 2014 წლის 9 ოქტომბერს საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

12.7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბერს მიმართა შპს „ვ“-ის წარმომადგენელმა და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. იმავე განცხადებით შპს „ვ“-მა მოითხოვა ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება განცხადების განხილვამდე.

12.8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებით შპს „ვ“-ის განცხადება, გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვე-

ტილების აღსრულება შეჩერდა.

12.9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინებით შპს „ვ“-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

12.10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით შპს „ვ“-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველად. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინება (იხ. ამ განჩინების 12.8 ქვეპუნქტი).

12.11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივნისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მონინაღმდეგე მხარეები არიან პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეები. აპელანტის მოთხოვნაა მისასვლელი გზის აღდგენა, მოპასუხეების კუთვნილი ნაგებობის გადატანა.

12.13. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მხარის მიერ მითითებული იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხის მიერ გამოყენებულია მოსარჩელის ნაგებობის კუთვნილი კედელი, რითაც ზიანი ადგება მოსარჩელეს, ასევე იმის დადასტურება, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) მოპასუხეთა საკუთრების უფლების იმგვარად შეზღუდვის, რომ მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთით ისარგებლოს მოსარჩელემ, სწორედ მოსარჩელის მტკიცების ტვირთია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, მე-4, 102-ე მუხლები).

12.14. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 170-ე, 172-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე მოთხოვნა დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნეგატიური სარჩელის სამი საფუძველი: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე არ უნდა იყოს სადავო ნივთის მფლობელი და მისგან უნდა მომდინარეობდეს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლა.

12.15. მოსარჩელის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ მოპასუხემ განმარტა, რომ კედელი, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებს, წარმოადგენდა ბაზრობის ტერიტორიის მყარ მიჯნას – ლობეს, რომელსაც როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემაც ნაგებობები მიაშენეს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება არც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადგილზე ჩატარებული დათვალიერების შედეგად დადასტურდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში წარდგენილი მასალებით არ დგინდება, რომ მოპასუხეების კუთვნილი შენობა მიშენებულია უშუალოდ მოსარჩელის კუთვნილ კედელზე. ამ გარემოების საპირისპიროდ საქმეში წარდგენილია თბილისში, მე-3 მასივში, მე-7 კვარტალში მდებარე ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო რუკა, რომელზეც მოსარჩელისა და მოპასუხეების კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვართან ერთად დატანილია ლობის პირობითი ნიშანი. ის გარემოება, რომ საზღვარზე არსებობდა მყარი მიჯნა, მოწმედ დაკითხულმა ც. ყ-მაც დაადასტურა.

12.16. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 182-ე მუხლზე მიუთითა და მიიჩნია, ის გარემოება, რომ მოპასუხეების კუთვნილი შენობა-ნაგებობის ერთ კედლად გამოყენებულია სწორედ მოსარჩელის კუთვნილი კედელი, საქმის მასალებით არ დასტურდება.

12.17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა საკუთრების უფლება სადავო არ არის, მოსარჩელე არ მოითხოვს აუცილებელ გზას, რაც აუცილებელი გზის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვისაა გათვალისწინებული. მოსარჩელე მიუთითებს არა სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობაზე და მტკიცებულებაზე, არამედ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სააპელაციო სასამართლოს 6 ივნისის სხდომაზე განმარტავს, რომ არსებობს გზის სხვა, მაგრამ უფრო გრძელი მონაკვეთი, ვიდრე იგი მოითხოვს, ასევე მიუთითებს, რომ მას არასდროს უსარგებლია იმ გზით, რომელიც, მისივე განმარტებიდან გამომდინარე, მოუხერხებელი და არახელსაყრელია მხარისათვის.

12.18. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 247-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეები არ იმყოფებიან მოყვანილი ნორმებით გათვალისწინებული არც სახელშეკრულებო, არც კანონისმიერი შებოჭვის ფარგლებში, რაც უფლებას მისცემდა მოსარჩელეს, ესარგებლა მოპასუხეების კუთვნილი მიწის ნაკვეთით და გამოეყენებინა იგი თავისი მიწის ნაკვეთთან დამაკავშირებელ გზად.

13. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მისი გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით.

13.2. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 131-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს იმის დასადგენად, რომ მოპასუხეებს ნამდვილად ჰქონდათ გამოყენებული მოსარჩელის კუთვნილი კედელი, მაგრამ ვინაიდან მოპასუხეებმა დაადასტურეს აღნიშნული გარემოება და აღიარეს, რომ კასატორის კუთვნილი ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი გამოყენებული აქვთ თავიანთი ნაგებობის კედლად, აპელანტმა გააუქმა ხელშეკრულება ექსპერტიზის ბიუროსთან. სააპელაციო სასამართლომ კი არასწორად არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის აღიარება და მიუთითა, თითქოს სადავო კედელი წარმოადგენდა ბაზრობის ტერიტორიის მყარ მიჯნას – ლობეს, რომელსაც როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ ნაგებობები მიაშენა.

13.3. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 182-ე მუხლი, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხეებმა თავიანთი უკანონო რკინის კონსტრუქციის ნაგებობა უკანონოდ მიაშენეს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შენობის ჩრდილოეთ კედელზე, რაც დავის დანყების საფუძველი გახდა.

13.4. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ დავის საგანი ვერ განსაზღვრა, როცა მიუთითა, რომ მოსარჩელე აუცილებელი გზის დადგენას არ ითხოვდა. მოსარჩელე მოპასუხეთა მიერ გადაკეტილი მისასვლელი გზის დადგენას, ე. ი. აუცილებელი გზის აღდგენას ითხოვდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

14. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს

მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მის კუთვნილ შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის აღდგენა და მოპასუხეთა კუთვნილი ნაგებობის გადატანა (იხ. ამ განჩინების 12.2 ქვეპუნქტი).

16. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე, სასამართლომ უნდა შეამოწმოს სსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობები, თუმცა, საამისოდ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებისა და მოპასუხეთა შესაგებელში აღწერილი ფაქტების მიხედვით (სსკ-ის 177-ე-178-ე და 201-ე მუხლები), საკითხის დამატებითი გამოკვლევა და შესწავლაა საჭირო, რაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე მხარეთა ახსნა-განმარტებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს ადგილზე დათვალიერების ოქმი (დათვალიერებას არ ესწრებოდა სპეციალისტი, სსკ-ის 123-ე მუხლი), მოწმის ჩვენება და საკადასტრო ნახაზი არ არის საკმარისი (იხ. ამ განჩინების 12.5 ქვეპუნქტი), რის გამოც სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობა: „თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადანყვეტისათვის და მის გარეშე გადანყვეტილების გამოტანა შეუძლებელია“.

17. სასამართლომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მითითებული ფაქტები, უწინარესად, შეამოწმა სარჩელსა და მის პასუხად წარდგენილ შესაგებლებში მითითებული ფაქტების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილიყო მხარეთა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მისალწვეი შედეგის (მოთხოვნის) სამართლებრივი საფუძველი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-16 პუნქტი), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა შეამოწმოს

და გამოიკვლიოს ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენებით, შემდეგი საკითხები:

17.1. მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთს აქვს თუ არა მისასვლელი გზა, რომლითაც მოხდება მისი დაკავშირება ცენტრალურ გზასთან;

17.2. მოსარჩელის კუთვნილ შენობა-ნაგებობას მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა (მოპასუხეებმა) მიაშენეს თუ არა თავიანთი ნაგებობა, რამდენად კანონიერია მიშენება და ჩაკეცა თუ არა მან ის სავენტილაციო არხი, რომლითაც მოსარჩელე სარგებლობს.

18. იმ შემთხვევაში, თუკი გამოირიცხება სსკ-ის 172-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 180-ე მუხლიდან, ამ მიზნით, სააპელაციო სასამართლომ ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს:

18.1. არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული გზა, რომელიც საჯარო გზასთან დააკავშირებს მოსარჩელის მიწის ნაკვეთს და მისცემს მოსარჩელეს მისი საკუთრებით იმგვარად სარგებლობის შესაძლებლობას (არა მხოლოდ ფეხით სიარულის, არამედ ავტომობილის შეყვანას და საკუთრების უფლების განკარგვის საშუალებას), რომ არ შეილახოს სხვა პირთა (მ.შ. მოპასუხეების) საკუთრების უფლება (იხ. ამ განჩინების 12.7 ქვეპუნქტი).

19. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე, შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

20. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემჯავებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ტ-გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით

აღიარებითი სარჩელი

განჩინება

საქართველოს სასჯელი

№ას-502-476-2015

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. ქ-ა (შემდეგში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან სარჩენი) დაიბადა 1931 წელს. ის მარტოხელაა და ცხოვრობს ქ. თბილისში, დ. ა-ის გამზირზე მდებარე ერთოთახიან ბინაში.

2. მოსარჩელემ, 2013 წლის 25 სექტემბერს, ე. ქ-ასთან (შემდეგში მოპასუხესთან ან მარჩენალთან) დადო სანოტარო წესით დამონმბუღი ნერილობითი შეთანხმება, რომელიც დასათაურებულია, როგორც „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება“. ამ შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება (საცხოვრებელი ფართი და სარდაფი), მდებარე ქ. თბილისში, დ. ა-ის გამზირ, №...-ში, საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე

აღირიცხა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 477-ე, 183-ე და 311¹-ე მუხლები).

3. ხელშეკრულების დადებიდან ერთ კვირაში მოსარჩელემ მიმართა პოლიციას და განაცხადა, რომ საცილოდ ხდიდა 2013 წლის 25 სექტემბერს დადებულ გარიგებას, ვინაიდან მას უძრავი ქონების არა გასხვისება, არამედ ანდერძის შედგენა უნდოდა. მოპასუხემ არ დაადასტურა შეცილების საფუძველი, თუმცა პოლიციაში გამოკითხვისას განმარტა, რომ, ნასყიდობის ხელშეკრულების სანაცვლოდ, მოსარჩელეს, რომელიც ხანდაზმულია, სიცოცხლის ბოლომდე სადავო ბინაში ცხოვრებასა და ზრუნვას შეჰპირდა.

4. მხარეებს ერთმანეთთან გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ, რაც ყოველდღიურ კონფლიქტში გამოიხატებოდა. ამის გამო, 2013 წლის 3 დეკემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ უძრავი ქონების გასხვისებაზე მოპასუხეს არ შეთანხმებია, შესაბამისად, არც გარიგებაში მითითებული თანხა არ მიუღია. ეს ხელშეკრულება მოტყუების შედეგი იყო. სინამდვილეში, ის გაურიგდა მოპასუხეს, რომ, თუ ეს უკანასკნელი თავისთავზე აიღებდა მისი მოვლის, ასევე, გარდაცვალების შემდგომ მშობლიურ სოფელში დაკრძალვის ვალდებულებას, სანაცვლოდ, ანდერძით დაუტოვებდა უძრავ ქონებას. ნოტარიუსთან მას გააცნეს გარიგების ნიმუში, რომელიც შეესაბამებოდა მის ნებას, თუმცა ხელი მოაწერინეს სხვა გარიგებაზე, რომლის მიხედვითაც მოპასუხის საკუთრებაში გადავიდა მისი კუთვნილი უძრავი ქონება. მოპასუხემ ხელშეკრულების დადებიდან მალევე ბინის დაცლა მოსთხოვა. ამის შემდეგ მან მიმართა სანოტარო ბიუროსა და საჯარო რეესტრს და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საკუთრება აღრიცხული იყო მოპასუხის სახელზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

5. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და განმარტა, რომ, ნასყიდობის ნაცვლად, მოპასუხესთან სამისდღე-შიო რჩენის ხელშეკრულების დადება სურდა.

6. მოპასუხემ გამორიცხა მოთხოვნა და მიუთითა, რომ მხარეებმა დადეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. მან მოსარჩელეს გადასცა ნასყიდობის თანხა და არ არსებობდა ხელშეკრულების ბათილად ცნობის წინაპირობები. ამასთან, მოპასუხემ დაადასტურა, რომ, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სანაცვლოდ, ის დაჰპირდა მოსარჩელეს, სიცოცხლის ბოლომდე აცხოვრებდა სადავო ბინაში, იზრუნებდა მასზე და დაკრძალავდა მშობლიურ სოფელში. მოპასუხის განმარტებით, იგი კონფლიქტის წარმოშობამდე ზრუნავდა მოსარჩელეზე, შეუძინა საყოფაცხოვრებო ნივთ-

ბი, გაურემონტა ოთახი და ა.შ. მოპასუხებ განმარტა, რომ, მოსარჩელის სურვილის შემთხვევაში, იგი თანახმაა, მომავალშიც გააგრძელოს მასზე მზრუნველობა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 81-ე მუხლით და გამოიტანა შემდეგი დასკვნები: სსკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია, მოითხოვოს გარიგების ბათილობა. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო გარიგებების დადებისას მოსარჩელე არ მოუტყუებიათ, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებას.

8. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

8.1. აპელანტს, სინამდვილეში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება სურდა, რაც დასტურდებოდა მისი ახსნა-განმარტებით, თავად მონინალმდეგე მხარის მიერ წარდგენილი შესაგებლით, აგრეთვე, გამომძიებლის მიერ შედგენილი ოქმის შინაარსით. აღნიშნული ფაქტები სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა.

8.2. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საკმარის მტკიცებულებად მოპასუხის განმარტება, რომ ნასყიდობის ფასი მოსარჩელეს გადაუხადა ბინაზე, მონმეების დასწრების გარეშე, მაშინ, როდესაც, ამ გარემოების დამადასტურებელი სხვა დასაშვები მტკიცებულება მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.1. პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს: სსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. აღნიშნული დანაწესი გულისხმობს, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა, ე.ი. გარიგების დადების დროს ყველა ან ერთ-ერთი პირობა ცდომილებაში განზრახ შეყვანითაა მიღწეული. შეცვილების შემდეგ სასამართლოში

დავისას მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მოტყუების ფაქტის არსებობა იმ მტკიცებულებებზე წარდგენით და გარემოებებზე მითითებით, რომლებიც დაადასტურებენ მოტყუების ფაქტს, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოებანი, რასაც შესაძლოა მისი შეცდომაში შეყვანა გამოენჯია. გარიგება, რომლის ყველა გვერდი ხელმოწერილია აპელანტის მიერ, არ შეიცავს ბუნდოვან, ან სამართლებრივად რთულ ისეთ ტერმინებს, რომლებსაც აპელანტის შეცდომაში შეყვანა შეიძლება გამოენჯია, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.2. პალატამ, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათლად იკვეთებოდა მხარეებს შორის სამისდღეშიო რჩენის ურთიერთობის არსებობა, პროცესუალური საფუძვლით დავის საგნის საფუძვლის შეცვლა მიზანშეუწონლად მიიჩნია. მან მიუთითა შემდეგი: „დადგენილია, რომ აპელანტის (მოსარჩელის) იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნება, ნასყიდობის ხელშეკრულების სამისდღეშიო ხელშეკრულებად აღიარებით კი, მოსარჩელე მოცემულ შემთხვევაში ვერ დაიკმაყოფილებს იურიდიულ ინტერესს. ... სასამართლო, რა თქმა უნდა, შეზღუდული არ არის სარჩელში მითითებული სამართლებრივი საფუძვლით და იგი ამონმებს სასარჩელო მოთხოვნის გამართულობას სხვა საფუძვლებითაც, (მიუხედავად იმისა, უთითებს თუ არა ამას მოსარჩელე), თუმცა მას არ შეუძლია გასცდეს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლებს. შესაბამისად, წინამდებარე დავის ფარგლებში საქალაქო სასამართლომ სწორად არ იმსჯელა არსებითად მხარეთა შორის სამისდღეშიო რჩენის ურთიერთობის არსებობაზე“.

10. თბილისის სააპელაციოს სასამართლოს განჩინება საკაცო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

10.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზეპირი განმარტება არაა საკმარისი არგუმენტი გარიგების ბათილად ცნობისთვის, მაშინ, როდესაც მოსარჩელემ ზეპირი განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულებებიც წარადგინა სასამართლოში, თუმცა სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ისინი. მოსარჩელის სურვილია ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან მოტყუების გარეშე იგი არ დადებდა ამ გარიგებას. მოპასუხეც არ უარყოფდა, რომ სხვა ურთიერთობაზე გაურიგდა მას. საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს არ გამოუვლენია ქონების გასხვისების ნება.

10.2. სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ ნასყიდობის ფასის მისთვის გადაცემას მოპასუხე ნასყიდობის ხელ-

შეკრულების შინაარსისგან („მყიდველმა ნასყიდობის ფასი გადას-
ცა გამყიდველს აღნიშნული ხელშეკრულების სანოტარო წესით და-
მონმებისთანავე“) განსხვავებულად აღწერდა. სასამართლომ უგუ-
ლებელყო სსკ-ის 477-ე მუხლით დადგენილი წესები და გარიგება
მხოლოდ იმიტომ მიიჩნია ნამდვილად, რომ იგი სანოტარო ბიურო-
შია გაფორმებული.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩი-
ვარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მეხუთე ნა-
წილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბა-
მისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელა-
ხალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

13. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზი-
ას, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და
ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა მტკიცე-
ბის საგანში შემავალი, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყვე-
ლა ფაქტი და გარემოება {სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი},
ამის შედეგად საკმარისი არგუმენტაციის გარეშე იქნა უარყოფი-
ლი სააპელაციო საჩივარი და არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის
პრეტენზიები.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასა-
ციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივ-
რის ფარგლებში, ხოლო ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი
ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის
მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამარ-
თლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შე-
იძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამა-
ვე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მი-
ერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალ-
დებულაა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ
არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამ შემ-
თხვევაში კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია.

15. სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების
ისეთი დარღვევებით განიხილა, რომლებმაც მიღებული განჩი-
ნების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზ-
რისით დაუსაბუთებლობა განაპირობეს, სახელდობრ:

15.1. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს 2013 წლის 25 სექტემბრის შეთანხმების სამართლებრივი ბუნებისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დადგენა წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლოს, პირველ რიგში, სწორად უნდა განესაზღვრა, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის და რომელი მოთხოვნის წაყენება შეეძლო მოსარჩელეს მოპასუხისათვის.

15.2. სარჩელის წარმოებაში მიღებამდე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სარჩელი და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიოს, თუ რამდენად გამართულია მოთხოვნა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ანუ სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები სასამართლოს მიერ მოძიებულ შესაბამის ნორმასთან (ან ნორმებთან ერთად) ქმნის თუ არა მოთხოვნის წარდგენის საფუძველს (შდრ. სუსგ, საქმე № 1529-1443-2012, 09.12.2013: „სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემორჩენაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“).

15.3. მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ აღძრული სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, რადგანაც მოთხოვნილია ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა. სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, ასევე, დოკუმენტების ნამდვილობის ან მათი სიყალბის დადგენის მოთხოვნა (აღიარებითი სარჩელი) დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბი-

ექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღ-
მოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფ-
ლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში
შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს.
ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებ-
საც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით,
აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამარ-
თლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და
იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლე-
ბელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა
(მდრ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას-937-887-2015; სუსგ-ები №ას-
17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-
869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.). საქ-
მის მასალებიდან ცხადად იკვეთება და სააპელაციო სასამართლო-
მაც დაადგინა, რომ მოსარჩელის მიზანი უძრავ ნივთზე საკუთრე-
ბის უფლების დაბრუნება იყო, შესაბამისად, მას უნდა წარედგინა
მიკუთვნებითი და არა აღიარებითი მოთხოვნა. ამასთან, ვინაიდან
სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს ევალუბოდა, საქმის მომზადების სტადიაზე განემარტა
მოსარჩელისათვის სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი
და, აქედან გამომდინარე, მისი უფლება, აღიარებითი მოთხოვნის
მიკუთვნებითი მოთხოვნით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე.
თუ მოსარჩელე არ გამოიყენებდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფ-
ლებას, მაშინ სასამართლოს სარჩელი განუხილველად უნდა დაე-
ტოვებინა (სსსკ-ის 209-ე მუხლი).

15.4. საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო სასამარ-
თლომ, პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარ-
ჩელეს უნდა შესთავაზოს დავის საგნის დაზუსტება, ასევე, მოპა-
სუხის თანხმობით, დავის საგნის გადიდება (სსსკ-ის 372-ე და 83-ე
მუხლის მეორე და მესამე ნაწილები). თუ მოსარჩელე ამ უფლებას
გამოიყენებს, მაშინ სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა შორის არ-
სებული ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, უნდა განსაზ-
ღვროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით
გასაჩივრებული განჩინება შეიცავს წინააღმდეგობრივ და არათან-
მიმდევრულ დასაბუთებას. როგორც სარჩელში, ისე შესაგებელში
მითითებული ფაქტებიდან და გარემოებებიდან დგინდება, რომ 2013
წლის 25 სექტემბრის შეთანხმებით (რომელიც დასათაურებულია,
როგორც „უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება“) დაიფარა
სხვა გარიგება, კერძოდ, სამისდღემო რჩენის შესახებ ხელშეკრუ-
ლება (სსკ-ის 56.2 მუხლი), შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა უძ-
რავ ნივთზე საკუთრების დაბრუნების თაობაზე შეიძლება, დაეფუძ-

ნოს სსკ-ის 941-ე და 949-ე მუხლებს, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილს. იმ შედეგის მიღწევა, რომელიც მოსარჩელეს სურს, შესაძლებელი გახდება ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით შედეგის განმაპირობებელი შემდეგი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებისას: ა) თუკი მოპასუხემ (მარჩენალმა) ისე დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულება, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის ამ ურთიერთობის გაგრძელებას, ბ) აღნიშნულის გამო სარჩენმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, გ) მოპასუხე (მარჩენალი) მოსარჩელის (სარჩენის) ხარჯზე გამდიდრდა, რადგანაც საჯარო რეესტრში სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სადავო ნივთის მესაკუთრეაა აღრიცხული.

16. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი სწორად უნდა გაანალიზოს (სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელის გარემოებები, ისე მოპასუხის შესაგებელი, გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების პ.14-ში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

17. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

18. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქ-

მის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ქ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღიარებული სარჩელი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1170-1116-2013

17 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2005 წლის 28 ოქტომბერს ს. გ-ასა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი) და შპს „ც.პ.ს-ს“ (შემდეგში: კომპანია, მოპასუხე, კასა-

ტორი) შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ, 9 950 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელისათვის ქ. თბილისში, ... 46,5 კვ.მ საცხოვრებელი ბინის (შემდეგში – სადავო უძრავი ქონების) აშენების ვალდებულება იკისრა. მოპასუხეს ბინა მშენებლობის დაწყებიდან 36 თვის ვადაში – 2008 წლის დეკემბრისათვის უნდა დაესრულებინა.

2. მოსარჩელემ თანხის გადახდის ვალდებულება შეასრულა, ხოლო მოპასუხემ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შესრულება ვერ უზრუნველყო.

3. 2010 წლის 15 ივლისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, უძრავი ქონება სამომავლო საკუთრების უფლებით აღირიცხა მოსარჩელის სახელზე.

4. 2012 წლის 21 თებერვალს, მოპასუხემ მოსარჩელეს წერილით აცნობა, რომ კომპანია შესაძლოა, მოვალეთა რეესტრში შესულიყო (რის საფუძველზეც სანარმო მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ველარ განკარგავდა, სანარმოს მოვალეთა რეესტრიდან ამოღებამდე/ამოშლამდე). მოპასუხე ამ წერილითვე მოითხოვდა მის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების 2012 წლის 2 მარტამდე შესრულებას, ასევე, იგი მოსარჩელეს ურჩევდა, უძრავი ქონება საკუთრების უფლებით დაერეგისტრირებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამ ქონებაზე სააღსრულებო წარმოება მიქცეულიყო მესამე პირების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. 2012 წლის 28 თებერვალს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დამატებით გაფორმდა „უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნაყიდობის შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სადავო უძრავი ქონების ღირებულება 16 461 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამასთან, მხარეებმა მიუთითეს, რომ მოსარჩელემ გადაიხადა 13950 აშშ დოლარი, დარჩენილი 2511 აშშ დოლარი კი, 2012 წლის 31 დეკემბრამდე უნდა გადაეხადა. აღნიშნული პირობის შესრულებამდე მესაკუთრეს აეკრძალა უძრავი ნივთის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ხოლო, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, გამყიდველს მიეცა უფლება, ცალმხრივად გაეუქმებინა მოსარჩელის საკუთრების უფლება. უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით მოსარჩელის სახელზე აღირიცხა.

6. მოსარჩელეს მოპასუხისათვის 2012 წლის 28 თებერვლის შეთანხმებით გათვალისწინებული 2511 აშშ დოლარი არ გადაუხდია.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა 2012 წლის 28 თებერვალის ხელშეკრულების ნაწილის (1.1, 1.3.3 და 1.4 პუნქტების) ბათილად ცნობა, კერძოდ, იმ პუნქტების, რომლითაც მას მოპასუხისათვის დამატებით

2511 აშშ დოლარის გადახდა ეკისრებოდა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა გადახდილი თანხის 18% – 2511 აშშ დოლარი და მან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით მიაღწია 2012 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულების შედგენას.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელისათვის გაგზავნილი შაბლონური ხასიათის შეტყობინების მიზანი მხარეთა შორის უკვე არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში მისაღები ანაზღაურების დროულად გადახდის უზრუნველყოფა იყო და არა – დამატებითი შესრულების მოთხოვნა. 2012 წლის 28 თებერვლის გარიგება დადებულია მხარეთა მიერ თავისუფლად გამოვლენილების შედეგად და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 50-ე, 85-ე, 86-ე, 10.2, 631.2 მუხლებით და დაასკვნა, რომ მოსარჩელემ 2012 წლის 28 თებერვლის გარიგების წაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველების არსებობა ვერ დაადასტურა შემდეგ გარემოებათა გამო:

9.1. მოსარჩელემ, გარიგების დადების მიზნით, მის მიმართ რაიმე სახის იძულების ფაქტი ვერ დაამტკიცა. სასამართლოს მითითებით, 2012 წლის 21 თებერვლის შეტყობინებით მოპასუხე ვერ მოითხოვდა 2012 წლის 28 თებერვლის გარიგებაში დასახელებული თანხის – 2511 აშშ დოლარის გადახდას, რადგან შეტყობინებით მოპასუხე უკვე არსებული ვალდებულების შესრულებას ითხოვდა, ხოლო 2012 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულება შედგენილი იყო მოსარჩელის მიერ დასახელებული წერილის მიღების შემდეგ. ამასთან, 2012 წლის 21 თებერვლის შეტყობინება არასწორ მონაცემებს არ ასახავდა, ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მოპასუხე საზოგადოების ქონება რეალურად იყო დაყადაღებული მესამე პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფი მხარეების მიერ აღნიშნული ხასიათის ინფორმაციის მიწოდება კი, კანონმდებლობაში მოქმედებდა ვერ განიხილება.

9.2. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, რათა თავიდან აეცილებინა უძრავი ქონების დაკარგვა. ამ ხელშეკრულების უმთავრესი მიზანი მოპასუხის მიერ საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთვის დამატებითი სახსრების მობილიზება იყო, აღნიშნულის შესა-

ხებ მითითებულია ხელშეკრულების 1.3 პუნქტშიც. შესაბამისად, გარიგება დამატებით 2511 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია დამკვეთისა და მენარდის ორმხრივი კონსენსუსის შედეგად ნარდობის საფასურის გაზრდის შესახებ შეთანხმებად. სასამართლომ არ გაიზიარა არც ის მოსაზრება, რომ მითითებული თანხით მოპასუხეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი უნდა გადაეხადა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა იმის საფუძველი, რომ მოპასუხის მოქმედებები მოსარჩელეს ქონების რეალურად დაკარგვის საფრთხედ აღექვა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო შეთანხმების მიზანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების დასრულებისათვის დამატებითი სახსრების მობილიზება იყო და ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს საცხოვრებელ კომპლექსზე, სადავო შეთანხმების დადების შემდეგ, სამშენებლო სამუშაოები არ შეუსრულებია. ამდენად, სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ შეთანხმებაში მითითებული თანხით ნარდობის საფასური გაიზარდა. ამის შესახებ თავად შეთანხმებაშიც არ არის მითითებული. აპელანტის მტკიცებით, ზედმეტად გადასახდელი თანხა – 2511 აშშ დოლარი სწორედ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ იყო, რითაც მოპასუხემ უკანონოდ გაზარდა უძრავი ქონების ღირებულება.

10.2. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შეტყობინების გაგზავნის დროისათვის მოსარჩელეს ყველა ვალდებულება შესრულებული ჰქონდა. სასამართლომ, მოსარჩელის მიერ წარდგენილი არც ის მტკიცებულებები შეაფასა, რომლებიც ადასტურებდა, რომ მოპასუხემ ქონების დაკარგვის შიშით აიძულა მოსარჩელე, ხელი მოეწერა სადავო შეთანხმებაზე. ამდენად, სწორედ იმის გამო, რომ მოსარჩელემ ობიექტურად შეაფასა მოვლენები (მოპასუხის უკანონო ქმედებებზე რეაგირება არ ხდებოდა მთავარ პროკურატურაში შეტანილი არაერთი საჩივრის გამო; საჯარო გამოსვლებში მოპასუხე კატეგორიულად, ულტიმატუმის ენით აცხადებდა, რომ საკუთრებაში ბინებს ვერ გადასცემდა დღგ-ს გადახდის გარეშე; 21.02.2012 წლის შეტყობინება არარსებული დავალიანების დაფარვის შესახებ), იძულებული გახდა ხელი მოეწერა კაბალურ შეთანხმებაზე.

10.3. სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 631-ე მუხლი, არ გამოიყენა ამავე კოდექსის 52-ე მუხლი, არც ის დაადგინა, ვლინდებოდა თუ არა იძულების სამი კომპონენტი: 1. იძულების მართლსაწინააღმდეგო მიზანი; 2. იძულების მართლსაწინააღმდეგო საშუალება; 3. მიზეზობრივი კავშირი იძულებასა და გარიგების დადებას შორის.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

11.2. სარჩელი დაკმაყოფილდა;

11.3. ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 28 თებერვლის „უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების“ 1.1, 1.3.3 და 1.4 პუნქტები.

12.1 სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 2008 წლის 25 მაისისათვის და 2009 წლის 14 ივნისისათვის მოქმედი რედაქციის 55-ე მუხლის პირველ ნაწილზე, (გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდევლობით (გულუბრყვილობით) და განმარტა, რომ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენდა. ამ პირობასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო მეორე გარემოებაც – გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით.

12.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ისარგებლა მითითებული პერიოდისთვის არსებული მდგომარეობით, რადგან, ერთი მხრივ, არსებობდა რეალური საშიშროება მოსარჩელეს საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით არ გადასცემოდა, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის ქონებაზე არსებული სამართლებრივი შეზღუდვების რაოდენობიდან გამომდინარე, კომპანიას მოსარჩელი-სათვის ვერ აენაზღაურებინა ვალდებულების დარღვევის შედე-

გად მიყენებული ზიანი. აღნიშნულის გამო კი, მოსარჩელე იძულებული გახდა, ეკისრა დამატებით თანხის გადახდის ვალდებულება. მისი საკუთრების უფლება სადავო ბინაზე აღირიცხა მხოლოდ სადავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამდენად, მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ მას შემდეგ შეასრულა, რაც სადავო ხელშეკრულებით მოსარჩელემ ეკისრა დამატებითი თანხის გადახდის ვალდებულება. სასამართლოს დასკვნით, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა არა ორმხრივი სარგებლის მიღება, არამედ მოსარჩელე შეიბოჭა დამატებითი ვალდებულებით მოპასუხის მიმართ.

12.3. პალატის მოსაზრებით, მოდავე მხარეთა შორის 2012 წლის 28 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების გასაჩივრებული პუნქტები ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებს და, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, სადავო პუნქტები ამორალურ გარიგებას წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული გარემოება არ ეხებოდა 2012 წლის 28 თებერვლის შეთანხმების იმ ნაწილებს, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ქონება. მოსარჩელისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება მოპასუხეს ეკისრებოდა მხარეებს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ სარჩელი საფუძველიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მოპასუხემ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. მოცემულ შემთხვევაში, შესრულებასა და ანაზღაურებას შორის ბალანსი დაცული იყო. ცალკე აღებული მძიმე მდგომარეობა თუ საბაზრო ძალაუფლების გამოყენების ფაქტი, გარიგების ბათილობისათვის საკმარისი წინაპირობა არ არის. სადავო გარიგების დადებით მოპასუხეს კანონშეუსაბამოდ არ უმოქმედია. მოსარჩელემ თავისი ნება გამოავლინა, როგორც შინაგანი განწყობით, ისე – გარეგნული გამოხატულებით. იგი აღძრული სარჩელით გარიგებით ნაკისრი ვალდებულებისაგან თავის დაღწევას ცდილობს.

13.2. ხარჯთაღრიცხვა გაიზარდა იმ დროს, როდესაც მშენებლობა მიმდინარეობდა და ამის შესახებ მოსარჩელეს მოგვიანებით, ნივთის ჩაბარებამდე (საკუთრებაში გადაცემამდე) ეცნობა. მან სრულად მოინონა გაზრდილი ხარჯთაღრიცხვა, არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეებს შორის გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით ახალი გარიგებაც დაიდო.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. როგორც გასაჩივრებული განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

16. მოსარჩელის მოთხოვნა 2012 წლის 28 თებერვალის ხელშეკრულების ნაწილის (1.1, 1.3.3 და 1.4 პუნქტების) ბათილად ცნობაა. მითითებული მოთხოვნა აღიარებითი შინაარსისაა. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებამდე სასამართლო ვალდებულია, მისი დასაშვებობა შეამოწმოს. რადგან აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის შემოწმება სამართლის საკითხია, სასამართლომ, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს დასაშვებია თუ არა იგი.

17. აღიარებითი სარჩელი მისი დასაშვებობის მიზნებისათვის უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 180-ე მუხლის მოთხოვნებს (სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს). კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამდენად, დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით.

18. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების თაობაზე საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ: მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოად-

გენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია, აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა ... აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, საქმე №ას-551-522-2015, 14.08.2015; საქმე №ას-937-887-2015, 10.11.2015, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები საქმეზე ას-121-117-2016).

19. აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი. სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვე-

ვაში, თუ სასარჩელო წესით მოთხოვნა მიღწევადი, ხოლო უფლება რეალიზებადია. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, იურიდიული ინტერესი ნამდვილი არ არის. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, იმ უფლებრივი შეზღუდვის გაუქმებაა, რომელიც 2012 წლის 28 თებერვლის სადავო ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა, კერძოდ, მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულ სადავო ქონებაზე ვალდებულების გრაფაში მითითებულია, რომ „ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, მყიდველს უფლება არ აქვს უძრავი ნივთი გაყიდოს, გაასხვისოს, გააჩუქოს, უფლებრივად დატვირთოს“. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულების იმ პუნქტების ბათილად ცნობით, რომლითაც მას კასატორისათვის 2511 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება ეკისრება, აღნიშნული უფლებრივი შეზღუდვა გაუქმდება.

20. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ზემოხსენებული გარიგების სადავო პუნქტების ბათილად ცნობით, მოსარჩელე ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს, ვინაიდან სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების თაობაზე რეგისტრაციას ვერ გააუქმებს. ამ მიზნის მისაღწევად უნდა არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის სადავო ჩანაწერის გაუქმების თაობაზე. რაკი ასეთი მოთხოვნა მოსარჩელეს არ აღუძრავს, სასამართლო კი, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს ვერ გაცდება (სსსკ-ის 248-ე მუხლი), პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, შესაბამისად, ეს სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს.

21. აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთი წინაპირობა, როგორც აღინიშნა, იურიდიული ინტერესის არსებობაა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონიშნაზეა საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-

ის 7.2 მუხლი) მაშინ, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. მოცემულ საქმეში ასეთი შემთხვევა ისაა, რომ მოსარჩელებს სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ აქვთ. ეს კი, მოსარჩელეთა აღიარებითი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია (შდრ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომწმება შეუძლებელია.

22. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თვისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციის მე-6 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა (მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის 42.1 და სსსკ-ის 2.1. მუხლებისა) ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტური და რეალური დაცვისკენაა მიმართული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. ამდენად, მოცემულ საქმეზე, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 257.1, 264.3, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. გ-ას სარჩელი, ამ უკანასკნელსა და შპს „ც.პ.ს-ს“ შორის

28.02.2012 წელს დადებული უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების 1.1., 1.3.3. და 1.4. პუნქტების ბათილად ცნობის შესახებ, დარჩეს განუხილველად;

2. გაუქმდეს ამ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღიარებითი სარჩელი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო სასამართლოში

№ას-636-594-2017

20 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. დ-მა 2012 წლის 21 მარტს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სს „ს-ის“ / საიდენტიფიკაციო ნომერი .../ (შემდეგში: საზოგადოება, საწარმო, სს) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებათა რეგისტრაცია, კერძოდ, აღნიშნული საწარმოს დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილებათა რეგისტრაცია. მარეგისტრირებელი ორგანოსათვის წარდგენილ განცხადებას თან ერთვის: ა) 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული საზოგადოების აქციონერთა რიგითი კრების ოქმი №22, რომელიც ხელმოწერილია კრების თავმჯდომარის – თ. ი-ისა და კრების მდივნის – ზ. დ-ის მიერ და მათი ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ 2012 წლის 21 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120289320/; ბ) 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი № 1, რო-

მელიც ხელმოწერილია კ. მ-სა და ზ. დ-ის მიერ და მათი ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ 2012 წლის 21 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120289379/; გ) 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2, რომელიც ხელმოწერილია კ. მ-სა და თ. ი-ის მიერ და მათი ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ 2012 წლის 21 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120285279/.

2. საზოგადოების 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული აქციონერთა რიგითი №22 კრების ოქმი (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) შემდეგი შინაარსისაა: კრებას ესწრებოდა აქციონერთაგან საზოგადოების აქციათა 34,53328%-ის მფლობელი აქციონერის მ. კ-ის წარმომადგენელი ზ. დ., ის ამ კრებაზე წარმოადგენდა ასევე აქციათა 12,31775%-ის მფლობელ აქციონერს ე. შ-ს, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების აქციათა 5,15374%-ის მფლობელ აქციონერ ფ. კ-ძეს, ამ უკანასკნელს 2012 წლის 20 მარტის კრებაზე წარმომადგენელი წარმოადგენდა. კენჭისყრის შედეგად კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თ. ი., ხოლო მდივნად – ზ. დ. კრებაზე წარმოდგენილი აქციონერების წარმომადგენელთა ერთსულოვანი მხარდაჭერით დამტკიცდა კრების დღის წესრიგი – პირველ საკითხად განისაზღვრა დირექტორის გათავისუფლება, ხოლო მეორე საკითხად – უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა.

3. კრებაზე წარმოდგენილ აქციონერთა ერთსულოვანი გადამწყვეტილებით საზოგადოების დირექტორის პოზიციიდან გათავისუფლდა ნ. ბ-ძე (შემდეგში: სს-ის დირექტორი, მოსარჩელე), ხოლო დასახელებულ კანდიდატთაგან კრებაზე წარმოდგენილ აქციონერთა 100%-იანი მხარდაჭერით სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ თ. ი. და ზ. დ., ხოლო მესამე წევრად, აქციონერთა 95%-იანი მხარდაჭერით, აღნიშნულ საბჭოში გამწესდა კ. მ.

4. სს-ის 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №1 (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) შემდეგი შინაარსისაა: ზ. დ-ის, თ. ი-ის და კ. მ-ს მონაწილეობით განხილულ იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი და, აღნიშნულ პირთა ერთსულოვანი მხარდაჭერით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ კ. მ-სა და მის მოადგილედ თ. ი-ის არჩევის თაობაზე.

5. სს-ის 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2 (იხ. წინამდებარე განჩინების პირ-

ველი პუნქტი) შემდეგი შინაარსისაა: ზ. დ-ის, თ. ი-ის და კ. მ-ს მონაწილეობით განხილულ იქნა სს-ის გენერალური დირექტორის დანიშვნის საკითხი და, აღნიშნულ პირთა ერთსულოვანი მხარდაჭერით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს-ის გენერალურ დირექტორად ზ. დ-ის დანიშვნის თაობაზე.

6. უდავოა, რომ ზ. დ-ის 2012 წლის 21 მარტის განცხადებისა და მასზე თანდართული გარიგებების შესწავლის შედეგად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ (შემდეგში: მოპასუხე, საჯარო რეესტრის სააგენტო, მარეგისტრირებელი ორგანო, აპელანტი ან კასატორი) 2012 წლის 22 მარტს მიიღო №B12038333/5 გადაწყვეტილება ხარვეზის დადგენის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით მარეგისტრირებელმა ორგანომ განმცხადებელ ზ. დ-ს განუმარტა რეგისტრაციის დამაბრკოლებელ შემდეგი სახის გარემოებათა არსებობის თაობაზე: „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია სს-ის აქციონერთა რიგითი კრების ოქმი №22, რომლის საფუძველზეც არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა. სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ კრებას ესწრებოდა აქციონერების – მ. კ-ის, ე. შ-ის და ფ. კ-ის მინდობილი პირი ზ. დ-ი, თუმცა, არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი. ასევე, წარმოდგენილ ოქმში არ არის მითითებული ახლად არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (პირადი ნომერი). სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე საზოგადოების გენერალურ დირექტორად დანიშნა ზ. დ., თუმცა, ოქმით არ არის განსაზღვრული მოქმედი დირექტორის ნ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება. შესაბამისად ზ. დ-ის დანიშვნით საზოგადოებას ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ორი პირი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, სარეგისტრაციო განაცხადში უნდა მიეთითოს ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს, თუ ცალცალკე. ასევე, წარმოდგენილ ოქმში არ არის მითითებული ზ. დ-ის პირადი ნომერი“ (ციტატის დასასრული).“ ამ გარემოებებზე მითითებით მარეგისტრირებელმა ორგანომ შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და განსაზღვრა ვადა რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებათა აღმოფხვრისათვის.

7. ზ. დ-მა 2012 წლის 27 მარტს განმეორებით მიმართა განცხადებით საჯარო რეესტრის სააგენტოს და, ამ ორგანოს 2012 წლის 22 მარტის NB12038333/5

გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინა შემდეგი გარიგებე-

ბი: ა) ისევ 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული საზოგადოების აქციონერთა რიგითი კრების ოქმი №22, რომელსაც ხელს აწერენ კვლავ თ. ი. და ზ. დ. და ამჯერად მათი ხელმოწერების ნამდვილობა ნოტარიულად დამოწმდა 2012 წლის 26 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120311784/; ბ) ისევ 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №1, რომელსაც, იგივე თარიღისა და ნომრის ოქმისაგან განსხვავებით, სხდომის მდივნის სტატუსით ამჯერად ხელს აწერს თ. კ. და ოქმზე ხელმომწერ პირთა ნამდვილობა იგივე ნოტარიუსმა დაამოწმა 2012 წლის 27 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120314768/; გ) ისევ 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2, რომელსაც, ამჯერად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სტატუსით, კ. მ-თან და, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით, თ. ი-თან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსით ხელს აწერს თ. კ. ამ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა ნოტარიულად დაამოწმა ნოტარიუსმა 2012 წლის 27 მარტს და მიენიჭა სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 120314733.

8. სს-ის 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული აქციონერთა რიგითი კრების ოქმი №22, რომელსაც ხელს აწერენ კვლავ თ. ი. და ზ. დ. და ამჯერად მათი ხელმოწერების ნამდვილობა ნოტარიულად დამოწმდა 2012 წლის 26 მარტს /სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი – 120311784/, გარდა ცალკეული შინაარსობრივი განსხვავებისა, არსებითად განსხვავდება იგივე თარიღისა და იგივე ნომრის იმავე სს-ის აქციონერთა კრების ოქმისაგან გარიგებითი მნიშვნელობის შინაარსითაც. მაგალითად, თუ პირველ შემთხვევაში (იგულისხმება 2012 წლის 21 მარტს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული, 120289320 სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერის მქონე ოქმი – იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) სს-ის აქციონერთა კრებამ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად აირჩია ზ. დ., თ. ი. და კ. მ., მეორე შემთხვევაში, 2012 წლის 26 მარტს იმავე ნოტარიუსის მიერ დამოწმებული 120311784 სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომრის მქონე ოქმის საფუძველზე, სს-ის აქციონერთა კრებამ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად აირჩია თ. კ., თ. ი. და კ. მ., ე.ი მეორე შემთხვევაში ზ. დ. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არ არჩეულა, მის ნაცვლად საბჭოს წევრის ადგილი დაიკავა თ. კ-მა.

9. უდავოა, რომ არსებითი განსხვავებაა 2012 წლის 20 მარტით დათარიღებულ სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს ერთი და იმავე ნომრის – №1 ოქმებს შორის. მაგალითად, თუ პირველ შემთხვევაში (იგულისხმება 2012 წლის 21 მარტს დამოწმებული და 120289379

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის მქონე ოქმი) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას ამ საბჭოს წევრების სტატუსით ესწრებოდნენ და გადაწყვეტილება მიიღეს ზ. დ-მა, თ. ი-მა და კ. მ-მა, მეორე შემთხვევაში (იგულისხმება 2012 წლის 27 მარტს დამონმებული და 120314768 სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის მქონე ოქმი) იგივე დღეს ჩატარებულ სხდომას სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სტატუსით ესწრებოდნენ და გადაწყვეტილება მიიღეს თ. კ-მა, თ. ი-მა და კ. მ-მა.

10. ფაქტობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით, არსებითი განსხვავებაა 2012 წლის 20 მარტით დათარიღებულ სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს ერთი და იგივე ნომრის მქონე – №2 ოქმებს შორის. მაგალითად, თუ პირველ შემთხვევაში (იგულისხმება 2012 წლის 21 მარტს დამონმებული და 120285279 სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის მქონე ოქმი) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას ამ საბჭოს წევრების სტატუსით ესწრებოდნენ და დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთადერთ საკითხზე – სს-ის გენერალური დირექტორის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღეს ზ. დ-მა, თ. ი-მა და კ. მ-მა; მეორე შემთხვევაში (იგულისხმება 2012 წლის 27 მარტს დამონმებული და 120314733 სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის მქონე ოქმი) იგივე დღეს სხდომას სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სტატუსით ესწრებოდნენ და, განსხვავებული დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, რომელიც ამჯერად ითვალისწინებდა ჯერ მოქმედი გენერალური დირექტორის (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) გათავისუფლებას და შემდეგ ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნას, გადაწყვეტილება მიიღეს თ. კ-მა, თ. ი-მა და კ. მ-მა.

11. უდავოა, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე წინააღმდეგობებისა და აშკარა შეუსაბამობების მიუხედავად, საჯარო რეესტრის სააგენტომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 22 მარტის NB12038333... გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) აღმოფხვრილი. მარეგისტრირებელმა ორგანომ 2012 წლის 28 მარტის NB12038333/... გადაწყვეტილებით განაახლა სარეგისტრაციო წარმოება, იმავე დღეს მიიღო NB12038333/... გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ის ნაცვლად სს-ის გენერალური დირექტორად დაარეგისტრირა ზ. დ. და, ამ ცვლილების გათვალისწინებით, 2012 წლის 28 მარტს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გასცა ამონაწერი.

12. უდავოა, რომ ნ. ბ-ემ 2012 წლის 27 აპრილს საჯარო რეესტრის სააგენტოს მიმართა საჩივრით და მოითხოვა ზემოხსენებული მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2012 წლის 28 მარტს რე-

გისტრაციის შესახებ მიღებული NB12038333/... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. არც ის გარემოებაა სადავო, რომ 2012 წლის 25 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება №80510, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ხსენებული საჩივარი.

13. სარჩელის საფუძვლები

13.1. ნ. ბ-ძემ (იხ. მე-3 პუნქტი) ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით სარჩელი აღძრა მოპასუხეების: 1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და 2) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წინააღმდეგ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისისა და იმავე წლის 7 ნოემბრის განჩინებების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული იქნენ: ზ. დ-ი, თ. ჩ-ძე, მ. კ-ი, ე. შ-ი და ფ. კ-ძე.

13.2. მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 28 მარტის NB 12038333/... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის №80510 გადაწყვეტილების (იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი) ბათილად ცნობა (იხ. ნ. ბ-ძის ადმინისტრაციული სარჩელი).

13.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 მარტის განჩინებით ზემოხსენებული სარჩელი განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ დასაბუთებით, რომ განსახილველი დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და რადგან მოსარჩელე ითხოვდა სამენარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანას; „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სამენარმეო საქმიანობა კერძოსამართლებრივი საქმიანობაა, სამენარმეო ურთიერთობების მონაწილეებს, როგორც კერძოსამართლებრივი ბრუნვის სუბიექტებს, შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, ამასთან, დასახელებული სპეციალური კანონის 46.3 მუხლის მიხედვით, შპს-ს პარტნიორებს უფლება აქვთ გაასხვისონ თავიანთი წილი (მიმოქცევადი უფლება) საზოგადოების კაპიტალში. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავა კერძოსამართლებრივი ხასიათის იყო, იგი განსჯად სასამართლოს უნდა განეხილა (იხ. განჩინება).

14. მოპასუხეთა შესაგებელი

14.1. მოპასუხეებმა – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტომ არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ სადავო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

15. მესამე პირის პოზიცია

15.1. მესამე პირთაგან (იხ. ამ განჩინების 13.1. ქვეპუნქტი) არც ერთს არ წარუდგენია საკუთარი წერილობითი მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, თუმცა დავის პროცესში, სს-ის, ფ. კ-ის, ზ. დ-ი და თ. ჩ-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ამ პირთა ნება და მხარი დაუჭირეს სარჩელის დაკმაყოფილებას; მესამე პირთაგან მ. კ-ს არც დავის ზეპირ განხილვაში მიუღია მონაწილეობა (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

16.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა:

16.2. ბათილად იქნა ცნობილი:

16.2.1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 28 მარტს მიღებული NB12038333/... გადაწყვეტილება;

16.2.2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისს მიღებული №80510 გადაწყვეტილება ნ. ბ-ძის ადმინისტრაციული საჩივრის (იხ. ამ განჩინების მე-12 პუნქტი) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

17. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

17.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

17.1.1. 2012 წლის 21 მარტს სამსახურს წარედგინა ზ. დ-ის №312038333 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა საზოგადოების (ს/კ ...) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია. სამსახურს წარედგინა დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ 20.03.2012წ. №73-589, №73-591 და №73-538 ამონაწერები რეგისტრიდან; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 01 თებერვლის განჩინების სანოტარო ნე-

სით დამონმებული ასლი (საქმეზე M2/7985-11); სს-ის აქციონერთა რიგითი კრების 20.03.2012წ. №22 ოქმი, დამონმებული სანოტარო წესით (21.03.2012წ. №120289320); სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი 20.03.2012წ. M2, დამონმებული სანოტარო წესით (21.03.2012წ. M12028529); სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი 20.03.2012წ., დამონმებული სანოტარო წესით (21.03.2012წ. №120289379); განცხადება ელექტრონული ფოსტის რეგისტრაციის შესახებ;

17.1.2. სამსახურის 2012 წლის 22 მარტის №312038333/5 გადაწყვეტილებით – ხარვეზის დადგენის შესახებ – სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და დაინტერესებულ პირს განემარტა ის გარემოებები, რაც წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტშია ასახული;

17.1.3. საქმეში დაცული დოკუმენტაციის თანახმად, კერძოდ, საზოგადოების წესდების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორატის წევრი. დაინტერესებულ პირს განემარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. ამასთან, მიეთითა, რომ 2012 წლის 21 მარტს ნოტარიუს ლ. გ-ას მიერ დამონმებულია სასამართლო განჩინების ფოტოასლის იდენტიფიკაცია მის დედანთან, თუმცა, დოკუმენტი არ არის ბეჭედდასმული ნოტარიუსის მიერ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, ნოტარიუსის ბეჭედი უნდა დაისვას შესრულებული სანოტარო მოქმედების დასამონმებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს ეცნობა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებით წარსადგენი იყო კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და სათანადო წესით დამონმებული ცვლილების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;

17.1.4. სამსახურს 2012 წლის 27 მარტს წარედგინა ზ. დ-ისა და კ. მ-ის სანოტარო წესით დამონმებული განცხადებები; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 01 თებერვლის განჩინების სანოტარო წესით დამონმებული ასლი (საქმეზე M2/7985-11); მ. კ-ისა და ე. შ-ის მიერ ზ. დ-ზე გაცემული მინდობილობები; ფ. კ-ის მიერ თ. კ-ზე გაცემული მინდობილობა; სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი 20.03.2012წ. №2, დამონმებული სანოტარო წესით /27.03.2012წ. №120314733/; სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი 20.03.2012წ. ML დამონმებული სანოტარო წესით /27.03.2012წ. M120314768/; სს-ის აქციონერთა რიგითი კრების 20.03.2012წ. M22 ოქმი, დამონმებული

სანოტარო წესით /26.03.2012წ. M120311784/;

17.1.5. სამსახურის 28.03.2012წ. №312038333/... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება განახლდა, ხოლო რეგისტრაციის შესახებ M512038333/... გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ცვლილება შევიდა სს საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში, კერძოდ, გენერალურ დირექტორად დარეგისტრირდა ზ. დ-ი;

17.2. აღნიშნული გადაწყვეტილება 2012 წლის 27 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა. სამსახურის მიერ განხილული იქნა ნ. ბ-ძის (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) ადმინისტრაციული საჩივარი და, მასზე თანდართული და სარეგისტრაციო სამსახურში არსებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება M80510 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

17.2.1. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო ამ კანონით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავც კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად;

17.2.2. აპელანტის მტკიცებით, 2012 წლის 21 მარტს წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა სს-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის პირობებს. შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და დაინტერესებულ პირს მოეთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა;

17.2.3. განმცხადებლის მიერ 2012 წლის 27 მარტს დამატებით წარდგენილი დოკუმენტაციით სრულად აღმოიფხვრა №312038333/... გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო

ტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ;

17.2.4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №31241 ბრძანებით დამტკიცებული „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომში – ინსტრუქცია) მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ან/და შეიცავს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას. ხოლო ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი რეგისტრაციას განმარტავს, როგორც სამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებსა და სარეგისტრაციო დოკუმენტებში ცვლილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით;

17.2.5. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის თანახმად, სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (პირველი პუნქტი); სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს სანარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (მე-2 პუნქტი);

17.2.6. სს-ის აქციონერთა 20.03.2012წ. №22 რიგითი კრების ოქმის (26.03.2012წ. M120311784) თანახმად, კრებას ესწრებოდა მ. კ. (წარმომადგენელი ზ. დ.) – აქციათა 34.533289/0, ე. შ. (წარმომადგენელი ზ. დ.) – აქციათა 12.31.775% და ფ. კ-ძე (წარმომადგენელი თ. კ.) აქციათა 5.15374% · ამდენად, კრებას ესწრებოდა აქციონერთა საერთო რაოდენობის 52.00477%. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კანონით ან სანარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და

მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. ამავე კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადანყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). სს-ის 2006 წლის 13 ოქტომბრის (ცვლილება შევიდა 2007 წლის 22 ოქტომბერს) წესდების 5.6 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – გენერალური დირექტორი. მათი არყოფნისას, კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. 20.03.2012წ. №22 რიგითი კრების ოქმის (26.03.2012წ. M120311784) თანახმად, კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – თ. ი., რაც შეესაბამება საზოგადოების წესდების მოთხოვნებს;

17.2.7. საზოგადოების წესდების 5.7 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრება გადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე სანესდებო კაპიტალის ნახევარის მფლობელები მაინც. აქედან გამომდინარე, კრება უფლებამოსილი იყო, მიეღო გადანყვეტილება. წესდების 5.8 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო კრება უფლებამოსილია აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში ან/და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან. გადანყვეტილების მისაღებად კი საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა. სს-ის 20.03.2012წ. №22 რიგითი კრების ოქმის (26.03.2012წ. M120311784) თანახმად, არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა (1. თ. კ., 2. თ. ი., 3. კ. მ.), რასაც მხარი დაუჭირა დამსწრე კაპიტალის აქციონერთა 100%-მა;

17.2.8. სს-ის 20.03.2012წ. №2 რიგითი კრების ოქმი (26.03.2012წ. M120311784) ხელმოწერილია კრების თავმჯდომარის – თ. ი-ისა და მდივნის – ზ. დ-ის მიერ, რაც შეესაბამება საზოგადოების წესდების 5.6 პუნქტსა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს;

17.2.9. სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 20.03.2012წ. სხდომის ოქმით (27.03.2012წ. 120314768) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა კ. მ., ხოლო მოადგილედ – თ. ი., რაც სრულ შესაბამისობაშია საზოგადოების წესდების 6.4 (სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს), 6.6 (სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი) და 6.7 (საბჭო გადანყვეტილებებს იღებს გა-

მოცხადებულ ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით) პუნქტებთან;

17.2.10. სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 20.03.2012წ. №2 სხდომის ოქმით (27.03.2012წ. 181120314733) საბჭომ ერთხმად (სხდომას ესწრებოდა სამივე წევრი) გაათავისუფლა ნ. ბ-ძე (მოსარჩელე) გენდირექტორის თანამდებობიდან და მას ჩამოართვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ასევე, სს-ის გენ. დირექტორის თანამდებობაზე ერთხმად დაინიშნა ზ. დ., რაც შეესაბამება საზოგადოების წესდების 6.6, 6.3, 11.1 პუნქტებს (ყველა საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, წყდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად) და შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის (სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს) მოთხოვნებს;

17.2.11. მარეგისტრირებელ ორგანოში სარეგისტრაციოდ წარდგენილ აქციონერთა კრების ოქმში მითითებულია, რომ კრება ჩატარდა 2012 წლის 20 მარტს, ქ. თბილისში, ..., როგორც ეს განსაზღვრული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების შესაბამისად. მოპასუხის №312038333/... გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადებულ ამონაწერში აისახა სამსახურში წარდგენილ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემები;

17.2.12. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამასთან, სააქციო საზოგადოების საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლო წესით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილ ვადებში;

17.3. ზემოაღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, მოპასუხის მტკიცებით, სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

18.1. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება.

18.2. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-12

პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მათ შორის უდავოდ დადგენილ ფაქტებზე მიუთითა, დეტალურად იმსჯელა ერთი და იმავე თარიღით გაფორმებულ სს-ის კრების ოქმებზე, რომლებიც ფაქტობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და მოპასუხის სააპელაციო საჩივრის უარყოფის სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

18.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მენარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდეგში – მარეგისტრირებელი ორგანო). ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მენარმე სუბიექტების მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა. ამგვარი რეგისტრაციის სავალდებულო ხასიათს განაპირობებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ნორმის შინაარსი. ამ ნორმის თანახმად, მენარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. გარდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული ნორმებისა, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პრინციპებს, მის არსს და შესაბამისად, ამგვარი რეესტრის წარმოებაზე კომპეტენციის მქონე მარეგისტრირებელი ორგანოს პასუხისმგებლობის მნიშვნელობას განსაზღვრავს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის 20¹-ე მუხლის 1-4 პუნქტების თანახმად: 1. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე სა-

კუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემები; 2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სუბიექტის რეგისტრაციის საფუძვლები და რეესტრის წარმოების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი; 3. სუბიექტი წარმოშობილად, რეგისტრირებული მონაცემები შეცვლილად, რეგისტრაცია შეწყვეტილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან; 4. რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონაწერს. ეს წესი არ ვრცელდება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის, აგრეთვე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შემთხვევებზე, გარდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე გირავნობის რეგისტრაციისა, მასში ცვლილებისა ან მისი შეწყვეტისა;

18.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ გავითვალისწინებთ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ანალოგიურ დანაწესთა შინაარსს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ, მათ შორის, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუნდაც არასწორად რეგისტრირებული მონაცემი ითვლება სწორად, ვიდრე კანონით დადგენილი წესით არ დადასტურდება უსწორობა – არასწორი მონაცემის განმაპირობებელი გარიგება ან თავად რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი, ცხადი ხდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გულისხმიერებისა და სკურპულუზურობის მასშტაბურობა სამენარმეო რეესტრის წარმოებისას;

18.5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელო-

ბის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადანყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. ამ ზოგადი დანაწესის გარდა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სტრუქტურაში მოქმედ სამსახურს სადავო გადანყვეტილებების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანებით დამტკიცებული იმ ინსტრუქციით, რომელიც განსაზღვრავს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეგისტრაციის წესს. ამ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია მიიღოს გადანყვეტილება ხარვეზის დადგენის შესახებ, თუ წარდგენილი დოკუმენტები გადაიგზავნა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში მათი კანონიერების შესწავლის მიზნით. ხსენებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების კანონიერების შესწავლის მიზნით სამართალდამცავი ორგანოსათვის მიმართვის საფუძველად სარეგისტრაციო წარმოების ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლის აღმოფხვრამდე. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აქვს ვალდებულება, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ეჭვი შეიტანოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტის კანონიერებაში, ამ ეჭვის დადასტურების ან გაქარწყლების მიზნით კი, საეჭვო დოკუმენტები შესასწავლად გადასცეს სამართალდამცავ ორგანოს და საკითხის გარკვევამდე შეაჩეროს სარეგისტრაციო წარმოება;

18.6. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ამ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის სადავო გადანყვეტილებებს საფუძვლად დაედო ხარვეზის დადგენის შემდეგ მარეგისტრირებული ორგანოსათვის წარდგენილი აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ოქმები, რომლებიც მსგავსად პირველად წარდგენილი აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ოქმებისა, დათარიღებულია 2012 წლის 20 მარტით და იმავედროულად ფაქტობრივი თვალსაზრისითა და სამართლებრივი მნიშვნელობით (გარიგებითი შედეგებით) განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ ხარვეზის დადგენის შემდეგ წარდგენილი ოქმები მხოლოდ ხელახლა მონვეული აქციო-

ნერთა კრების თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების შედეგები უნდა ყოფილიყო და 2012 წლის 20 მარტს მათი შედეგადად შეუძლებელი იყო, შესაბამისად, ამ ოქმებში გადმოცემული ფაქტობრივ გარემოებებს ადგილი ვერ ექნებოდა 2012 წლის 20 მარტს. ასეთ ვითარებაში მარეგისტრირებული ორგანოსათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ განმეორებით (ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით) წარდგენილი დოკუმენტები არ ასახავდნენ რეალობას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამგვარი დასკვნის გაკეთება უფრო მეტი დამაჯერებლობით შესაძლებელი იყო ნ. ბ-ძის (მოსარჩელის) ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, თუმცა, ამჯერადაც მარეგისტრირებელმა ორგანომ ვერ გამოიჩინა ელემენტარული გულისხმიერება და სრულიად უსაფუძვლოდ უარყო საჩივრის გონიერი და სამართლებრივად გამართული გადაწყვეტა;

18.7. მოპასუხე მხარე სარჩელის უარყოფელი პოზიციის გასამყარებლად იშველიებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ნორმას. ამ ნორმის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი ნამდვილად ვერ იქნებიან პასუხისმგებელი იმ ტიპის ბათილი გარიგებების საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემებით დამდგარი ზიანისათვის, რომელთა ბათილობის (არანამდვილობის) განმამტკიცებელ გარემოებათა აღქმა განსაკუთრებულ კვლევას, მაგალითად, საგამოძიებო მოქმედებებს ან სასამართლოში დავის განხილვას მოითხოვს, მაგრამ მაშინ, როდესაც დოკუმენტის სიყალბეზე ვარაუდი, ელემენტარულად, დროის აღქმის სიცხადითაა გამყარებული, ვერც მარეგისტრირებული ორგანო და ვერც მისი თანამშრომელი დააღწევენ თავს პასუხისმგებლობას. სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამას გულისხმობს აღნიშნული ნორმის მეორე წინადადება, რომლითაც მარეგისტრირებულ ორგანოს და მის თანამშრომელს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაზე. მოცემული შემთხვევისათვის ეს ნორმა, ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, მარეგისტრირებულ ორგანოს და მის კონკრეტულ თანამშრომელს ავალდებულებდა საზოგადოების მიერ თავდაპირველად წარდგენილი ოქმები და ხარვეზის დადგენის შემდეგ წარდგენილი ოქმები შეედარებინა ერთმანეთისათვის, რაც მოპასუხე მხარეს გაუ-

ჩენდა რწმენას, რომ 2012 წლის 20 მარტს შეუძლებელი იყო ჩატარებულიყო სხვადასხვა შინაარსისა და დღის წესრიგის აქციონერთა საერთო კრებები თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები. ამგვარი შედარების შედეგად მარეგისტრირებული ორგანო დარწმუნდებოდა, რომ თავდაპირველად წარდგენილი, 2012 წლის 20 მარტით დათარიღებული ოქმებისათვის დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით არ მოწვეულა ახალი აქციონერთა საერთო კრება და ხელახლა არ გამართულა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები;

18.8. ზემოხსნებული მსჯელობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ამ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას არ მოქმედებდნენ ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებით ნაკარნახევი გულისხმიერების ფარგლებში, რამაც განაპირობა არანამდვილი (ბათილი) გარიგებების საფუძველზე საზოგადოების გენერალური დირექტორის ნ. ბ-ძის (მოსარჩელის) ნაცვლად ზ. დ-ის რეგისტრაცია სს-ის დირექტორად. ამგვარი რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, კი მათი კანონსაწინააღმდეგობის გამო, ბათილია.

18.9. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს: საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა. კანონის მე-5¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ტერმინი „დაინტერესებული პირი“ ამ კანონში გამოიყენება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთი შეხედვით, საზოგადოების წესდების და სარეგისტრაციო კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ცვლილების რეგისტრაციისათვის სარე-

გისტრაციო ორგანოს მიერ ხარვეზის დადგენამდე და, მის შემდეგ, ხარვეზის გამოსწორებისათვის წარდგენილი დოკუმენტები, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა წინა დოკუმენტებით დაშვებული საწესდებო პრინციპებთან და სარეგისტრაციო კანონით დადგენილ პირობებთან შეუსაბამობები, საფუძველი უნდა იყოს მოთხოვნილი ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებისათვის.

19.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დავის საგნიდან გამომდინარე სადავო გადაწყვეტილებების ბათილობისადმი იურიდიული ინტერესი გააჩნია მოსარჩელეს (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი), რომელიც ზემოთ მითითებული ოქმების თანახმად, როგორც ირკვევა, სს-ის დირექტორს წარმოადგენდა, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან საზოგადოების სადავო კრების ოქმების საფუძველზე და დირექტორის უფლებამოსილებით აღიჭურვა სხვა პირი – ზ. დ-ი. სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქმეში წარდგენილი ორივე ვარიანტის ოქმების თანახმად, მოსარჩელე საზოგადოების კრებებს არ ესწრებოდა. რეგისტრაციისათვის წარდგენილია ერთი და იგივე საკითხთან დაკავშირებული ერთი და იმავე თარიღისა და ერთი და იგივე პიროვნებების მონაწილეობით შედგენილი დოკუმენტები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება და ცვლილებებია; თუმცა, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ერთი და იგივე სარეგისტრაციო დოკუმენტებში განსხვავებული მონაცემების ასახვის კანონიერება გაურკვეველი დარჩა. ფაქტია, რომ სარეგისტრაციო სამსახური არ დაინტერესებულა დოკუმენტების ტრანსფორმაციის საფუძველით, ოქმებში შეტანილი ცვლილებების კანონშესაბამისობით;

19.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ (სადავო გადაწყვეტილების მიღების პერიოდის და დღეის მდგომარეობით მოქმედი) საქართველოს კანონის 3.6 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ინსტრუქციის მე-2 მუხლის თანახმად, ინსტრუქციის მიზანია სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო წარმოებისა და ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი და პროცედურული საკითხების განსაზღვრა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, საჯარო ინფორმაციისა და სხვა მონაცემების შემცველი დოკუმენტების შინაარსის, ფორმებისა და ტექნიკური პირობების დადგენა, მართვის ავტომა-

ტური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული წარმოებებისა და ინფორმაციის გაცემის რეგულირება. ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სააგენტო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე;

19.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მმართველობითი ღონისძიების მატერიალური კანონშესაბამისობის აღიარება პერსპექტიულია კანონის მიერი იმ ვალდებულების ეფექტიანად გამოყენების წარმოჩენით, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო პასუხისმგებელია გადანყვეტილების მიღება დააყრდნოს საკითხის სრულყოფილ შესწავლას და გამოკვლევას (მმართველობითი ღონისძიების ფორმალური კანონიერება). მოსარჩელე მხარე სარეგისტრაციო ორგანოს გადანყვეტილების კანონსაწინააღმდეგობაზე უთითებს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი იქნა ერთი და იგივე დოკუმენტები სახეცვლილი ვარიანტებით, შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცებით, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ განხორციელებული რეგისტრაცია ყალბ დოკუმენტებს დაეფუძნა;

19.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის სააპელაციო პრეტენზიები სარეგისტრაციო სამსახურის სადავო გადანყვეტილების კანონშესაბამისობასთან დაკავშირებით „საჯარო რეესტრის შესახებ“ (სადავო გადანყვეტილების მიღების პერიოდის და დღეის მდგომარეობით მოქმედი) საქართველოს კანონის 3.6 მუხლის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების მისეული ინტერპრეტაციით. სასამართლომ განმარტა, მოხმობილი ნორმითა და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ინსტრუქციის 10.11 მუხლით პასუხისმგებლობის არიდება განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნამდვილობის გამო, არ მოიცავს და არ ფარავს ამავე ნორმატიული აქტებით მითითებულ მუხლებში განერილ შემდეგი შინაარსის პირობებს: „ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე და „ინსტრუქციის მიზანია სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო წარმოებისა ... სამართლებრივი და პროცედურული საკითხების განსაზღვრა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ... და სხვა მონაცემების შემცვლელი დოკუმენტების შინაარსის, ფორმებისა და ტექნიკური პირობების დადგენა...“. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დათქმები წარმოაჩენს სარეგისტრაციო სამსახურების პასუხისმგებლობის ფარგლებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობის თუ მათი შინაარსის

ადეკვატურობის და კანონშესაბამისობის მიმართ გამიჯვნით;

19.5. მოცემულ შემთხვევაში, სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა ერთი და იგივე დოკუმენტების (საზოგადოების კრების ოქმები) ორი ვარიანტი, რომელთა საფუძველზე საწარმოს დირექტორი – ნ. ბ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დირექტორად დაინიშნა ზ. დ-ი, ნ. ბ-ძე არც ერთ კრებას არ დასწრებია. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ასეთ ვითარებაში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტა იმის გარკვევის გარეშე, თუ რა ლეგიტიმური საფუძველით განხორციელდა ერთი და იგივე სარეგისტრაციო დოკუმენტების ტრანსფორმირება, ხომ არ განხორციელებულა უსწორობის გასწორება და სხვა, ნიშნავს იმას, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ რეგისტრაციისათვის სამართლებრივი და პროცედურული საკითხების განსაზღვრისას არ გამოიკვლია დოკუმენტების მონაცემების შინაარსის კანონთან შესაბამისობა და მათი ურთიერთშესაბამისობა. სარეგისტრაციო სამსახურს ასეთ შემთხვევაში უნდა გაეგრძელებინა ვადა განმცხადებლისათვის და მოეთხოვა იმ საფუძველების წარდგენა, რომელიც დაასაბუთებდა თავდაპირველად წარდგენილ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების კანონიერებას. ასეთ ვალდებულებას ამყარებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 მუხლის „თ¹“ პუნქტით დადგენილი დანაწესი, რომლის თანახმად სარეგისტრაციო სამსახური აღჭურვილია უფლებამოსილებით, შეაჩეროს რეგისტრაცია და სამართალდამცავ ორგანოებს გადაუგზავნოს დოკუმენტები მათი კანონიერების შესწავლის მიზნით;

19.6. ზემოხსენებულ კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ერთი და იგივე განსხვავებული ვარიანტების დოკუმენტების კანონშესაბამისობა, დღეის მდგომარეობით, დადასტურებულია სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება თ. ჩ-ძის სარჩელისა გამო მოპასუხის სს „სას“ წინააღმდეგ). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს 2012 წლის 28 მარტის NB12038333/... სადავო გადაწყვეტილების საფუძველი (აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს 2012 წლის 20 მარტის ერთიდაიგივე კრების ორი ვარიანტის ოქმები) ბათილია, ასევე, გაუქმებულია, ძალადაკარგულია სადავო გადაწყვეტილება. მარეგისტრირებელმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკითხი სრულყოფილად, ყოველმხრივ არ შეისწავლა და მიღებული შედეგით და-

უპირისპირდა დაინტერესებული მხარის – ნ. ბ-ძის კანონიერ ინტერესს (ცვლილებების რეგისტრაციით დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში).

19.7. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის №80510 სადავოდ გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 27 მარტის NB12038333/... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემდგომმა ორგანომ არ შეაფასა მარეგისტრირებული ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების კანონშესაბამისობა, რის გამოც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაც კანონსაწინააღმდეგოა და მისი ბათილად ცნობა მართებულია.

20. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ დავის საგნობრივი განსჯადობა, რის გამოც სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას აღნიშნულის შესახებ ემსჯელა.

21. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

22. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

22.1. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საკასაციო წესით გააჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რაც სააპელაციო საჩივარშია ასახული.

23. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

23.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, მოპასუხის საკასაციო განაცხადი არსებითად განსახილველად დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მო-

ტივაციით:

24. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

25. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც მარეგისტრირებელი ორგანოს (მოპასუხე მხარის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობას ეხება და აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, არასაკმარისად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოსარჩელის წამდვილ იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების 19.1 ქვეპუნქტი; ასევე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

26. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემომწმება სასამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ – უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მა-

ტარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა: „... გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების /საქმე №ას-664-635-2016/ დასკვნები 231-ე-233-ე პუნქტებში და დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის /საქმე №ას-121-117-2016/ განჩინების დასკვნები 55-ე-56-ე პუნქტებში; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

27. აღსანიშნავია, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით და დოქტრინაში განვითარებული შეხედულებით. სარჩელთა ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია.

28. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებამზი; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარ-

ჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი). განსახილველი დავა პირის სამენარმეო საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ბათილობას ეხება. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე „საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მსჯელობისას, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს დავალეხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები [სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები] – იხ. სუსგ-ები; №ას-895-845-2015, 29.01.2016 წ., №ას-23-23-2016, 09.03.2016 წ. საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით მსგავსი კატეგორიის დავების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის სწორედ მენარმეთა კანონი გამოიყენება. საზოგადოების დირექტორის საქმიანობა არის სამენარმეო ურთიერთობა, დირექტორის ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან მოწესრიგებულია სამენარმეო კანონმდებლობით. დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობაა (მდრ. სუსგ-ები: №3კ/259-01, 30.03.2001 წ.; №ას-68-767-03, 26.06.2003 წ.). როგორც ზემოთ აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით, საწარმოს დირექტორთან ფორმდება სასამსახურო ხელშეკრულება, სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლების საფუძველზე (იხ. სუსგ-ები: №ას-23-23-2016, №ას-272-259-2016, №ას-533-506-2015) საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ საზოგადოების დირექტორის თანამდე-

ბობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი – სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი. შესაბამისად, საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება), თავისი არსით, განეკუთვნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (სუსგ №ას-23-23-2016, 09.03.2016 წ.).

30. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, უწინარესად, უნდა გამოიკვლიოს რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მოსარჩელეს მარეგისტრირებული ორგანოს სადავო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობით, ანუ რაში მდგომარეობს მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რადგან იმ დაშვებითაც, რომ სათანადოდ არ გამოიკვლია მარეგისტრირებულმა ორგანომ მისთვის საზოგადოების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, არ იმსჯელა ერთი და იმავე რიცხვით დათარიღებული კრების ოქმების შინაარსობრივ და ფაქტობრივ შეუსაბამობებზე, დასადგენია სამართლებრივად როგორ გაუმჯობესდება მოსარჩელის მდგომარეობა. იმ დაშვებითაც, რომ სადავო გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობის შედეგად არასწორად რეგისტრირებული მონაცემები სამენარმეო რეესტრში ამოიშალოს, საზოგადოებას სამენარმეო კანონით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, მოიწვიოს პარტნიორთა კრება და მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული პრაქტიკა გახდა წინამდებარე საკასაციო საჩივრის არსებითად განსახილველად დაშვების ერთ-ერთი საფუძველი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად). აქედან გამომდინარე, დასადგენია მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი განსახილველი დავის სამართლებრივი შედეგისადმი.

31. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის მასალებშია 2012 წლის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება (იხ. წინამდებარე განჩინების 19.6 ქვეპუნქტი), რომლის თანახმად ბათილად არის ცნობილი სააქციო საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, განსახილველი დავის მოსარჩელის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და საზოგა-

დოების დირექტორად სხვა პირის დანიშვნის შესახებ (იხ. კანონი-ერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი), აქედან გამომდინარე, კვლავაც გაურკვეველია მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ან უნდა დადგინდეს, ხომ არ არის შესაძლებლობა მოსარჩელის არსებული მოთხოვნა მოდიფიცირებულ იქნეს მიკუთვნებით მოთხოვნად, რაც გამოირიცხავს აღიარებით სარჩელს და აღნიშნული სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე უნდა შეფასდეს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „მართლმსაჯულების ეფექტიანობა მის საპროცესო ეკონომიაშიც გამოიხატება და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მემვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში მოთხოვნილი აქტების ბათილობა, სავარაუდოდ იმის წინაპირობას წარმოადგენს, რისი მიღწევაც სურს მოსარჩელეს, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის დაზუსტება, მოთხოვნის გამართულად ჩამოყალიბება არ წარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელიც დადგენილია სსსკ-ის 381-ე მუხლით და დაუშვებლად მიიჩნევა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დავის საგნის შეცვლას ან გადაიდებას“ (იხ. სუსგ №ას-595-554-2017, 15.12.2017გ.). საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე მოსარჩელის მოთხოვნის შემონმების დროს, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება, ხოლო განსახილველი დავისადმი მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გამოიკვეთება, მაშინ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს.

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესუალური საკითხები, რომლებიც სსსკ-ით დადგენილი წესებითაა მოწესრიგებული, სავალდებულოა როგორც მხარეებისათვის, ასევე – სასამართლოსათვის. შესაბამისად, საპროცესო საკითხები (მათ შორის სარჩელის განუხილველად დატოვება) ყველა შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოწესრიგების საფუძველზე უნდა შემონმდეს და გადაწყდეს.

33. საკასაციო სასამართლო განსახილველი საკითხის სიცხადის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიაწინებს იმაზე, რომ

მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადანყვეტაზე მიაწინებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვება შედეგად.

34. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი.

35. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღიარებითი სარჩელი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1092-2018

29 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმისა და ნასყიდობის ხელ-
შეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. მ. პ-მა (შემდგომში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი), თ. თ-ის, ბმა „მ-ების“, მ. ნ-ძის, ი. ლ-ძის, გ. ც-ძის, ე. ვ-ისა და ა. ს-ის (შემდგომში – თავდაპირველი თანამოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა ნოტარიუს ქ. მ-ის მიერ 2008 წლის 24 ოქტომბერს დამონმებული (სანოტარო მოქმედებათა საერთო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 1-9198) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს ...-ის“ (ამ ამხანაგობის დღევანდელი სახელწოდებაა ბმა „მ-ები“) წევრთა კრების №3 ოქმისა და მ. ბ-სა (გამყიდველი) და თ. თ-ს (მყიდველი) შორის 2013 წლის 28 ოქტომბერს დადებული ქ. თბილისში, ...-ს №7-ში მდებარე 74,04 კვ.მ ფართის მქონე ცალკე მდგომი სათავსის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მ. ბ-ს საკუთრების უფლებით ერიცხებოდა 33,05 კვ.მ სათავსი. ამ უკანასკნელმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ წარმოადგენდა ამხანაგობის თავმჯდომარეს და ისე, რომ ამხანაგობის წევრთა კრება არ ჩაუტარებია, შეადგინა სადავო ოქმი, ამხანაგობის წევრებს მოტყუებით მოაწერინა ხელი და ხსენებული ოქმის საფუძველზე მიისაკუთრა ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების საგანი (ამ ფაქტის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ მ. პ-თვის, რომელსაც ეგონა, რომ მ. ბ-ს სურდა მისი კუთვნილი ფართის რეგისტრაცია და ხელს აწერდა ამ ფართის აზომვით ნახაზს). მას შემდეგ, რაც მ. ბ-მა შე-

იტყო ქონებაზე დავის წამოწყების შესახებ, მან დავის შედეგების თავიდან არიდების მიზნით ფორმალურად გააფორმა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება მის ახლოვალ ადვოკატთან – თ. თ-თან, შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მიზანს არა საკუთრების გადაცემა, არამედ მოჩვენებითობა წარმოადგენს.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მ. ნ-ძეს სასამართლოსათვის არც შესაგებლით მიუმართავს და არც საქმის ზეპირ განხილვაში მიუღია მონაწილეობა;

2.2. ბმა „მ-ების“ თავმჯდომარე ს. ბ-ამ, ე. ვ-მა, ა. ს-მა და ი. ლ-ძემ სარჩელი ცნეს;

2.3. გ. ც-ძემ მარტივი შედავებით არ ცნო სარჩელი, თუმცა ის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა;

2.4. მ. ბ-მა და თ. თ-მა არ ცნეს სარჩელი, მიუთითეს, რომ ამხანაგობის კრების ოქმი და სადავო გარიგება კანონის მოთხოვნათა დაცვით იყო დადებული და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ქ. მ-ის მიერ 2008 წლის 24 ოქტომბერს დამონმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს – ...-ის“ ნევრთა კრების №3 ოქმი და მ. ბ-სა და თ. თ-ს შორის 2013 წლის 28 ოქტომბერს დადებული ქ. თბილისში, ...-ს №7-ში მდებარე 74,04 კვ.მ ცალკე მდგომი სათავისი (ს/კ №...) განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის სადავო კრების ოქმი და მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულება 40,99 კვ.მ უძრავი ქონების განკარგვის ნაწილში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით

გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო, მ. პ-ის სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, რომელიც, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაზე გამოვლენილი ნების – მრავალმხრივი გარიგების, ისე – ამ ქონების შემდგომი განკარგვის კანონთან შესაბამისობას შეეხება. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილებს:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო უპირველესად ამოწმებს, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე – მისი უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2. საკასაციო პალატა მიუბრუნდება განსახილველ საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებითი სარჩელის საფუძ-

ვლიანობას შეეხება. უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლო გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დანესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამოწმებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზე დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანახარის, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურსამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომა-

ვალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.2.1. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

1.2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე (იხ. სუსგ დიდი პალატის გადანყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) განმარტა შემდეგი: აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი რამ სასამართლომ გადანყვეტილებით აღიაროს, მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს, ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამოირიცხებულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ-ები: №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

1.3. განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სურს ხელყოფისაგან დაიცვას საზიარო საგანი. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით აღიარებულია საერთო საკუთრების დაცვა და მართვა (იხ. ამავე კანონის მე-7, მე-8 და მომდევნო მუხლები), რომელიც თანამესაკუთრეთა დადასტურებული უფლებათა და ამ უფლებებიდან ნაწარმოებ მოთხოვნებში ამხანაგობის წევრები გვევლიანებიან სოლიდარულ კრედიტორებად ან მოვალეებად, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 455-ე, 955-ე და 957-ე მუხლების საფუძველზე, თანამესაკუთრეთა სასარგებლოდ ერთ-ერთი პირის მიერ სარჩელის აღძვრა დასაშვებია, თუმცა, მხოლოდ სარჩელის უფლება განსახილველი საკითხის გადანყვეტისათვის არასაკმარისია. მართალია, ხსენებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს თანასაკუთრების საგნის ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებად გარდაქმნის წესსა და პირობებს, რომლის დარღვევის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ფართის მ. ბ-ის სახელზე განკარგვა მართლსაწინააღმდეგოა, ხოლო ამის შემდგომ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ემსახურება არა საკუთრების უფლების გადაცემას, არამედ, ქონების დაბრუნების შეფერხებას (სკ-ის 56-ე მუხლი), თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება სადავო კრების ოქმისა და შემდგომში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდება საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის საკმარისი საშუალება, ვინაიდან იმის მიხედვით, თუ რას განიხილავს მოსარჩელე უფლების დარღვევად, მან უნდა აღძვრას შესაბამისი სარჩელი (ხელშეშლის აღკვეთა, უკანონო მფლობელობიდან საზიარო საგნის/მისი ნაწილის გამოთხოვა, ქონების თანასაკუთრებაში დაბრუნება და სხვა), რომლის მტკიცების საგანს და არა სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს ცალკეულ დოკუმენტთა ნამდვილობა. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ ამხანაგობის წევრთა დარღვეული უფლების აღდგენის საუკეთესო საშუალება, განსახილველ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელი არ არის, ამასთანავე, სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებს მხარეს იმას, რაც სარჩელით არ უთხოვია, ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით კი, დგინდება, რომ აღიარებითი სარჩელი, განსახილველ შემთხვევაში, დაუშვებელია.

1.4. საკასაციო პალატა, საკითხის სრულყოფის მიზნით მოიშველიებს „აღამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევრო-

პულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. (საქმეზე: *Apostol v. Georgia*; §37; ასევე, *Hornsby v. Greece*, §40 ევროსასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. იხ. ასევე: *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *Burdov v. Russia*, §34; *Hornsby v. Greece*, §40).

1.5. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და, მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონმებაზე მასშია საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვლინდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-

551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები:

2.1. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 5 ნოემბრისა და 21 ნოემბრის განჩინებებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ...-ს №7-ში მდებარე 74,04 კვ.მ №... უძრავ ქონებას.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მოცემული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე განჩინებით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული, პალატა მიიჩნევს, რომ აღარ არსებობს ამ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული შესაბამისი ღონისძიების ძალაში დატოვების წინაპირობები.

3. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე, 199¹, 372-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და მ. პ-ის სარჩელი მ. ბ-ის, თ. თ-ის, ბმ „მ-ების“, მ. ნ-ძის, ი. ლ-ძის, გ. ც-ძის, ე. ვ-ისა და ა. ს-ის მიმართ, ნოტარიუს ქ. მ-ის მიერ 2008 წლის 24 ოქტომბერს დამონმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს...-ის“ წევრთა

კრების №3 ოქმის, ასევე, მ. ბ-სა და თ. თ-ს შორის 2013 წლის 28 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად.

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ნოემბრისა და 21 ნოემბრის განჩინებებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ...-ს №7-ში მდებარე 74,04 კვ.მ №... უძრავ ქონებას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოობა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-780-780-2018

22 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლის გამო უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ლ-ამ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. ბ.“ (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „ბანკი“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. 2010 წლის 7 აპრილს მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნასყიდობის საგნის მოსარჩელისათვის ნატურით დაბრუნება (იხ. მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადება სასარჩელო მოთხოვნის, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დაზუსტების და მტკიცებულებების დართვის თაობაზე, ასევე თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მარტის მოსამზადებელი სხდომის ოქმი CD დისკი: 10:08:35-10:09:20);

1.2. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ორმხრივი ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის – 317 000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2010 წლის 7 აპრილს ბანკმა მოსარჩელესთან მოტყუებით დადო უძრავი ნივთების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება №2, რომლის საფუძველზე ბანკმა შეიძინა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 416.7 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, განთავსებული ქალაქ თბილისში, ი. ქ. №12 (ს/კ 01.10...)-ში მდებარე 480 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე და 651.6 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, რომლიდანაც მოსარჩელის საერთო ფართობია 371.6 კვ.მ. საცხოვრებელი ფართები განთავსებულია ქალაქ თბილისში, ქ. ... ჩიხი, №... (ს/კ 01.14.14...)-ში მდებარე 235 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე;

2.2. ნასყიდობის საფასური შეადგენდა 317 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, მაშინ როდესაც ქონების რეალური ღირებულება ბევრად აღემატებოდა ამ თანხას. კერძოდ, სასაქონლო ექსპერტიზის თანახმად, სადავო ქონების ღირებულება იყო 580 755 აშშ დოლარი;

2.3. ნასყიდობის ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, მყიდველი იღებდა ვალდებულებას ნაყიდ უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში გადაეხადა ნივთის საფასური. ბანკმა უძრავ ნივთებზე თავისი საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა 2012 წლის 29 ივნისს, მაგრამ ნასყიდობის საფასური მოსარჩელისთვის არ გადაუხდია;

2.4. მოსარჩელის ოჯახს ნასყიდობის თანხა 2010 წელს ესაჭიროებოდა კუთვნილი სანარმოს გადასარჩენად, რომლის ქონების ხელში ჩაგდებასაც ცდილობდა ბანკი. აღნიშნული თანხა საკმარისი იქნებოდა, რათა სანარმოს განეახლებინა წარმოების ციკლი და მიეღო შემოსავალი. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად სანარმოს ქონება ბანკის საკუთრებაშია და მოსარჩელეს აღარ აქვს ბიზნესის წარმოების პერსპექტივა, 6 წლის დაგვიანებით თანხის მიღებამ მისთვის აზრი დაკარგა. ბანკის მიერ თანხის გადაუხდელობის შედეგად მოსარჩელეს ზიანი მიადგა, რომ არაფერი ითქვას იმ მრავალმილიონიან ზიანზე, რომელიც თანხის გადაუხდელობის გამო განიცადა შპს „მ-მ“;

2.5. 2012 წლის 10 აგვისტოდან დღემდე, ოთხი წლისა და 3 თვეზე მეტი დროის განმავლობაში ბანკში ძირითადი თანხის განთავსებით მას დაერიცხებოდა საპროცენტო სარგებელი თვეში არა-

ნაკლებ 2%-ის ოდენობით, რაც 50 თვეზე შეადგენს 317 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

3. მოპასუხებმ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ნასყიდობის საფასური გადახდილია და თანხა, მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად, მიექცა ბანკის წინაშე შპს „მ.“ სასესხო ვალდებულების შესასრულებლად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მოსარჩელის მხარეს ჩაება შპს „მ.“ (შემდგომში – „მესამე პირი“).

5. მესამე პირი დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ მას ბანკის წინაშე საკრედიტო დავალიანება არ გააჩნია. პირიქით, იგი სასამართლოში ედავება ბანკს და ითხოვს ამ უკანასკნელის მიერ მიყენებული ზარალის – 13 მლნ აშშ დოლარის ანაზღაურებას.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება/დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის წარმომადგენლების შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელი ხელშეკრულებიდან გასვლის გამო უძრავი ქონების ნატურით დაბრუნების ნაწილში დაკმაყოფილდა; დადგინდა, რომ 2010 წლის 7 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოსარჩელეს მოპასუხისაგან ნატურით საკუთრებაში დაუბრუნდეს ნასყიდობის საგნები (მდებარე – ქალაქი თბილისი, ი. ქუჩა №... / შენობა №1-დან საერთო ფართი: 416.7 კვ.მ. ს/კ 01.10.12.../ ქალაქი თბილისი, ნ. რ. ქუჩის ... ჩიხი №... შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 651.6 კვ.მ. აქედან საერთო ფართობი 371.6 კვ.მ. /III სართული 147 კვ.მ.; IV სართული 147 კვ.მ. და მანსარდი 77.6 კვ.მ. ს/კ 01.14.14...); სარჩელი მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 230-ე მუხლით და საქმის მასალებით დაადგინა, რომ მოპასუხე სხდომის დროისა და ადგილის შესახებ გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადებულა და დადგენილი წესით არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის. გამომდინარე აქედან, მოპასუხის გამოუცხადებლობა არასაპატიო იყო.

8. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები

სსკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე, 477-ე, 352-ე, 405-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებდა სასარჩილო მოთხოვნას. ამასთან, არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც მიღებული უნდა ყოფილიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ხელშეკრულებიდან გასვლის გამო უძრავი ნივთის ნატურით დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

9. საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. მოპასუხის წარმომადგენელს კ. ბ-ძეს (შემდგომში – „მოპასუხის წარმომადგენელი“) ჰქონდა პატივსაცემი მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა გამოცხადებულიყო 2017 წლის 28 აპრილს, 11 საათზე დანიშნულ სასამართლო პროცესზე. წარმომადგენლის დედა – ლ. მ-ია 2017 წლის 28 აპრილს, დილით შეუძლოდ შეიქმნა და 11 საათამდე მდგომარეობა დაუძძიმდა. ვინაიდან ოჯახის სხვა წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ, მოპასუხის წარმომადგენელმა მას აღმოუჩინა გადაუდებელი პირველადი დახმარება, რის გამოც დადგენილი წესით ვერ შეატყობინა სასამართლოს ხსენებულ გარემოებათა შესახებ;

9.2. 12 საათი იყო დაწყებული, როდესაც მოპასუხის წარმომადგენელს სასამართლოდან მოსამართლის თანაშემწე დაუკავშირდა და ჰკითხა პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე. მოპასუხის წარმომადგენელმა მას აუხსნა შექმნილი ვითარება და უთხრა, რომ, თუ დედამისის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდებოდა, პროცესზე გამოცხადდებოდა. ოდნავ მოგვიანებით მასთან კვლავ ჰქონდა კომუნიკაცია და უთხრა, რომ მდგომარეობა დასტაბილურდა, უკვე გზაში იყო და პროცესზე გამოცხადდებოდა. სასამართლოსკენ მიმავალმა გადარეკა სახლში დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადასამოწმებლად, ხოლო დედამ უთხრა, რომ თავს კვლავ ძალიან ცუდად გრძნობდა. მოპასუხის წარმომადგენელმა დედას სთხოვა სასწრაფო დახმარება გამოეძახებინა და თავადაც მიბრუნდა სახლში. მითითებული მოვლენები ვითარდებოდა 11 საათიდან 12 საათამდე შუალედში;

9.3. მოპასუხის განმარტებით, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, კ. ბ-ის გარდა ბანკის წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნდა კიდევ ორ პირს – დ. ჩ-ას და შ. დ-ძეს, თუმცა მათ არ შეეძლოთ პროცესზე გამოცხადება, ვინაიდან დ. ჩ-ია იურისტის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2017 წლის 18 აპრილს, ხოლო შ. დ-ძე

2017 წლის 24 აპრილიდან 2017 წლის 29 აპრილამდე იმყოფებოდა შვებულებში. ამასთან, 2017 წლის 30 მარტს ბანკმა გამოაცხადა ვაკანსია იურიდიული დეპარტამენტის საპროცესო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ჯგუფის მთავარი იურისტის პოზიციაზე, ხოლო სასამართლო სხდომის პერიოდისთვის გადანყვეტილება კონკრეტული კანდიდატის დასაქმების შესახებ მიღებული არ იყო;

9.4. ამდენად, დასტურდება ის გარემოება, რომ სხდომის დღეს, 2017 წლის 28 აპრილს, ბანკის საპროცესო წარმომადგენლობის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოპასუხის წარმომადგენელთან დაკავშირებული, გაუთვალისწინებელი შემთხვევიდან გამომდინარე, შემჭიდროებულ ვადაში უზრუნველყო ბანკის სხვა თანამშრომლის სხდომაზე დასწრება;

9.5. გარდა ამისა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას. არასწორი იყო სასამართლოს მითითება, რომ დამტკიცებულად უნდა მიჩნეულიყო ბანკის მიერ ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობის ფაქტი. ამასთან, სარჩელითა და თანდართული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ დაიცვა სსკ-ის 355-ე მუხლით ხელშეკრულებიდან გასვლისთვის დადგენილი სავალდებულო პირობა, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით, რაც შესაძლებლობას მისცემდა მოპასუხეს, განესაზღვრა ხელშეკრულებიდან გასვლის გონივრული ვადა ამავე კოდექსის 356-ე მუხლის შესაბამისად. ასევე სრულიად დაუსაბუთებელი იყო სარჩელი სსკ-ის 405-ე მუხლთან მიმართებით. მოსარჩელეს არსად მიუთითებია, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული რომელი პირობის არსებობა უნდა დაედოს საფუძვლად ხელშეკრულებიდან გასვლას და რა ფაქტობრივი გარემოება ადასტურებდა ასეთი პირობის არსებობას.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადანყვეტილება დარჩა ძალაში.

11. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დავის მხარეს წარმომადგენდა არა ფიზიკური პირი, არამედ – იურიდიული პირი, რომელსაც წარმომადგენლის მხრიდან შესაბამისი გონივრული და დროული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, როგორცაა, თუნდაც სატელეფონო ზარის განხორციელება ბანკის იურიდიულ

ან სხვა სამსახურში, შეეძლო მობილიზება და სასამართლოს დროული ინფორმირება წარმომადგენლის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე, სასამართლოს კანცელარიაში განცხადების წარდგენის ან/და სასამართლოს აპარატთან კომუნიკაციის გზით, რაც საკმარისი იქნებოდა საქმის განხილვის გადადებისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსთვის შეტყობინება რაიმე ფორმით არ მომხდარა, პირიქით, თავად სასამართლოს აპარატის თანამშრომელი დაუკავშირდა მხარის წარმომადგენელს. სასამართლოს სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 2017 წლის 28 აპრილს, 11:00 საათზე, სასამართლომ 55-წუთიანი ლოდინის შემდეგ, 11:55 საათზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული გარემოებები ცალსახად მიუთითებდა, რომ მხარეს მიეცა სრული შესაძლებლობა საკუთარი უფლებების დასაცავად, მიეცა საკმარისზე მეტი დრო და, შესაბამისად, არ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

14. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხის წარმომადგენელი ინფორმირებული იყო სასამართლოს სხდომის დღისა და დროის თაობაზე.

15. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს აცნობა 2017 წლის 28 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ. სხდომის მდივანმა აღნიშნული მოახსენა საქმის განმხილველ მოსამართლეს, თუმცა გამოუცხადებლობის მიზეზი საპატივით არ იქნა მიჩნეული.

16. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 241-ე მუხლით, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 215-ე მუხლის მესამე ნაწილით და განმარტა, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების

შეუსრულებლობა საპატიოდ ჩათვალოს, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა დედის ავადმყოფობის გამო. საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია იძლეოდა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველს 2017 წლის 28 აპრილს სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვეოდა, რომ მოპასუხის წარმომადგენლის დედას გააჩნდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც გაუუარესდა 2017 წლის 28 აპრილს. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მოუხდა სასწრაფო დახმარების გამოძახება, შედგა სამედიცინო ბარათი, რომლითაც ირკვეოდა სასწრაფო დახმარების გამოძახების დღე და დრო, რაც ემთხვეოდა საპროცესო დღეს. სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ შეატყობინა სასამართლოს შესაბამის მოხელეს პროცესზე გამოცხადების შესახებ და ამით გამოხატა ინტერესი დავის მიმართ.

17. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო მოპასუხის წარმომადგენლების – დ. ჩ-ს, კ. ბ-ძისა და შ. დ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობები, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სასამართლოში მოცემული საქმის განხილვისას. საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო მხარის ცნობები, რომელთა თანახმად, დ. ჩ-ია სასამართლო სხდომის დღისათვის ანუ 2017 წლის 28 აპრილისათვის გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო შ. დ-ძე იმყოფებოდა შვებულებში. შესაბამისად, მხოლოდ კ. ბ-ძე იყო უფლებამოსილი 2017 წლის 28 აპრილისათვის მონაწილეობა მიეღო სასამართლო სხდომაში და მისი გამოუცხადებლობა პალატამ საპატიოდ მიიჩნია.

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

19. კასატორმა მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

19.1. სასამართლო სხდომა დაიწყო 2017 წლის 28 აპრილს 11 საათზე. სხდომის მდივანმა თ. თ-მა აუწყა მოსამართლეს, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხის წარმომადგენელი, რომელსაც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ არ უცნობებია სასამართლოსთვის. დაახლოებით ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ, მოსამართლემ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

19.2. მოპასუხის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით და სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ გაცემული პაციენტის სამედიცინო ბარათის მიხედვით, 2017 წლის 28 აპრილს ცუდად გახდა წარმომადგენლის დედა, რის გამოც მან 11 საათსა და 52 წუთზე გამოიძახა სასწრაფო დახმარება. ამის გამო, მან ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება. სააპელაციო პალატამ აღნიშნული მიზეზი სრულიად უსაფუძვლოდ და არაკანონიერად გაიზიარა;

19.3. პაციენტის სამედიცინო ბარათში მითითებული გარემოებები არ შეიძლება მიჩნეულიყო მოპასუხის წარმომადგენლის სასამართლოზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად და მის საფუძველზე დაკმაყოფილებულიყო სააპელაციო საჩივარი, რადგან: ა) საექვო პაციენტის სამედიცინო ბარათში მითითებული სასწრაფო დახმარების გამოძახებისა და მისი შევსების თარიღი. აშკარად შესამჩნევია ბარათში მითითებული თარიღის – 28.04 – გადაფხეკა, გადასწორება; ბ) ბარათის მიხედვით, სასწრაფო დახმარება გამოძახებულ იქნა 11 საათსა და 52 წუთზე, მაშინ როდესაც მოპასუხის წარმომადგენელი 11 საათისთვის უკვე სასამართლოში უნდა ყოფილიყო; გ) მოპასუხე მკაცრად ორგანიზებულია მომეტებული თანამშრომლებით. მოპასუხის წარმომადგენელს შეეძლო ეცნობებინა ბანკისათვის პროცესზე დასწრების შეუძლებლობის შესახებ და ბანკი სასამართლო სხდომაზე მყისვე გაგზავნიდა სხვა თანამშრომელს;

19.4. მოპასუხის წარმომადგენელმა, რომელიც 2017 წლის 28 აპრილს 11 საათზე უნდა ყოფილიყო სასამართლოში, არ აცნობა სასამართლოს, რომ მას საპატიო მიზეზით არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, თუმცა მას შეეძლო სასამართლოსთვის ამის შეტყობინება;

19.5. რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის მეორე საფუძველს, რომ თითქოს არ არსებობდა სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ჩათვლილი, მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო საფასურის გადაუხდელობის გარემოება, მართალია, მან ასახვა ვერ ჰპოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, მაგრამ მომხსენებელმა მოსამართლემ საქმის მოხსენების დროს აღნიშნა, რომ ამ სახელშეკრულებო საფასურით დაფარულ იქნა მესამე პირის ბანკისადმი არსებული დავალიანება, თუმცა საქმის მასალებში არც სახელშეკრულებო საფასურის მოსარჩელისთვის გადახდისა და არც ბანკის დავალიანების დაფარვის თაობაზე რაიმე დოკუმენტური მტკიცებულებები არსებობს. ამით მომხსენებელი მოსამართლე განგებ შევიდა საქმის არსებით განხილვაში, რაც დაუშვებელია.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

23. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

24. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების კანონიერება წარმოადგენს.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. ის საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამარტივებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით გან-

მტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

26. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი მოწესრიგებულია სსსკ-ის 230-ე მუხლით, რომლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

27. სასამართლო ყოველთვის არის ვალდებული შეამოწმოს, ხომ არ არსებობს სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები. კერძოდ, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები [სსსკ-ის 233.1 მუხლი].

28. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამრიგად, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ

თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა (შდრ. იხ. სუსგ №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018 წელი; №ას-1445-1459-2011, 31 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-1410-1330-2017, 30 იანვარი, 2018 წელი).

29. სასამართლოს სხდომაზე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ივარაუდება, რომ მან საქმის განხილვისადმი ინტერესი დაკარგა. ამავდროულად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გარკვეული სანქციაა ისეთი მხარის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ საპროცესო მოვალეობებს.

30. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოპასუხის წარმომადგენელი კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო სასამართლოს სხდომის თარიღის, ადგილისა და დროის თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე მხარე სხდომაზე არ გამოცხადებულა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის მთავარი სხდომის ოქმი). სადავო არ არის ის გარემოებაც, რომ 2017 წლის 28 აპრილის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის მთავარი სხდომის ოქმი, CD დისკი: 11:37:09-11:38:23).

31. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, მოპასუხის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით. იმას, თუ რა განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, განსაზღვრავს კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

32. დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლომ პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა ან სასამართლოსთვის შუამდგომლობისა და განცხადების წარუდგენლობა საპატიოდ მიიჩნიოს, უნდა არსებობდეს ორი წინა-

პირობა: 1. გამოუცხადებლობა გამოწვეული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით; და 2. აღნიშნული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს უნდა ხდიდეს მხარის პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინებას. იმისათვის, რათა სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მიზეზი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, მას უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა.

33. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც, ზოგადად, სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით.

34. მოპასუხე სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზად უთითებს სასამართლო განხილვის დღეს მისი წარმომადგენლის კ. ბ-ძის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, დედამისი – ლ. მ. 2017 წლის 28 აპრილს შეიქმნა შეუძლოდ და 11 საათამდე მდგომარეობა დაუშინდა; ვინაიდან სახლში მხოლოდ მოპასუხის წარმომადგენელი და დედამისი იმყოფებოდნენ, მას მოუხდა დედამისისთვის გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა. საქმეში წარმოდგენილია სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ გაცემული პაციენტის სამედიცინო ბარათი.

35. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობა, იურიდიული პირისთვის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ უკანასკნელს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს სასამართლო პროცესზე სხვა წარმომადგენლის (თანამშრომლის) გამოცხადება.

36. ამგვარად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხის წარმომადგენლის დედის ავადმყოფობას სასამართლო მიიჩნევს პროცესზე მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, სასამართლო პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობა მაინც ვერ ჩაითვლება საპატიოდ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულია, რომ მოპასუხე არის იურიდიული პირი, რომლის ინტერესებს სასამართლოში იცავდა უფლებამოსილი წარმომადგენელი. შესაბამისად, იმისათვის, რომ აღნიშნული წარმომადგენლის ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო პროცესზე ბანკის გამოუცხადებლობა სასამართლომ საპატიოდ მიიჩნიოს, ბანკმა უნ-

და დადასტუროს, რომ წარმომადგენლის ოჯახის წევრის ავად-
მყოფობა (განსაკუთრებული ობიექტური გარემოება) ბანკისაგან
დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდიდა ამ უკანასკნელის
პროცესზე გამოცხადებას ან/და გამოცხადების შეუძლებლობის
შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინებას. ანუ, თავად წარმომად-
გენლის დედის ავადმყოფობის ფაქტი, თავისთავად, შეუძლებელს
არ ხდის პროცესზე ბანკის გამოცხადებას. მოცემულ შემთხვევაში
მოპასუხეს სარწმუნოდ არ დაუსაბუთებია, რატომ არ ჰქონდა ბანკს
შესაძლებლობა უზრუნველყო გამოცხადება სასამართლო სხდო-
მაზე სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ან ეცრო-
ბებინა სასამართლოსთვის მხარის პროცესზე გამოუცხადებლო-
ბის ობიექტური, საპატიო მიზეზის თაობაზე.

37. მოპასუხის მითითება, რომ მოცემულ დავასთან დაკავშირე-
ბით, კ. ბ-ძის გარდა ბანკის წარმომადგენლობის უფლებამოსილე-
ბა გააჩნდა ორ ფიზიკურ პირს – დ. ჩ-ას და შ. დ-ძეს, თუმცა მათ არ
შეეძლოთ პროცესზე გამოცხადება, ვინაიდან დ. ჩ-ია იურისტის თა-
ნამდებობიდან გათავისუფლდა 2017 წლის 18 აპრილიდან, ხოლო შ.
დ-ძე 2017 წლის 24 აპრილიდან 2017 წლის 29 აპრილამდე იმყოფე-
ბოდა ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებაში, ასევე განმარ-
ტება იმის შესახებ, რომ 2017 წლის 30 მარტს ბანკმა გამოაცხადა
ვაკანსია იურიდიული დეპარტამენტის საპროცესო წარმომადგენ-
ლობის უზრუნველყოფის ჯგუფის მთავარი იურისტის პოზიციაზე,
ხოლო სასამართლო სხდომის დღეს გადაწყვეტილება კონკრეტუ-
ლი კანდიდატის დასაქმების შესახებ მიღებული არ იყო, ვერ მიიჩ-
ნევა მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად.

38. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის (მით
უფრო სამენარმო საზოგადოების) წარმომადგენლის საპატიო მი-
ზეზით გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების
ყველა შემთხვევაში გაუქმება დაუშვებელია, რადგანაც კერძო სა-
მართლის იურიდიულმა პირმა ისე უნდა უზრუნველყოს თავისი საქ-
მიანობა (მოცემულ შემთხვევაში იურიდიული სამსახურის მუშაო-
ბა), რომ ამა თუ იმ თანამშრომლის მივლინებაში ან შვებულებაში
ყოფნამ/ავადმყოფობამ არ შეაფერხოს იურიდიული პირის ნორმა-
ლური ფუნქციონირება. სათანადო მენეჯმენტის არქონა, საკასა-
ციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემო-
ებად ვერ მიიჩნევა და, ცხადია, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს
კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო მოქმე-
დების შესრულების ვალდებულებისგან (იხ. სუსგ: №ას-152-148-
2016, 3 ივნისი, 2016 წელი; №ას-345-330-2016, 6 ივნისი, 2016 წე-
ლი; №ას-269-257-2015, 20 ივლისი, 2015 წელი).

39. ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება,

რომ მოპასუხეს კ. ბ-ძის, დ. ჩ-ასა და შ. დ-ძის გარდა, არ ჰყავდა სასამართლოში საპროცესო წარმომადგენლობის განმახორციელებელი სხვა პირი. საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 5 აპრილს გაცემული რწმუნებულება, რომლის თანახმად, კ. ბ-ძის სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე ბანკის ინტერესების დაცვის უფლებამოსილება მიანიჭა ბანკის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა თ. ბ-ამ, რომელსაც, თავის მხრივ, აღნიშნული უფლებამოსილება მიანიჭა ბანკის გენერალურმა დირექტორმა კ. კ-ძემ (იხ. 2016 წლის 12 სექტემბერს გაცემული რწმუნებულება) და, რომელსაც ასევე წარმატებით შეეძლო წარმოედგინა ბანკის ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე.

40. ისეთ პირობებშიც კი, თუ სასამართლო გაიზიარებს, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა შესაძლებლობა უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, ბანკს უნდა დაესაბუთებინა, რატომ იყო შეუძლებელი აღნიშნულის შესახებ სასამართლოს ინფორმირება, თუმცა მოპასუხემ აღნიშნული ტვირთი სათანადოდ ვერ გასწია.

41. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებას, რომ, როგორც ობიექტურად, გადაუდებელი დახმარებით დაკავებულობის გამო, ისე ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დადგენილი წესით შეეტყობინებინა სასამართლოსთვის ან დამსაქმებლისთვის აღნიშნულ გარემოებათა შესახებ, რაც მხარეს მისცემდა შესაბამისი საპროცესო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ წარმომადგენელს არ შეეძლო მოსამართლის აპარატთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარება (ტელეფონის ნომრის მოძიება და ა.შ.), მისთვის შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო საკუთარი დამსაქმებლის გაფრთხილება პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ. ამასთან, მოპასუხის წარმომადგენელი თერთმეტ საათზე უნდა ყოფილიყო სასამართლოს სხდომაზე. შესაბამისად, მას ადრევე უნდა დაეჭირა თადარიგი საკუთარ დამსაქმებელთან დასაკავშირებლად და არ უნდა დალოდებოდა 12-ის წუთებზე მოსამართლის თანაშემწის ზარს.

42. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა ვერ იქნება მიჩნეული საპატიოდ და ამ მხრივ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლიდან გამომდინარე [თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამ-

დგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩლო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე], იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს, კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრას და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას.

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას იმის შესახებ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სასარჩლო მოთხოვნას, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია [სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია].

45. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა [სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი]. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში.

46. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის მიზეზი არასაპატიოა და, შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნევა, სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს ასეთი, სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ფაქტობრივი გარემოებების წრე და მისცეს მათ

სათანადო სამართლებრივი შეფასება. სწორედ ეს საკითხი უნდა გახდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. თუ აღნიშნული მსჯელობის შედეგად სააპელაციო პალატა მივა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სახეზე იქნება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

48. მოცემულ შემთხვევაში კასატორს უნდა დაეკისროს საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის, 5700 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ლ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. კასატორს მ. ლ-ას (პ/ნ: 010150...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №, სახაზინო კოდი ...) დაეკისროს საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის, 5700 ლარის გადახდა;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცესზე გამომუცხადებლობის საპატიოობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-485-485-2018

31 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

1.1. ზ. ნ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. მ-ძის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება, ითმინოს და ხელი არ შეუშალოს მოსარჩელეს მის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ... მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-11 სართულზე არსებული №25ბ ბინასთან (ს/კ ...) დამაკავშირებელი კიბით სარგებლობაში, რომელიც მდებარეობს მოპასუხის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის ჰოლში (ქ. ბათუმში, ... №156-ში, მე-10 სართულზე მდებარე №25ა ბინაში ს/კ ...).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხეს საკუთრებაში გააჩნდა ქ. ბათუმში, ... არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მე-10 და მე-11 სართულებზე მდებარე მანსარდები: ბინა №25ა და ბინა №25ბ. მე-11 სართულზე არსებულ ბინა №25ბ-სთან დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს მე-10 სართულზე მდებარე №25ა ბინის ჰოლში არსებული კიბე. 2014 წელს, შპს „ბ-ის“ წინაშე არსებული დავალიანების გამო, სააღსრულებო ბიურომ მე-10 სართულზე მდებარე №25ა ბინა გაასხვისა იძულებით აუქციონზე, რომელიც შეიძინა მოპასუხემ და მოითხოვა გამოთავისუფლებული ბინის მისთვის გადაცემა. №25ა ბინის იძულებითი რეალიზაციის შემდეგ, მოსარჩელის ერთადერთ საცხოვრებელს წარმოადგენს მე-11 სართულზე არსებული მანსარდა (ბინა №25ბ), მაგრამ

აღნიშნული ბინა მთლიანად იზოლირებულია საჯარო გზებისაგან და მე-11 სართულზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ მოპასუხის კუთვნილ ბინაში არსებული შიდა კიბით. მოსარჩელეს, მის საკუთრებაში არსებული ბინით სარგებლობისათვის ესაჭიროება აუცილებელი გზის დადგენა მე-10 სართულზე არსებულ №25ა ბინაში მდებარე კიბის გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებით მე-11 სართულზე მდებარე №25ბ ბინის საჯარო სივრცესთან დაკავშირება შეუძლებელია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მისი განმარტებით, ქონება აუქციონზე 2014 წლის 11 აგვისტოს შეიძინა კანონიერად და ამ დროიდან მოყოლებული, მოსარჩელე არ აძლევს საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობას, ამასთანავე, მოსარჩელე ვერ ამტკიცებს, რომ სწორედ მოპასუხის კუთვნილ ბინაში არსებული კიბე წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას მოსარჩელის კუთვნილი ბინის საჯარო სივრცესთან დასაკავშირებლად. მოსარჩელის მიერ წარდგენილი სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა არ არის კატეგორიული, ამ მტკიცებულებით არ დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ბინასთან დამაკავშირებელი ალტერნატიული აუცილებელი გზის (კიბის) მოწყობა შეუძლებელია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა, ითმინოს და ხელი არ შეუშალოს მოსარჩელეს მის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ..., მე-11 სართულზე მდებარე №25ბ ბინასთან დამაკავშირებელი აუცილებელი გზით (კიბით) სარგებლობაში, რომელიც მდებარეობს მოპასუხის საკუთრებაში არსებული, ამავე კორპუსის მე-10 სართულზე მდებარე №25ა ბინის ჰოლში.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე, აპელანტის მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სააპელაციო საჩივარი

დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა;

5.2. ამავე სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონიერება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამომწებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ხსენებული ნორმის თანახმად, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა მისი გამოცხადების შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ფორმა №100, რომლითაც ირკვევა, რომ იგი მოინამლა საკვებით, შეუძლოდ მყოფი მიიყვანეს კლინიკაში სადაც ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმა-

რება, მიეცა დანიშნულება და განესაზღვრა წოლითი რეჟიმი. ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, მას არ ჰქონდა სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ 2017 წლის 9 ნოემბერს, პროცესის დღეს, წარმომადგენელს, ავადმყოფობის გამო, არ შეეძლო სასამართლოს წინასწარი ინფორმირება. რაც შეეხება უშუალოდ მხარეს, მას არ ჩაბარებია უწყება, მისთვის გაურკვეველია ფოსტის თანამშრომლის მინაწერი, თითქოს უწყება ადრესატის შეიღმა არ ჩაიბარა, რადგანაც დღის საათებში კასატორის ოჯახში იმყოფება მხოლოდ მისი შვილიშვილი და ძიძა. შესაბამისად, უწყების ჩაბარების მიზნით გამოცხადებულმა ფოსტის თანამშრომელმა ძიძას თავადვე არ ჩააბარა უწყება. ამ მხრივ, საინტერესოა, რატომ მიანიჭა პრიორიტეტი სასამართლომ ფოსტის თანამშრომლის მინაწერს მხარის ახსნა-განმარტებასთან შედარებით. გარდა ამისა, აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივარი, რამდენადაც მას არ ჰქონდა წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლში საუბარია სასამართლოს შესაძლებლობაზე, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არა ვალდებულდება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაითვალისწინა ხსენებული და ის, რომ დავა საკუთრებით სარგებლობის უფლებას შეეხებოდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მხარეს ფაქტობრივად წაართვა საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობა.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით სააპელაციო სა-

ჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო, ამავე წლის 5 სექტემბრის განჩინებით, 2017 წლის 9 ნოემბერს, 14:00 საათზე დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა;

1.2.2. მთავარი სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მხარეებს ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, თუმცა მონინალმდეგე მხარე სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის;

1.2.3. სააპელაციო სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება ითხოვა, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა, ამასთან, დამატებით განმარტა, რომ ამგვარი რეალობა სრულად უკარგავს დანიშნულებას აპელანტის ბინას, გამოდის, რომ იგი ვეღარ ისარგებლებს თავის საკუთრებით;

1.2.4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარში მითითებულია, რომ:

– სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ მას სასამართლო სხდომის დღის თაობაზე უწყება არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით. საქმეში წარმოდგენილია საფოსტო შეტყობინება, სადაც აღნიშნულია, რომ მან უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. აღნიშნული გარემოება არ შეესაბამება სინამდვილეს და ზ. ნ-ს სასამართლო გზავნილის მიღებაზე უარი არ განუცხადებია. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეს ჩაბარდებოდა უწყება, ის აუცილებლად გამოცხადდებოდა სხდომაზე;

– მხარის წარმომადგენლის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა ასევე გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ მისი ავადმყოფობით, რამაც ხელი შეუშალა სასამართლო სხდომაზე მის გამოცხადებას. საჩივარს ერთვის 2017 წლის 1 დეკემბერს შპს ქ. ბათუმის ... ხელმძღვანელის მიერ გაცემული №2817 ცნობა მხარის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტში პოლიკლინიკის ხელმძღვანელი აღწერს წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობას 2017 წლის 9 ნოემბრისთვის: „2017 წლის 9 ნოემბერს, პაციენტმა მიმართა №... პოლიკლინიკის უბნის თერაპევტს ჩივილებით – ძლიერი ტკივილი აპიგასტრიუმის არეში, ლებინება, ფალარათი... პაციენტს ჩაუტარდა თერაპევტის კონსულტაცია... პაციენტი საჭიროებდა 24 საათიან ნოლით რეჟიმს და დანიშნულების ჩატარებას;

– დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მხარის დასჯის მექანიზმი, ვინაიდან მხარეს დავის მიმართ არ დაუკარგავს

ინტერესი, მან უპასუხა სააპელაციო საჩივარს შესაგებლით, რომელში მითითებული გარემოებებიც ამართლებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების აუცილებლობას;

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. სადავო გარემოებების სწორად შეფასების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, ასევე, მისი გაუქმების პროცესუალურ საკითხებზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები:

ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული შეტყობინება სასამართლო სხდომის თაობაზე, ხოლო, სასამართლოს არ უნდა მოეპოვებოდეს ცნობა მისი გამოუცხადებლობის საპატიოობის თაობაზე;

ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. ამ გარემოებათა კუმულაციურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ამასთანავე, სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს თუ არა მასში გადმოცემული ფაქტები (სსსკ-ის 230.2 მუხლი). ეს უკანასკნელი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ უნდა მოიძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, ფორმალური თვალსაზრისით შეაფასოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათ წინააღმდეგ წარდგენილი პრეტენზიები და ამ გზით განსაზღვროს მოთხოვნის განხორციელება.

1.3.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო საჩივარი იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას, ასევე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარისათვის შეტყობინების ჩაუბარებლობას და განმარტავს, რომ მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება, დაუსწრებელი წარმოების დროს არა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების კონკრეტული მტკიცებულებებით დადასტურებას, არამედ, ამ საკითხთან დაკავშირებით მხარის დასაბუთებულ შედაგებას მოიაზრებს. თავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 230-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, სარჩელში/სააპელაციო საჩივარში, ასევე, სასამართლოს სხდომაზე აპელანტის მიერ მიცემული განმარტებების დადგენილად მიიჩნევა საბოლოოდ ამართლებდა თუ არა აპელანტის მოთხოვნას, საკასაციო პალატა შეფასების გარეშე ტოვებს, რადგანაც საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ამჯერად მტკიცებულებათა კვლევის შედეგად უნდა დაადგინოს ხსენებული, შესაბამისად, არც საკასაციო პალატა გამოთქვამს წინასწარ აზრს.

1.3.3. რაც შეეხება მხარის ინფორმირების საკითხს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ უწყებებზე: იგი ფოსტით გაეგზავნა, როგორც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს, ისე – უშუალოდ მხარეს. საფოსტო პასუხის თანახმად, წარმომადგენელს უწყება ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, რაც მას, ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოუშობდა მხარის ინფორმირების ვალდებულებას, უფრო მეტიც, მხარისათვის გაგზავნილი უწყების საფოსტო უკუგზავნილის თანახმად, ადრესატის შვილმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მის ჩაბარებულად მიჩნევას განაპირობებს. ამ წერილობითი მტკიცებულების წინააღმდეგ მხარემ მხოლოდ ზეპირი განმარტება გააკეთა, შესაბამისად, მისი სიტყვიერი განმარ-

ტება წერილობითი მტკიცებულების გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

1.3.4. რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები (ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის (სსსკ-ის 215.3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე).

1.3.5. საკასაციო პალატა უარყოფს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ წარმომადგენელს, რომელმაც მიმართა სამედიცინო დანესებულებას, შეეძლო სასამართლოსათვის ეცნობებინა ავადმყოფობის შესახებ, ამასთანავე, აპელანტის მონინალმდეგე მხარე ინფორმირებული იყო სხდომის თაობაზე და შეეძლო სასამართლოში გამოცხადება. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემულ ცნობას, რომლის თანახმადაც, წარმომადგენელს სხდომის დღეს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, მიეცა დანიშნულება და 24-საათიანი წოლითი რეჟიმი, რაც, როგორც სასამართლოს წინასწარ ინფორმირებას, ისე – მის სხდომაზე გამოცხადებას გამორიცხავს, რაც შეეხება უშუალოდ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულად მიიჩნევა, მისი გამოუცხადებლობა, მოცემულ შემთხვევაში, ვერ შეუშლის ხელს დაუსწრე-

ბელი გადაწყვეტილების გაუქმებას. საკასაციო სასამართლო ემყარება მის მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას, სადაც არაერთხელ განიმარტა, რომ მხარეს, თუკი მას ჰყავს წარმომადგენელი, დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე (სკ-ის 709-ე მუხლი), აქვს კეთილსინდისიერი მოლოდინი რწმუნებულის მხრიდან მისი უფლებების კვალიფიციურად დაცვისა, შესაბამისად, რწმუნებულის საპატიოდ გამოცხადების შეუძლებლობა არ შეიძლება მხარეს შეერაცხოს ბრალად (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-955-917-2017, 24 ივლისი, 2015 წელი; №ას-187-179-2016, 6 მაისი, 2016 წელი). გარდა ხსენებულისა, საკასაციო პალატა მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას, საქმეზე „ბ. საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი no10978/06, ECHR), ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე. გადაწყვეტილების თანახმად, ბატონი ბ-ას საქმეზე სასამართლო პროცესი ჩატარდა 2004 წლის 28 იანვარს. მისი ადვოკატი ვერ ახერხებდა დასწრებას, რადგან იმავე დროს სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობდა. ადვოკატმა ჩანიშნულ სასამართლო პროცესამდე მცირე დროით ადრე წერილობით მიმართა სასამართლოს, რათა ეცნობებინა, რომ ვერ ახერხებდა დასწრებას და მოითხოვა პროცესის გადადება. მას სასამართლოსგან პასუხი არ მიუღია და, შესაბამისად, განხილვას ბ-ნი ბ-ა მარტო დაესწრო. მანაც მოითხოვა პროცესის გადადება, ამბობდა რა უარს, ადვოკატის გარეშე, საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე მისი გამოუცხადებლობის ტოლფასი იყო და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი. ბ-ნი ბ-ას ადვოკატმა მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად. კერძოდ, 2005 წლის მაისსა და სექტემბერში, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ რელევანტური ეროვნული სამართლის მიხედვით არ არსებობდა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამამართლებელი საფუძველი და სხვა საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა ვერ ჩაითვლებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპატიო მიზეზად. უფრო მეტიც, მათ დაადგინეს, რომ ბ-ნი ბ-ა პირველი ინსტანციის მოსამართლემ გააფრთხილა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე. ევროსასამართლომ მსგავსი მიდგომა ჩათვალა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად. სასამართლოს წინაშე საქმის ეფექტურად წარდგენი-

სა და მხარეთა თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები არაერთხელ იქნა გამოვლენილი წინა გადანაცვლებებში (Steel and Morris v. the United Kingdom, ECHR 2005-II). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სახელმწიფოებს უტოვებს თავისუფალ არჩევანს, რათა თავად გადანაცვლონ თუ რა საშუალებები გამოიყენონ, მოსარჩელეთათვის აღნიშნული უფლებების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, სასამართლო პროცესზე პირის გამოცხადების საკითხი, სამართალწარმოების ფორმა – ზეპირი თუ ზეპირი მოსმენის გარეშე – და იურიდიული წარმომადგენლობა ურთიერთდაკავშირებულია და უნდა გაანალიზდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ფართო კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლომ უნდა დაადგინოს მომჩივანს – სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს, მიეცა თუ არა გონივრული შესაძლებლობა გაცნობოდა და კომენტარები გაეკეთებინა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე; აგრეთვე წარმოდგინა თავისი საქმე იმ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა (Ternovskis v. Latvia №33637/02, § 65, 29 აპრილი 2014, და Larin v. Russia № 15034/02, §§ 35-36, 20 მაისი 2010). სამართლიანი სასამართლოს უფლება, სხვებს შორის, შედგება მხარეთა უფლებისგან, წარადგინონ დასკვნები, რომლებსაც ისინი საქმესთან მიმართებით სათანადოდ მიიჩნევენ. ვინაიდან კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებები, აღნიშნული უფლება ეფექტიანად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომჩივანს ფაქტობრივად „მოუსმენენ“, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლოები მის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს სათანადოდ განიხილავენ. კონვენციის მე-6 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, სამართლებრივი სისტემები იმგვარად მოაწყონ, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას, რაც აგრეთვე მოიცავს დაუსწრებელი გადანაცვლებების მიღების შესაძლებლობას. თუმცა, აღნიშნული ვერ განხორციელდება სხვა პროცედურული გარანტიების ხარჯზე (იხ. Azdajic v. Slovenia №71872/12, §49, 8 ოქტომბერი 2015, და Gankin and Others v. Russia 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, §26, 31 მაისი 2016). ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით მოცემული სტანდარტების, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის, დაცვა. სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა განსაზღვრისას „სამართლიანი განხილვის“ კონცეფციით დადგენილი მოთხოვნები არ არის აუცილებლად სისხლისსამარ-

თლებრივი ბრალდების დადგენისას არსებული მოთხოვნების მსგავსი. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ არ არსებობს დეტალური დებულებები, როგორცაა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფები, რომლებიც გამოიყენება ამ უკანასკნელი კატეგორიის საქმეებთან მიმართებით. ამრიგად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს მიხედულების უფრო ფართო ფარგლები აქვთ, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. (იხ. *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, §§ 32-33, სერია ა №274; *Jokela v. Finland*, №28856/95, §68, ECHR 2002-IV; და მილოვანოვა უკრაინის წინააღმდეგ, №16411/03, 2 ოქტომბერი 2007). მიუხედავად ამისა, სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ საქმეებში „სამართლიანი განხილვის“ ცნების შესახებ გარკვეული პრინციპები წარმოიშვა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ცალსახაა, რომ „მხარეთა თანასწორობის“ მოთხოვნა, მხარეთა შორის „სამართლიანი ბალანსის“ დაცვის მნიშვნელობით, ვრცელდება როგორც ასეთ შემთხვევებზე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზეც. გარდა ამისა, როდესაც სასამართლო იხილავს კონვენციის მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტთან დაკავშირებულ საქმეს, ის საჭიროდ მიიჩნევს მხედველობაში მიიღოს სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებით დამკვიდრებული მიდგომა (იხ. *Dilipak and Karakaya v. Turkey*, nos. 7942/05 და 24838/05, § 80, *Carmel Saliba v. Malta*, №24221/13, §§67, 70 და 73, 29 ნოემბერი 2016). ევროსასამართლოს განმარტებით, კონვენცია არ ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში იურიდიული წარმომადგენლობის ავტომატურ უფლებას; წინამდებარე საქმის გარემოებებში იურიდიული წარმომადგენლობა არ იყო სავალდებულო. თუმცა, მოცემული საქმის მსგავსად, როდესაც მხარე ითხოვს სასამართლო პროცესის გადადებას იმ საფუძვლით, რომ მისი წარმომადგენელი არ იმყოფება და ეს უზღუდავს მას დაცვის უფლებას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული მოთხოვნა და უპასუხოს მას. საკითხი, თუ რამდენად აუცილებელია სამართლიანი სამართალწარმოებისთვის ადვოკატის დახმარება, განხილულ უნდა იქნეს თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, როგორცაა, თუ რა სამართლებრივი სიკეთე დგას სამართალწარმოებაში მომჩივნისთვის საფრთხის ქვეშ, აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართალწარმოების კომპლექსურობა, მომჩივნის შესაძლებლობა, ეფექტურად წარადგინოს საკუთარი პოზიცია. ამ კონტექსტში უნდა დადგინდეს, ადვოკატის გარეშე ეფექტურად წარდგებოდა თუ არა მომჩივანი სასამართლოების წინაშე, კერძოდ,

შეძლებდა თუ არა ის საქმის სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად წარმოდგენას (იხ., *mutatis mutandis*, *Airey v. Ireland*, 9 ოქტომბერი 1979, § 24, სერია ა №32). გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე საერთო კონტექსტი, სახელდობრ, რამდენად ისარგებლა სამართალწარმოებაში მომჩივანმა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის და მხარეთა თანასწორობის უფლებით (იხ., ნ.ჯ.დ.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 74). სტრასბურგის სასამართლომ ბ-ას საქმეში დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკითხთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა შემდეგს: რაიონულმა სასამართლომ არ განიხილა, ხომ არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანი და მისი ადვოკატი, რომლებმაც წარმოადგინეს სასამართლო პროცესის გადადების სერიოზული მიზეზი, არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ ან ცდილობდნენ სამართალწარმოების გაჭიანურებას. ეს იყო სასამართლო პროცესის გადადების შესახებ მათი პირველი შუამდგომლობა, რომელიც მომჩივანმა და მისმა ადვოკატმა სასამართლოში სათანადოდ წარადგინეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი ცალსახად აღიარებს მხარის უფლებას, სასამართლოში საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით. ამავდროულად, სამართალწარმოების საგანი იყო დელიკატური. ამ კონტექსტში სტრასბურგის სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანის წარმომადგენლის მიერ უზუნაესი სასამართლოს წინაშე სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ წარმოადგენდა სასამართლო პროცესის გადადების საკმარის საფუძველს; ამასთან, მომჩივანის თხოვნა ვერ მიიჩნევა სამართალწარმოების გაჭიანურების მცდელობად. ასეთი ზედმეტად ფორმალისტური და მოუქნელი მიდგომა ეწინააღმდეგება გულმოდგინების პრინციპს; ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლებებით ეფექტური სარგებლობა.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი), აუქმებს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას/განჩინებას, ამასთანავე, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძვლით, პალატა საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადგინოს დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადანაცვითს უფლების საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანაცვებების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის დაუსწრებელი გადანაცვებები და ამავე სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილება

დამატებითი გადაწყვეტილება

დამატებითი განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-739-707-2016

31 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეცი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლოს განჩინების შესავალი ნაწილი:
საკასაციო საჩივრის ავტორი – შპს „ს-ია“ (მოსარჩელე, აპელანტი)
მონინალმდეგე მხარე – შპს „ვ-ი“ (მოპასუხე, მონინალმდეგე მხარე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 01 ივლისის განჩინება

კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად დაბრუნება
დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება

2. საკასაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

1. შპს „ს-ის“ შუამდგომლობა დამატებითი განჩინების გამოტანის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ვ-ის“ „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს შპს „ს-ის“ მიერ საკასაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 200 ლარის ანაზღაურება;

3. განმცხადებლის მოთხოვნა და საფუძვლები:

3.1. შპს „ვ-ის“ წარმომადგენელმა შ-მ-მა განმცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ და მიუთითა, რომ განჩინებაში დაშვებულია შეცდომა და ნაცვლად შპს „ს-ისა“ საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი დაკისრებული აქვს შპს „ვ-ის“.

სამოტივაციო ნაწილი:

4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

5. მოხმობილი ნორმის მიხედვით სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

6. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის №ას-739-707-2016 განჩინებაში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უსწორობა უნდა გასწორდეს და განჩინების შესავალ ნაწილში მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება და სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინება“.

„1. შპს „ვ-ის“ შუამდგომლობა დამატებითი განჩინების გამოტანის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ს-იას“ შპს „ვ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს შპს „ვ-ის“ მიერ საკასაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 200 ლარის ანაზღაურება“;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ვ-ის“ წარმომადგენლის – შ-მ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის №ას-739-707-2016 განჩინებაში დაშვებული უსწორობა;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის №ას-739-707-2016 განჩინების შესავალ ნაწილში ნაცვლად „გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 01 ივლისის განჩინება“ მიეთითოს: „გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინება“. ასევე, სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „1. შპს „ვ-ის“ შუამდგომლობა დამატებითი განჩინების გამოტანის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; 2. შპს „ს-იას“ შპს „ვ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს შპს „ვ-ის“ მიერ საკასაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 200 ლარის ანაზღაურება“;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1670-2019

21 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა (ძირითად სარჩელში), ვალდებულების შესრულება, ურთიერთგაქვეითვის გზით სესხისა და ქირავნობის მოთხოვნების შეწყვეტა და უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ნ. ა-ქმ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. (შემდგომ – მსესხებელი მოპასუხე) და თ. ქ-ების (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა მსესხებელი მოპასუხი-

სათვის სესხის – 11 950 აშშ დოლარის დაკისრება, მოპასუხეებს შორის 2014 წლის 6 თებერვალს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა თანმდევი შედეგით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 7 თებერვალს მსესხებელ მოპასუხეს ასესხა 6000 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო რეესტრში იპოთეკით დაიტვირთა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა. მხართა ზეპირი შეთანხმებით სესხის დაბრუნების ვადა გაგრძელდა.

3. მოგვიანებით მოპასუხემ კვლავ სთხოვა მოსარჩელეს თანხის სესხება. სესხის ხელშეკრულება გააფორმეს 2015 წლის 26 იანვარს, თუმცა 6000 აშშ დოლარი მოსარჩელემ გადასცა უფრო ადრე. ხელშეკრულებაში დასაბრუნებელ თანხად მიეთითა 5950 აშშ დოლარი, რადგან გამოაკლდა ხელშეკრულების დამოწმების ხარჯი. თანხის დაბრუნების ვადა განისაზღვრა ერთი წლით, მაგრამ მოპასუხე შეპირდა, რომ მთელ თანხას უფრო ადრეც დაუბრუნებდა, რადგან ბინის გაყიდვას აპირებდა.

4. მოსარჩელემ შეიტყო, რომ 2014 წლის 6 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ბინა გადაუფორმდა მოპასუხეს, თუმცა მსესხებელ მოპასუხეს მეორე სესხის გაფორმების დროს ამის შესახებ არ უცნობებია. მოპასუხის საქციელი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მას ფულის დაბრუნების არც სურვილი და არც საშუალება არ გააჩნია. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, ასეთ პირობებში მოითხოვოს სესხის დაბრუნება ვადამდე. მოპასუხე მსესხებელი მოპასუხის შვილია, ამჟამად სადავო საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ირიცხება, შესაბამისად, მისი, როგორც შემძენის არაკეთილსინდისიერება სადავო არ უნდა იყოს.

5. ამასთან, მან ნასყიდობა გააფორმა იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე, ანუ მოსარჩელესა და მსესხებელ მოპასუხეს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის წინა დღეს.

მოპასუხეებისა და შეგებებული სარჩელის ავტორების პოზიცია:

6. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს მოსარჩელის მიმართ. მათ მოითხოვეს, რომ მოსარჩელეს დაეკისროს 2013 წლის თებერვლიდან 2016 წლის 7 თებერვლამდე ქირა – ყოველთვიურად 300 ლარი, ხოლო 36 თვეში – 10.800 ლარი, სესხის და ქირავნობის მოთხოვნები შეწყდეს

ურთიერთგაქვითვის გზით და რეგისტრირებული იპოთეკა გაუქმდეს.

7. მოპასუხებმა მიუთითეს, რომ 2013 წლის 7 თებერვალს მსესხებელ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. სესხის ძირითადი თანხა შეადგენდა 4000 აშშ დოლარს, ხოლო საერთო საპროცენტო სარგებელი – 2000 აშშ დოლარს, რაც იმ დროისათვის იყო 300 ლარი – 1 აშშ დოლარის ეკვივალენტი კურსით.

8. სესხის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოსარჩელემ იქირავა იპოთეკით დატვირთული მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა 300 ლარად, საპროცენტო სარგებელიც იგივე ოდენობას შეადგენდა და რეალურად ქირა გაიქვითებოდა. ძმის მძიმე ავადმყოფობის გამო, მსესხებელმა მოპასუხემ ვერ შეძლო დროულად თანხის უკან დაბრუნება, რადგან მისი გადარჩენისთვის დასჭირდა სერიოზული მატერიალური სახსრები. მოსარჩელემ გადაუვ გადა სესხის დაბრუნების ვადა. მხარეებს ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა. მოსარჩელემ იცოდა, რომ მსესხებელმა მოპასუხემ ძმის მკურნალობისთვის აიღო ვალები და უნდოდა ბინის გაყიდვა, შესაბამისად, ისინი შეთანხმდნენ, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სესხის ვადას გააგრძელებდნენ იპოთეკით უზრუნველყოფის გარეშე, იმ პირობით, რომ მსესხებელი მთლიან თანხას აღიარებდა.

9. მსესხებელი მოპასუხის განმარტებით, მან მოსარჩელეს რეალურად გადაუხადა 2000 აშშ დოლარზე მეტი, რასაც ამჟამად იგი არ აღიარებს. სესხის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 26 იანვარს. მოსარჩელემ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მოითხოვა თანხის დაბრუნება და პირველადი ხელშეკრულების უზრუნველყოფის ნივთის რეალიზაცია, რაც მას თავიდანვე ჰქონია განზრახული.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

10. თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის – 11950 აშშ დოლარის გადახდა, დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია, ძირითადი სარჩელი 2014 წლის 6 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე, უარი ეთქვა შეგებებულ სარჩელს. მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 400 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 878.90

ლარის ანაზღაურება.

11. ამავე სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 600 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი 7-დღიანი ვადა დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე და სასამართლოს ინიციატივით ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი საფუძველი ვერ გახდება.

12. რაიონული სასამართლოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 7 თებერვალს მოსარჩელესა და მსესხებელ მოპასუხეს შორის გაფორმდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც მსესხებელმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 6000 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით. გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრიდა მსესხებელი მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება. იპოთეკის უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

15. 2013 წლის 7 თებერვალს სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტი გათვალისწინებული არ ყოფილა.

16. 2015 წლის 26 იანვარს მოსარჩელესა და მსესხებელ მოპასუხეს შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლითაც მსესხებელმა მოპასუხემ ისესხა 5950 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხს ყოველთვიური სარგებელი არ დაერიცხებოდა. სესხი უნდა დაბრუნებულიყო ერთი წლის ვადაში, 2016 წლის 26 იანვრის ჩათვლით სრულად.

17. 2014 წლის 6 თებერვლის მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული სადავო ბინა აღირიცხა საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე.

18. სარჩელისაგან თავის დასაცავად მსესხებელმა მოპასუხემ

მიუთითა, რომ მოსარჩელესთან მან სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა 2013 წლის 7 თებერვალს, ხოლო 2015 წლის 26 იანვარს გაფორმდა არა ახალი ხელშეკრულება, არამედ განახლდა სახელშეკრულებო პირობები იმავე თანხაზე. აღნიშნულის დასტურად მსესხებელმა მიუთითა 2014 წლის 9 აგვისტოს შედგენილ ხელწერილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მსესხებელმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან ვალად აიღო 5944 დოლარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა 2015 წლის 9 აგვისტოს. მსესხებელი ასევე მიუთითებს, რომ მას სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი აქვს 2000 აშშ დოლარზე მეტი, რასაც მოსარჩელე არ აღიარებს.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 623-ე და 624-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (სუსგ №ას-1245-1168-2015, 20.05.2016). სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას, ანუ იგი დადებულია მიიჩნევა და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (სუსგ №ას-361-343-2015, 14.12.2015; სუსგ № 1425-1345-2017, 30.04.2018წ.).

20. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს. ამგვარი სტანდარტი მტკიცების ტვირთს ვალდებულებით სამართალში შემდეგნაირად აწინილებს: მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების დადება, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ვადა ანუ ვადამოსული ვალდებულების არსებობა, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გამოორიცხავდა მის მიერ ვალდებულების შესრულებას.

21. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია,

რომ მოსარჩელემ წარმოადგინა რა წერილობითი ფორმით შედგენილი სესხის ხელშეკრულებები, დაადასტურა აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი. რაც შეეხება მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ რეალურად მხარეთა შორის გაფორმებული იყო მხოლოდ ერთი, 2013 წლის ხელშეკრულება და 2015 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებით განახლდა 2013 წელს გაცემული სესხის სახელშეკრულებო პირობები, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. ასეთ მტკიცებულებად ვერ განიხილება 2014 წლის 9 აგვისტოს შედგენილი ხელწერილი, რომლითაც მსესხებელი იღებს ვალდებულებას, ნა-სესხები 5944 აშშ დოლარი კრედიტორს დაუბრუნოს 2015 წლის 9 აგვისტოს. მოპასუხის განმარტებების საპასუხოდ მოსარჩელემ მიუთითა, რომ მსესხებელმა მოპასუხემ 2013 წლის 7 თებერვალს გაცემული სესხი ვერ დაუბრუნა ერთი წლის ვადაში, სთხოვა ვადის გაზრდა 2014 წლის ზაფხულამდე, შემდეგ კი კრედიტორს განუცხადა, რომ ჰქონდა უარესი პრობლემა და სთხოვა ფულის სესხება, რასაც დაუბრუნებდა ბინის გაყიდვის შედეგად. ხელწერილი მოპასუხემ დაწერა თანხის გადაცემის დროს და მოსარჩელის განმარტებით, ეს არ ყოფილა პირველი სესხის გაგრძელება ან/და ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მას გააუქმებდნენ, ან პირობების შეცვლას კვლავ საჯარო რეესტრში მოახდენდნენ.

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტების სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს დაარღვევდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაადასტურა მოპასუხესთან სარჩელით მოთხოვნილი ოდენობაზე სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, ხოლო მოპასუხემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

23. საქმის მასალებით დადასტურებული არ არის მსესხებელი

მოპასუხის მიერ სესხის თანხის გადახდის ფაქტი.

24. სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

25. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადვყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მოთხოვნა არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან.

26. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. კანონი მოვალეს აღჭურვავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შეძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას.

27. ამდენად, თანხის გადახდის დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, შესაბამისი მტკიცებულება კი სსკ-ის 429-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება იყოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

28. განსახილველ შემთხვევაში რაიმე მტკიცებულება, რაც მსესხებლის მიერ თანხის გადახდის ფაქტს დაადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი არ არის. პალატამ მიიჩნია, რომ მსესხებელი ვერ ადასტურებს მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას სესხის თანხის გადახდის თაობაზე.

29. შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს, მოსარჩელეს დაეკისროს 2013 წლის თებერვლიდან 2016 წლის 7 თებერვლამდე ქირავნობის თანხა ყოველთვიურად 300 ლარი, ხოლო 36 თვეზე, სულ – 10.800 ლარის ოდენობით, სესხის და ქირავნობის მოთხოვნები შეწყდეს ურთიერთგაქვითვის გზით და, შესაბამისად, გაუქმდეს სადავო უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკა.

30. მოპასუხის განმარტებით, მართალია, იგი გარკვეული პერიოდულობით სარგებლობდა უძრავი ნივთით, თუმცა მხარეთა შორის ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ყოფილა. მოპასუხის მითითებით, იგი ძირითადად არის საზღვარგარეთ, სადაც მუშაობს და ფულს აგროვებდა საცხოვრებელი ბინის შესაძენად. მოსარჩელემ თვითონ შესთავაზა, რომ, როცა ჩამოვიდოდა მის ბინაში დარჩენილიყო, რადგან დაკეტილი ჰქონდა. ეს შეთავაზება იყო 2015 წლის იანვარში, როცა გააფორმეს ნოტარიალურად მეორე სესხის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულება იყო უპროცენტო და მოსარჩელემ ამიტომაც შესთავაზა ეს წინადადება. სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯობებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სსსკ-ის მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

31. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იყო სასყიდლიანი ქირავნობის ხელშეკრულება, ბინით სარგებლობის სანაცვლოდ, ყოველთვიურად 300 ლარის გადახდის თაობაზე, ეკისრება შეგებებული სარჩელის ავტორს, რომელსაც აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ასეთ მტკიცებულებად შეფასებული ვერ იქნება შეგებებულ სარჩელზე დართული აქტი, რომელშიც კონკრეტულ მისამართზე მცხოვრები პირები მიუთითებენ მოსარჩელის მიერ სადავო ბინის ფლობაზე. შესაბამისი მტკიცებულების არარსებობის პირობებში გაზიარებული ვერ იქნება შეგებებული სარჩელის ავტორის მსჯელობა, რომ მხარეები შეთანხმდნენ 300 ლარის ოდენობით ქირაზე, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იყო, ვინაიდან სესხის თანხის საპროცენტო სარგებელიც იგივე ოდენობას შეადგენდა. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც 2013 წლის 7 თებერვალს, ისე 2015 წლის 26 იანვარს სესხის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული არ ყოფილა პროცენტი და უსაფუძვლოა მსჯელობა, რომ მხარეთა შეთან-

ხმებით უნდა მომხდარიყო ქირის თანხის გაქვითვა საპროცენტო სარგებელში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ შეგებებული სარჩელის ავტორი ვერ ადასტურებს მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას სასყიდლიანი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის თაობაზე. არ არსებობს მოსარჩელისათვის ქირავნობის თანხის დაკისრების, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის და იპოთეკის გაუქმების საფუძველი.

32. სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. ამავე კოდექსის 301-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გასაჩივრებული გადანყვეტილებით მართებულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი მსესხებელი მოპასუხისათვის სესხის თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი.

33. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებდა ასევე 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადანყვეტილებას, რომლითაც მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხიდან 600 ლარის ანაზღაურება.

34. სსსკ-ის 261-ე მუხლისა და 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის მასალებში წარმოდგენილია მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ, ასევე, მოსარჩელის მიერ წარმომადგენლისათვის 1200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

35. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული დავის საგნის ღირებულების პროპორციულად, მსესხებელი მოპასუხისათვის დაკისრებული ადვოკატების მომსახურების ხარჯი სულ – 1000 ლარის ოდენობით ექცევა სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში და არ არსებობს დამატებითი გადანყვეტილების გაუქმების წინაპირობა.

36. რაც შეეხება მხარის პრეტენზიას, რომ დამატებითი გადან-

ყვეტილების მიღების თაობაზე მისთვის სასამართლოს არ უცნობებია, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის 3¹ ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს ზეპირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით დამატებითი გადაწყვეტილება მიიღო ზეპირი მოსმენის გარეშე. სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

37. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

38. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სსკ-ის 531-ე, 54-ე, 531-ე, 319-ე, 442-ე მუხლები და არასწორად განმარტა სსკ-ის 316-317-ე, 301-ე, 442-ე მუხლები.

39. კასატორებმა ჩათვალეს, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მესამე ნაწილის, მე-3¹ პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, მოპასუხე მხარისათვის შეეტყობინებინა ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი, ასევე, შუამდგომლობის შინაარსი, რომელიც მოსარჩელემ სასამართლოს 7-დღიანი ვადის დარღვევით წარუდგინა. ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილება მიღებულია საპროცესო კანონმდებლობის სრული დარღვევით.

40. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მხარეთა შორის ბინით სარგებლობის შესახებ ზეპირი შეთანხმება არ დადებულა. ფაქტობრივად, მოსარჩელე სადავო ბინაში ცხოვრობდა 2013 წლის თებერვლიდან 2016 წლის მარტის შუა რიცხვებამდე. ამის შესახებ შედგა მეზობლების აქტი, რომელსაც მოსარჩელემ ხელი შეგნებულად არ მოაწერა. მოპასუხე მხარე შუამდგომლობდა მონმეთა სასამართლოში დაკითხვის შესახებ, თუმცა ახსნა-განმარტების მოსარჩელემ მითითებული გარემოება აღიარა, რის გამოც მოპასუხე მხარემ უარი თქვა ზემოაღნიშნულ შუამდგომლობაზე. გადაწყვეტილების გამოტანი-

სას სასამართლომ უგულვებელყო სსსკ-ის 131-ე მუხლის დათქმა მოსარჩელის აღიარებასთან მიმართებით. სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ ჩათვალა მოსარჩელის აღიარება და განმარტა, რომ ბინის გამოთავისუფლების შესახებ მეზობლების მიერ შედგენილი აქტი არ იყო კანონის დაცვით შედგენილი და ეს გარემოება დააფუძნა სსსკ-ის 153-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად მიღებულ განმარტებად.

41. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მსესხებელი მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მსესხებელი მოპასუხის ძმის ავადმყოფობის შესახებ, რის გამოც მხარემ პირველი სესხი ვერ დააბრუნა ფინანსური პრობლემებისა და უმუშევრობის გამო, შესაბამისად, ამ პრობლემაში მოსარჩელე მეორედ იმავე რაოდენობის თანხას სესხად აღარ გადასცემდა. ამდენად, 2015 წლის 26 იანვრის შეთანხმება შეეხება თანხის გადახდის ვადის გაგრძელებას და მას ხელახალი სესხის გაცემა პრაქტიკულად არ მოჰყოლია.

42. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სესხის ხელშეკრულებას და მიიჩნია, რომ თანხა შეადგენდა 11861,33 ლარს, 1 აშშ დოლარი – 1,9935 ლარის კურსით, ხოლო სარეზოლუციო ნაწილში კი არასწორად მოპასუხეს დააკისრა 11950 აშშ დოლარი. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ სესხის ხელშეკრულებასთან განსხვავებული თანხა იმიტომ იყო მოთხოვნილი, რომ მას გამოაკლდა ხელშეკრულების გაფორმების ხარჯი, რა დროსაც არ გაიზიარა შუალედში შინაურულ ხელწერილში დაფიქსირებული თანხის ოდენობა.

43. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ არასწორად დაეკისრათ დამატებითი გადაწყვეტილებით 600 ლარის გადახდა, რადგან აღნიშნული თანხის ანაზღაურება მოსარჩელეს საქმის განხილვისას არ მოუთხოვია.

44. სასამართლოს გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უკანონოდ, ვინაიდან მხარემ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის დარღვევით. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, ხოლო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების კუთხით რაიმე შეზღუდვა არ გააჩნია. მას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს მიიღოს.

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექს-

სის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმმებლად.

46. საკასაციო სასამართლოს 2020 წლის 12 მარტის განჩინებით წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებაზე, თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში, დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, ხოლო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით, თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში, ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით ძალაში დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილება, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების მითითებული ნაწილი და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და მოსარჩელის 2018 წლის 20 თებერვლის განცხადება დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

48. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც კასატორებმა პრეტენზია წარადგინეს სააპელაციო პალატის განჩინებაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების გამო.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის – 11950 აშშ დოლარის გადახდა, დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია, ძირითადი სარჩელი 2014 წლის 6 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე, უარი ეთქვა შეგებებულ სარჩელს. მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 400 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 878.90 ლარის ანაზღაურება.

50. ამავე სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი

გადაწყვეტილებით მსესხებელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 600 ლარის ანაზღაურება.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის პრეტენზია შეეხება იმას, რომ გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან მოსარჩელემ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის დარღვევით, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, ხოლო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების კუთხით რაიმე შეზღუდვა არ გააჩნია. მას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს მიიღოს. კასატორები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას საკასაციო პალატის პრაქტიკაზე დაყრდნობით.

52. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლო არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავდროულად, მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

53. საკასაციო სასამართლო არაერთ განჩინებაში განმარტებულია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას კანონი ანიჭებს ასევე სასამართლოს. ამასთან, ზემოხსენებული საკითხის დასმა სასამართლომაც, დაინტერესებული მხარის მსგავსად, 7-დღის ვადაში უნდა განახორციელოს. კანონი აქ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. რაც შეეხება საკითხის დასმის ფორმას, თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი სასამართლოა, მან ეს საკითხი შეიძლება დასვას მხოლოდ მის მიერ მიღებული განჩინებით, ვინაიდან სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (სსკ-ის 284.1 მუხლი). მაგალითად, თუ საკითხი ეხება სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დად-

გენილი წესით (სსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეუბნით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.3¹ მუხლი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში არ გამოიტანა ერთ-ერთი ზემოხსენებული განჩინება, იგი არაა უფლებამოსილი, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება (იხ. სუსგ 19.05.2017წ. საქმე №ას-362-338-2017).

54. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმები იმპერატიული ხასიათისაა. სამოქალაქო სამართალწარმოება ეფუძნება შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობისა და კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპებს (სსსკ-ის მე-3-მე-6 მუხლები), თუმცა აღნიშნული იმასაც ავალდებულებს მხარეებს, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესატყვისად მოხდეს მხარეთა მიერ მოთხოვნებისა და უფლებების გაცხადება თუ დაზუსტება. სსსკ-ის 261.2 მუხლით დადგენილი 7-დღიანი ვადით კანონმდებელმა შემოსაზღვრა როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს შესაძლებლობა, ამავდროულად ნორმით დადგენილი წინაპირობების შემთხვევაში, სასამართლომ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, რადგან დაადგინა, რომ ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დანებებას კი კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ №ას-225-217-2012, 25.06.2012წ.), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის (სასამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (იხ. საქმე №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.)

55. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მონესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეები-

სათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული (იხ. სუსგ 31.03.2017წ. საქმე №ას-35-31-2017).

56. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ წინამდებარე საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თელავის რაიონული სასამართლოს მიერ გამოცხადდა 2018 წლის 6 თებერვალს, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელე, თუმცა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მან სასამართლოს განცხადებით მიმართა 2018 წლის 20 თებერვალს.

57. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა სასამართლოს წარედგინა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც სააპელაციო პალატას სათანადოდ არ შეუფასებია.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელი იყო როგორც უშუალოდ მხარის მოთხოვნით, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ მსესხებელი მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯის – 600 ლარის ანაზღაურების შესახებ.

59. სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებლის მიზანია, სამართალწარმოება განხორციელდეს სწრაფად და ეფექტურად, მოხდეს მისი გონივრულ ვადაში დასრულება, შესაბამისად, მოქმედი საპროცესო ეკონომიის პრინციპის საფუძველზე არ არსებობს მოცემული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, ამდენად, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება მოსარჩელის 2018 წლის 20 თებერვლის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-

სამე ნაწილით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. და თ. ქ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინება თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ა-ძის 2018 წლის 20 თებერვლის განცხადება დარჩეს განუხილველად;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge